დამოუკიდებელი და ზეპარტიული

WWW.ASAVALI.COM

# ასავალ-დასავალი

2024 წლის 8 - 14 ივლისი

N29 1547

ფასი 3 ლარი და 90 თეთრი

## პაატა ნაცვლიშვილი

## ბალაგანი, ანუ არტისტულობის უსაზღვრობასაც აქვს საზღვარი!




6



## რა უნდა იცოდეს ქართველმა აფხაზეთის, აფხაზებისა და აფსუების შესახებ?

24




## ემანდ, სანიოლებლად არ გაიხადო საქმე! 4

## პუშკინი და პუტინი ვერ გაურჩევიათ!

## ამან დაწვა!






2



10

## ეროსი კიწმარიშვილის მკვლელობიდან ათი წელი გავიდა!



## ანზორ აბრალავა:

## შევარდნაძე ისევ აქ არის, შევარდნაძე ჯერ არსად წასულა!

21

„ზვიად გამსახურდიას წინააღმდეგ ბრძოლა საქართველოში ჯერ არ დასრულებულა!“





11

სახლიდან მაისურით გამოსული კიწმარიშვილი მანქანაში პიჯაკში ჩაცმული მოკლული იპოვეს!

## თავს ტყვილა ნუ აქაცარავებთ! 4




12 ვამბობთ პარტიას და ვგულისხმობთ ლენინის პლოშჩადს!



18

## პეტრე მამრაძე:

ის ფაქტი, რომ პრეზიდენტობის კანდიდატებად 82 წლის ბაიდენისა და 78 წლის ტრამპის გარდა ვერავინ გამონახეს,

## ამერიკაში არსებულ ღრმა პოლიტიკურ კრიზისზე მიუთითებს!

*მოგეხსენებათ, ქართველები ბევრი შრომის, ძალისხმევისა და ოფლის ღვრის ხალხი არა ვართ, საძნელო საქმეთა გამარტივება გვიყვარს და სულ მუდამ იმას ვცდილობთ, რთულ მოცემულობებს თავი იოლად გავართვათ.*

# პუშკინი და პუტინი ვერ გაურჩევიათ!








მაგალითად, თუ ქართველი ლიბერალი ხარ, ან — ქართველი ნაცი, ან კიდევ — ორივე ერთად, შეგიძლია, შენი პატრიოტობის, ანტირუსობისა და პროდასავლელობის სადემონსტრაციოდ ძალიან მარტივი რეცეპტი შეიმუშაო: **რამდენიმე თანამოაზრესთან ერთად ქალაქგარეთ საქეიფოდ წახვალ, გაიყოლებ მზა ან ნახევრად მზა საჭმელს და უმ ღორის ხორცს მწვადის შესაწვავად; ტყეში მოაგროვებ ფიჩხს, დაანთებ ცეცხლს და შეუკეთებ ალექსანდრე პუშკინის წიგნს; სანამ მწვადის შესაწვავი ნაკვერჩხალი გაღვივდება, მობილური ტელეფონით გადაიღებ ვიდეოს, რომელშიც კარგად გამოჩნდება, როგორ უკიდია ცეცხლი პუშკინის წიგნს და როგორ იფერფლება დიდი რუსი პოეტის შემოქმედება ცვრიანი ქართული მწვადის სამსახურში. მერე ამ ვიდეოს სოციალურ ქსელში გაავრცელებ და ყველას დაუმტკიცებ შენს პატრიოტობას, ანტირუსობასა და პროდასავლელობას. ყველას დაანახვებ, რომ შენ ხარ ქართველი ლიბერალი და, მაშასადამე, შენ ხარ ევროპელი, რომელმაც დაწვა რუსი პოეტის წიგნი და შეწვა მწვადი პუშკინის შემოქმედებაზე.**

მარტივი საქმეა, რა უნდა მაგის გაკეთებას?

ჰოდა, გააკეთა **ვინმე მაგდა ბუზიაშვილმა,** რომელმაც თავის ფეისბუქზე გამოაქვეყნა ვიდეო, თუ როგორ იწვის მაყალში **დიდი რუსი პოეტის ალექსანდრე პუშკინის** წიგნი. ვიდეოს კომენტარების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, **პუშკინის აუტოდაფე თბილისის 166-ე საჯარო სკოლის პედაგოგთა და მოსწავლეთა ერთი ნაწილის საქეიფო ღონისძიებაზე მოხდა.** კი, თავად ამ **მაგდა ბუზიაშვილს** თავის ფეისბუქ-გვერდზე აქვს მითითებული, რომ 166-ე საჯარო სკოლის პედაგოგი ბრძანდება, ხოლო აუტოდაფეს ამსახველი ვიდეოს ქვეშ იმავე სკოლის სხვა პედაგოგთა თუ თანამშრომელთა კომენტარებია: **„რა კარგია, რომ არ წამოვედი“.** — წერს ვინმე **ხათუნა ტყეშელაშვილი,** რომელსაც **მაგდა ბუზიაშვილი** იქვე პასუხობს — **„რომ არ წამოხვედი, მაგიტომ დავწვით“.** ამას კვლავ **ტყეშელაშვილის** კომენტარი მოსდევს — **„რომ წამოვსულიყავი, ცეცხლს ვერ დაანთებდით და დარჩებოდა უმწვადოდ სკოლის ინტელიგენცია“;** ანუ მე რომ თქვენთან ერთად ვყოფილიყავი, პუშკინის წიგნს არ დაგაწვევინებდითო! იქვეა ვინმე **ეთერ ყორღანაშვილის** კომენტარიც — **„მე მიყვარს პუშკინი“.**

როგორც ხედავთ, თბილისის 166-ე საჯარო სკოლის პედკოლექტივის ერთი ნაწილი მათი კოლეგის მიერ პუშკინის წიგნის დაწვას არ ეთანხმება. ეტყობა, **ქალბატონი ტყეშელაშვილი,** რომელიც პუშკინის წიგნის დაწვას არ იწონებს და **ქალბატონი ყორღანაშვილი,** რომელიც პუშკინის მიმართ სიყვარულს არ მალავს, წარსულის გადმონაშთები, ბნელები და რუსეთუმეები არიან, ხოლო **ქალბატონი ბუზიაშვილი,** რომელმაც პუშკინის წიგნი ცეცხლს შეუკეთა და ამის ამსახველი ვიდეო სოციალურ ქსელში გამოაქვეყნა, პროგრესული, ნათელი, ანტირუსი და პროდასავლელი ახალგაზრდა გახლავთ.




**მაინც ვინ, სად და როგორ აღზარდა ეს ნათელი, პროგრესული, ანტირუსული და პროდასავლური სული პუშკინის წიგნის ცეცხლში შემგდებ ახალგაზრდა პედაგოგში?** ამ კითხვაზე პასუხს მისივე ფეისბუქი იძლევა, სადაც წერია, რომ კაცობრიობის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე დიდი პოეტის **ალექსანდრე პუშკინის** წიგნის დამწველ **მაგდა ბუზიაშვილს** თანამედროვე ქართველი ლიბერალების სამჭედლო — **ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, ანუ ილიაუნი** აქვს დამთავრებული. ესე იგი, **პუშკინისათვის აუტოდაფეს მომწყობი მაგდა ბუზიაშვილი გიგი თევზაძის, გიგა ზედანიას, ლევან რამიშვილის, ლევან ბერძენიშვილის, გიორგი მაისურაძისა და ილიაუნში დაბუდებულ სხვა ტვინის მრეცხავთა იდეოლოგიური პროდუქტი გახლავთ.**

ჰოდა, რა გასაკვირია მისგან ისეთი ანტირუსული და ანტიპუტინური, პროგრესული და პროევროპული მოქმედება, როგორიც წიგნის დაწვაა?

აკი, კაცობრიობის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური და შემზარავი აუტოდაფე სწორედ ევროპაში შედგა **1933 წლის 10 მაისს,** როცა გერმანელმა ნაცისტებმა ბერლინში ერთბაშად 20 000 წიგნი დაწვეს, მერე კი საკონცენტრაციო ბანაკებში ადამიანების დაწვაზეც გადავიდნენ, რითიც ახდა მე-18-19 საუკუნეების გამოჩენილი გერმანელი კრიტიკოსისა და პოეტის **ჰაინრიხ ჰაი-**

**იმედია, მაგდა ბუზიაშვილის მოწაფეებს თბილისის 166-ე საჯარო სკოლის დანარჩენ პედაგოგთა საღი აზროვნება და კეთილგონიერება მაინც დაეხმარება იმაში, რომ პუშკინი და პუტინი ერთმანეთისაგან გაარჩიონ!**

## კვირგვინოსნები

**ირაკლი კობახიძე**
*საქართველოს პრემიერ-მინისტრი*



**„ძაღლი ყეფს და ქარავანი მიქრის“**— ქვეყნის მტრები წუხან, მაგრამ ქართული ფეხბურთი წინ მიდის. **ლიბერალური ფაშიზმი** ვერც საქართველოს და ვერც ქართული ფეხბურთის წინსვლას ვერ შეაფერხებს.

„ინტერპრესნიუსი“

**კახა კალაძე**
*თბილისის მერი*



**რუსული კანონი არ არსებობს** და არც მიღებულა, ერთადერთი, **ვინც რუსულ საქმეს აკეთებდა, სააკაშვილის ხელისუფლება იყო.**

„ინტერპრესნიუსი“

**შალვა პაპუაშვილი**
*პარლამენტის თავმჯდომარე*



საქართველო, **როგორც ეკონომიკური ზრდით, ისე ინსტიტუციური განვითარებით,** ლიდერია ევროკავშირის წევრობის კანდიდატებს შორის.

„რეზონანსი“

**მამუკა მდინარაძე**
*პარლამენტარი*



მთელი საქართველო ეროვნული ნაკრების უპრეცედენტო წარმატებას როცა ზეიმობდა, ნაცმოძრაობა **ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეიდან საქართველოს ამორიცხვის საკითხს** აინიცირებდა.

„პირველი არხი“

**ვაჟა სირაძე**
*საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის დირექტორი*



**არანაირი სანქცია** და შეზღუდვა **არცერთ ძალოვანთან** არ მოსულა.

„ახალი თაობა“

**ფრანცისკე**
*რომის პაპი*



აშკარაა, რომ დღევანდელ მსოფლიოში **დემოკრატია ჯანსაღ მდგომარეობაში არ არის.**

„ინტერპრესნიუსი“

# თბილისის 166-ე საჯარო სკოლის პედაგოგმა პუშკინის წიგნი დაწვა!



ბერლინი. ოპერნპლაცი. 1933 წლის 10 მაისი. ნაცისტები წვავენ მათთვის არასასურველ წიგნებს!



იქ, სადაც წიგნებს წვავენ, ბოლოს ადამიანებსაც დაწვავენ! *ჰაინრიხ ჰაინე*

ნეს წინასწარმეტყველება — **იქ, სადაც წიგნებს წვავენ, ადამიანებსაც დაწვავენო!**

ჰოდა, ეს ჩვენი **მაგდა ბუზიაშვილი,** თბილისის 166-ე სკოლის პედაგოგი, რომელმაც პუშკინის წიგნზე მწვადები ააშიშხინა, ეტყობა, სწორედ იმ ევროპის ადეპტია, გასული საუკუნის 30-იან წლებში წიგნებს რომ წვავდა და ადამიანებსაც ზედ აყოლებდა.

სხვანაირად რომ ვთქვათ, **მაგდა ბუზიაშვილი საშუალო სტატისტიკური ქართველი ლიბერალის კრებსითი სახე გახლავთ, საშუალო სტატისტიკური ქართველი ლიბერალის აზროვნებასა და მისწრაფებებს კი ნაციზმთან და ფაშიზმთან ბევრად მეტი საერთო აქვს, ვიდრე ჭეშმარიტ ლიბერალიზმთან.**

**არ მოგწონს რუსეთის ხელისუფლება და გინდა, მისი პოლიტიკა გააპროტესტო?** ცეცხლში დაწვი პუშკინი, დოსტოევსკი და ტოლსტოი!

**არ მოგწონს საფრანგეთის ხელისუფლება და გინდა, მისი პოლიტიკა გააპროტესტო?** ცეცხლში დაწვი ჰიუგო, სტენდალი და ბოდლერი!

**არ მოგწონს გერმანიის ხელისუფლება და გინდა, მისი პოლიტიკა გააპროტესტო?** ცეცხლში დაწვი გოეთე, შილერი და თომას მანი!

**არ მოგწონს ამერიკის ხელისუფლება და გინდა, მისი პოლიტიკა გააპროტესტო?** ცეცხლში დაწვი ფოლკნერი, ჰემინგუეი და უიტმენი!

**არ მოგწონს საქართველოს ხელისუფლება და გინდა, მისი პოლიტიკა გააპროტესტო?** ცეცხლში დაწვი რუსთაველი, ვაჟა და გალაკტიონი!

და ასე შემდეგ...

კი, სწორედ ასეთია საშუალო სტატისტიკური ქართველი ლიბერალის სულიერი და გონებრივი რეფლექსია, რომელმაც თბილისის 166-ე საჯარო სკოლის პედაგოგ **მაგდა ბუზიაშვილს** ალექსანდრე პუშკინის წიგნი ცეცხლში შეაგდებინა და აუტოდაფეს ამსახველი ვიდეო სოციალურ ქსელში გაავრცელებინა!

ამ ამბავში ყველაზე საშიში და სახიფათო კი სწორედ ის გახლავთ, რომ **მაგდა ბუზიაშვილი** საჯარო სკოლის პედაგოგია და ბავშვების აღზრდა-განათლება აბარია!

**იმედია, მაგდა ბუზიაშვილის მოწაფეებს თბილისის 166-ე საჯარო სკოლის დანარჩენ პედაგოგთა საღი აზროვნება და კეთილგონიერება მაინც დაეხმარება იმაში, რომ პუშკინი და პუტინი ერთმანეთისაგან გაარჩიონ!**

იმედია, თბილისის 166-ე საჯარო სკოლის მოწაფეები მათი მასწავლებლის **მაგდა ბუზიაშვილისაგან** განსხვავებით, წიგნებს არასოდეს დაწვავენ, რაც, მინიმუმ, იმის გარანტია იქნება, რომ ისინი **ადამიანებსაც არასოდეს დაწვავენ!**

## იმედია, თბილისის 166-ე საჯარო სკოლის მოწაფეები მათი მასწავლებლის მაგდა ბუზიაშვილისაგან განსხვავებით, წიგნებს არასოდეს დაწვავენ, რაც, მინიმუმ, იმის გარანტია იქნება, რომ ისინი ადამიანებსაც არასოდეს დაწვავენ!



**უკრაინა, ქალაქი ჟიტომირი:**
პუშკინის ბიუსტის დემონტაჟი.
2022 წლის 11 ნოემბერი




**საქართველო, ქალაქი თბილისი:**
ვანდალიზმი პუშკინის ბიუსტის წინააღმდეგ.
2022 წლის 16 დეკემბერი

### ბოლოთქმა

თბილისის 166-ე საჯარო სკოლის პედაგოგ **მაგდა ბუზიაშვილის** მიერ პუშკინის წიგნის დაწვა საქართველოში პირველი და ერთადერთი შემთხვევა არ არის, როცა მავანი დიდი რუსი პოეტის სახელის შეურაცხყოფით ცდილობს, თავისი ფსევდოპატრიოტიზმი და ვითომ ანტირუსული პროტესტი გამოხატოს. მაგალითად, **2022 წლის 16 დეკემბერს თბილისში, თავისუფლების მოედანთან მდებარე პუშკინის სკვერში მდგარ პუშკინისვე ბიუსტის პიედესტალს ვანდალებმა ლითონის ასოებით ქართულ და რუსულ ენებზე შესრულებული წარწერა და პოეზიის სიმბოლო — ლირა მოაძვრეს.**

აღსანიშნავია, რომ 2022 წლის 11 ნოემბერს, ანუ დაახლოებით ერთი თვით ადრე, ვიდრე თბილისში პუშკინის ბიუსტი ვანდალების სამიზნე გახდებოდა, უკრაინის ქალაქ ჟიტომირში პუშკინის ბიუსტი ხელისუფლების გადაწყვეტილებით აიღეს და კვარცხლბეკიდან მისი სახელი და გვარი წაშალეს.

ამდენად, **ანტირუსული ისტერიით შეპყრობილი ადამიანები, რომლებსაც პუშკინი და პუტინი ერთმანეთისაგან ვერ გაურჩევიათ, მარტო საქართველოში კი არა, უკრაინაშიც არსებობენ, ოღონდ იქ უფრო რთულად არის საქმე, რადგან მოფაშისტო ლიბერალები, რომლებიც პუშკინსა და პუტინს ვერ ანსხვავებენ, ხელისუფლებაში სხედან და უკრაინელი ხალხის სვე-ბედს განაგებენ!**

*ჯაბა ხუბუა*

### კვირგვინოსნები

**არჩილ თალაკვაძე**
*პარლამენტარი*



ანა წითლიძე და ლევან ბეჟაშვილი ჩავიდნენ სტრასბურგში და გააკეთეს ის, რაც აბსოლუტურად **ანტიქართული და ანტიევროპულიც** გახლავთ. მას შემდეგ, რაც აგვიტოს ომის დროს რეზოლუციას მოაწერეს ხელი, სადაც **საკუთარი ქვეყანა და ჯარი დაადანაშაულეს ომის დაწყებაში,** ახლა გააკეთეს ის, რომ **ევროსაბჭოს მიმართეს თხოვნით, საქართველოს 25-წლიანი წევრობა და თანამშრომლობა შეიზღუდოს ევროსაბჭოში.**

„რეზონანსი“

**მაკა ბოჭორიშვილი**
*ევროინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე*



ძვირფასო კოლეგებო, **როდესაც საქმე საქართველოს ეხება, ნუ იჩქარებთ დასკვნების გაკეთებას მცდარი აღქმების საფუძველზე.** შეხედეთ ციფრებს, ეძიეთ ფაქტები და **ბევრად მეტ პასუხს მიიღებთ ფაქტებისგან,** ვიდრე არასაჭირო სპეკულაციებისგან.

„იმედინიუსი“

**დავით მათიკაშვილი**
*პარლამენტარი*



ამ საერთო გამარჯვების, ქვეყნის სიხარულის ფონზე განსაკუთრებით კარგად გამოჩნდა **ნაცმოძრაობის ანტიქართული ხასიათი,** როდესაც ევროპის შუაგულში ისინი **საკუთარი ქვეყნის ევროპული ოჯახიდან ამორიცხვას ითხოვდნენ.**

„იმედინიუსი“

**მეუფე იაკობი**
*ბოდბელი მთავარეპისკოპოსი*



ხან რა რეზოლუციას და ხან რას იღებენ — **შიში აქვთ, უკრაინაში ომი რომ დამთავრდება, თვითონ არ გახდნენ დარტყმის ობიექტები.** არცერთ ქვეყანას არ ეკითხება, ჩვენ რა კანონს მივიღებთ.

„იმედინიუსი“

# მოგელანდებით!

## მოგზაურობა ქართულ პოლიტიკაში გელა ზედელაშვილთან ერთად



# ნარდაულად თქმული

**ეგეთი ჩაფიქრებული ხალხი თუ მენახოს, მე ვიყო „გეპეის“ კომკავშირის მდივანი.**

ახლა წალენჯიხაში ჩასულან, ლიტერატურული ფესტივალი გაუმართავთ და სუ ლიტერატურულად დაუბოლებიათ იქაურები. როგორც **მეორე სურათზე** ხედავთ, **„ერნესტ ჰემინგუეიმ“** ამასწინებზე წიგნი რო დაწერა, მაგით იმარიაჟა. სადაც დადის, ყველგან თან დააქ, როგორც კი მომენტს ნახავს, ეგრევე დააძრობს ხოლმე მაუზერივით და იკრიჭება ყინულზე წაქცეული სახედარივით.

☺

**პირველ სურათზე** როა თქვენგან მარცხნივ, ეგ **„ბაირონია“,** ოღონდ ფეხით კოჭლი კი არა, გონებით კოჭლი.

**იიიიჰ, რაც მაგან ამასწინებზე იყროყინა, რაც მაგან იშავდღევა, რაც მაგან იწვალა და პარლამენტის შენობას გარშემო ურბინა, კი ეკუთვნის ხაზარაძის ლიტერატურული ფონდიდან ერთი მსუყე პრემია-ბარქალი.**

**და მაინც!**

**რას დადიან, რას დაბოდიალობენ ეს ჩვენი ცოდვით სავსენი?**





თავიდან ვიფიქრე, ტერენტი გრანელთან იყო დაკავშირებული რამე თარიღი და ეგ აღნიშნეს-მეთქი. არა, უბრალოდ, **პერფექტ ხარჩილავასთან** მოულაპარაკნიათ და **„ჰემინგუეის“** თავისი ბესტსელერი ჩაუტანია.

თქვენ გგონიათ, ვინმეს აჩუქა? **გაყიდა!**

ისე, რაღა დაგიმალოთ და... მეგონა, 26 ცალს **„ჰემინგუეი“** საქართველოს ფეხბურთელთა ნაკრებს გაუგზავნიდა საჩუქრად, მაგრამ მოვტყუვდი.

**„ჰემინგუეის“** უთქვამს — როცა ბიჭები თბილისში დაბრუნდებიან, ერთ ცალს მაშინ გავუგზავნი, **სანიოლი** წაიკითხავს და დანარჩენებს მოუყვება. და, საერთოდ, მე მაგათთვის გადასაგდები **ბარკალი** სადა მაქვს, ბოლო-ბოლო, **კვარაცხელიას გელა ბარკალაიასაგან** მითრმეული ციხეში ნაკეთები **ნარდიც** ეყოფაო.

## მსოფლიო ჩემპიონატს რო მოვიგებთ, ცოტა მოკრძალებულად აღვნიშნოთ!



ჩემი ღრმა რწმენით, შთაგონებითა და პრაქტიკული გამოცდილებით, ამდენი ხალხის გამოსვლა თავისუფლების მოედანზე არ იყო საჭირო! თან ეს ყველაფერი „**ჰუტლექსვიზიას“, „ჩაჯვივიზიას“, „კეზერვიზიას“** და სხვა **„დოზანავიზიებს“** რომ დააფიქსირებინეთ, ხომ იცით, ამ კადრებს ნაცები, გნაცები და შმაცები სათავიანთოდ რო გამოიყენებენ?

როგორ? გამართავენ ერთ უბადრუკ აქციას, დაადებენ ამ კადრებს, გადაამონტაჟებენ, გადმოამონტაჟებენ და იტყვიან: **აუ, რამდენნი ვააააააააარრრრთ!**

რა, ერთხელ, ორჯერ, სამჯერ და ათჯერ არ გაუკეთებიათ ეგეთი რამე?!

ეგ არი, ეს ერთხელ შეგეშალათ და... **მსოფლიო ჩემპიონატს რო მოვიგებთ, გთხოვთ, ცოტა მოკრძალებულად აღვნიშნოთ, ამდენი ჰაი და ჰუი არ არი საჭირო!**

ამხელა კაცი ხარ, თავი დაგკვადრატებია, წვერი გაგთეთრებია, თავზე ბუსუსებიღა დაგრჩენია, კინოებში გითამაშნია, აღმა-დაღმა გირბენია, საოკუპაციო ხაზთან აგივლ-ჩაგივლია, მუსკულები დაგიბერნია, მერე ისევ დაგიჩუტნია, მეტი ვერაფერი მოიფიქრე?

**არა, შენ რო მეტი მოიფიქრო და რამე ჭკვიანური თქვა, ეგ უფრო იქნებოდა გასაკვირ-გასაოცარი, მაგრამ ხო შეიძლება, როცა რაღაც სულელური ჰაზრი მოგაწვება ქეჩოში, უბრალოდ, თავში თვითონვე ჩაიკაკუნო?**

არა, ხო? სიყუჩე არ შეგიძლია, არა? მაინცა და მაინც აფრაკული რაღაცები უნდა წამააწვინო? კაი, ძმაო, მიდი და იბლაყუნე... აი, დარდი... ისევ შენზე იტყვიან, მაგარი აბუეტიაო, თორე მე რა?

**რა ნაკრები დაუმალეს ხალხს — რი ნაკრები?** დასამალად თქვენა გაქვთ საქმე — საოკუპაციო ხაზთან შარვლებს რომ ჩაიხდით ხოლმე წამდაუწუმ?

**აბა, ერთი ხელი მაისვით და მერე ილაპარაკეთ!**




# თავს ტყვილა ნუ აქაცარავებთ!

# ემანდ, სანიოლებლად არ გაიხადო საქმე!



**ვილი,** ძმაო, **პრემიერ-მინისტრისა და პრეზიდენტის გამოსვლის შემდეგ საუბარი ძალიან რთულიაო,** რამ გათქმევინა? პრემიერ-მინისტრი მართლაც ყოველთვის გასაგებად ლაპარაკობს, მაგრამ აი, **სალომე ბაბოს** გამოსვლის შემდეგ რამის თქმა ძალიან რთულია, მაგისი ბჟუტურისა ჩვენც ვერაფერი გაგვიგია და შენ რანაირად უნდა გაგეგო? **არა აქვს მნიშვნელობა, ეგ ქართულად მიედება თუ ფრანგულად მოედება, ტვინი მაინც ერთნაირად აქვს აბურდულ-დაბურდული.**

რავი, მგონი, დროა, ჩუმადანში ტრუსიკებს, ღამის პერანგსა და ჩუსტებს ალაგებდეს... მთავარია, „გრელკა“ არ უნდა დაავიწყდეს, ამბობენ, საფრანგეთში არ იშოვება და, ემანდ, შენ არ მოგადგეს, ვილი, გასაბერი კამერით! მე ჩემი მითქვამს... მოკლედ, **სანიოლებლად** არ გაიხადო საქმე!

## კვირგვინოსნები

**ზაალ ანჯაფარიძე**, *ექსპერტი*



ყველას როდი გაუხარდა ის შედეგი, რაც ჩვენმა ნაკრებმა ევრო 2024-ზე აჩვენა. **მათ ნაკრების ფიასკო უფრო გაუხარდებოდათ,** რომ მერე ესეც საკუთარი ბინძური პოლიტიკური მიზნებისთვის გამოეყენებინათ.

„იმედინიუსი“

**ეკა სეფაშვილი**, *„ხალხის ძალის“ წევრი*



ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის ერთ-ერთ რეზოლუციაში წერია, რომ **ევროპის ქვეყნებში დემოკრატიის ჩამორჩენა და უკუსვლაა.** ჯერ იქნებ საკუთარ დემოკრატიას მიხედონ და მერე გვითხრან ჩვენ — რა არის კარგი.

„იმედინიუსი“

**რატი იონათამიშვილი**, *პარლამენტარი*



მაშინ, როცა არსებობს **სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებები,** სადაც ერთმნიშვნელოვნად არის ნათქვამი, რომ **სააკაშვილი სისხლის სამართლის დამნაშავეა,** მის პოლიტპატიმრობაზე საუბარი შეურაცხყოფაა როგორც სტრასბურგის სასამართლოსი, ასევე კანონის უზენაესობის.

„საქართველოს რესპუბლიკა“

**თამარ ჩარკვიანი**, *პარტია „ხალხი და სამართლიანობის“ ლიდერი*



მოვისმინე ოპოზიციის შემოთავაზება — **მორატორიუმი გამოვაცხადოთ და ერთმანეთი არ დავაზიანოთ.** 24-საათიან რეჟიმში ნაციონალებს და **სააკაშვილს** ლანძღავენ და ეს როგორ? თუ ასეა, **მე არ მაქვს უფლება, „ლელოს“ და მის ლიდერს შევახსენო მისი ცოდვები?!**

„ახალი თაობა“

# საარჩევნო კარტოფილია*

ჭუტაანთ აწყვეტილი ტელეკორესპონდენტი იძახის — **ამ არჩევნების პერიოდში ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, რა პოზიციას დაიკავებს საქართველოს მეოთხე პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილიო, მისი პოზიცია გადამწყვეტი შეიძლება აღმოჩნდეს ბიძინა ივანიშვილის დამარცხებაშიო.**

☺

და მართლაც... ნეტავ რა პოზიციას დაიკავებს **საქართველოს მეოთხე პრეზიდენტი** ამ საარჩევნო პერიოდში? კარბიდის არაყს გადაჰყლურწამს თუ პირდაპირ ჭაჭას მიადგება? ეგებ ვისკი ან კონიაკი გამოუგზავნეს კონგრესმენებმა და ევროპარლამენტარებმა? თუმცა, არა მგონია, მაგათ რამე გამოეგზავნოთ, ბოლო დროს აშკარად აღარ წყალობენ.

რატომ აღარ წყალობენ?

ვიღაცებს შემოუთვლიათ — **სუ ყლურწამს, ყლურწამს და ყლურწამს, სანდო აღარ არიო.**

ისე, ამ ჭუტაანებსაც მაგრად აქანავებთ — **საიდან გაახსენდათ ახლა ეს დუშელი ყაზილარი კარტოფილის ამოღების პერიოდში?** არ იციან, ეხლა რი სეზონია?



* **კარტოფილია** — ახალი ფსიქიატრიული ტერმინი — **კარტოფილის** მოყვანისა და ჭამის **გადამეტებული სიყვარული.** სიტყვიდან **კარტოფილი** (*ლათ.* *Solanum tuberosum*) და სიტყვიდან **ფილია** (*ძვ. ბერძნულად* φιλία — *სიყვარული*).

# ხაბეს პირადად ხაბიბი ჩაალაბაბებს თუ სხვა კადიროველებიც შემოუღლაწუნებენ?

ამ დღეებში ერთი ამბავი რომ ატეხეს, **კახა კალაძე, ირაკლი კობახიძე და ცოტნე ივანიშვილი** კიოლნში **ხაბიბ ნურმაგომედოვს** შეხვდნენ და სურათებიც გადაიღესო, გახსოვთ, ხომ?

ჰოდა, ნაცების მეზღაპრეთა განყოფილებამ იმსჯელა და დაადგინა, რომ **ხაბიბმა** უნდა უშუამდგომლოს ამათ **რამზან კადიროვთან,** რათა საარჩევნოდ საქართველოში 300-500 კუნთმაგარი ჯიგიტი გამოაგზავნოს ოპოზიციის მხარდამჭერებისათვის თავ-პირის სამტვრევად.

გაიგონეთ? 300 ან 500 კუნთმაგარი!

ამოცანა გვეკითხება: **რათ უნდა ამ პიტალოების თავ-პირის მტვრევას 300-500 კუნთმაგარი და თანაც ჩეჩნეთიდან ჩამოყვანილი? ესენი ხომ ხელის აქნევაზეც კი კომაში ცვივდებიან, ტრუსიკ-მაიკებს თავადვე იხევენ და ცვარ-ცვარი გასდით?**

☺

როგორც ნაცმოძრაობის მეზღაპრეთა განყოფილებამ დაადგინა, ახლა მთავარია, კიოლნის შეხვედრას მოეძებნოს მიზეზი და გაეცეს პასუხები შეკითხვებს:

**რეიზა შეხვდნენ ესენი დაღესტნელ კუნთმაგარ ხაბიბ ნურმაგომედოვს?**

**რაზე ილაპარაკეს?**

**რაზე შეთანხმდნენ?**

**რამდენს გადაუხდიან?**

**რატომ გადაუხდიან?**

**ვინ გადაიხდის?**

**რამდენი ნაცის თავისა და პირის მტვრევაა საჭირო?**

(აქ მძიმე მუსიკა უნდა დავადოთ, კადრებს **შავნოდარა** ჩააბნელებს).

☺

იმის შესახებ, **ხაბეს პირადად ხაბიბი ჩაალაბაბებს თუ სხვა კადიროველებიც შემოულაწუნებენ,** სამიოდ თვეში გახდება ცნობილი.






## მკითხველის საყურადღებოდ!




თქვენ წინაშეა **ჯაბა ხუბუას წიგნი „დილეგის წინაშე“** — დოკუმენტური პროზა 2004-2012 წლებში სააკაშვილის რეჟიმის მიერ ქართულ ციხეებში შექმნილი მიწიერი ჯოჯოხეთის შესახებ, რომელმაც უამრავ ადამიანს ცხოვრება დაუნგრია და სიცოცხლე წაართვა.

**წიგნი „დილეგის წინაშე“,** რომელიც კონკრეტული პატიმრების თავს გადახდენილ შემზარავ ისტორიებსა და ნაციონალური მოძრაობის რეჟიმის სისასტიკეს ასახავს, **დაინტერესებული მკითხველისათვის ხელმისაწვდომია საქართველოს მასშტაბით პრესის გავრცელების წერტილებში.**

## კვირგვინოსნები

**დავით ქართველიშვილი**
*პარტია „ხალხის ძალის“ წევრი*



**ჭყონიაც** ვაჭრობს რუსეთთან თავისი **„კოკა-კოლათი“** და თან ნაცმოძრაობის გენერალური სპონსორია, ანუ **ეს პარტია რუსეთში გატანილი „კოკა-კოლათი“ საზრდოობს.**

„რეზონანსი“

**ვახტანგ ძაბირაძე**
*პოლიტოლოგი*



**გახარია** და **„ლელო“** თუ შეერთდა, სერიოზული ძალა იქნება.

„ახალი თაობა“

**გია ხუხაშვილი**
*ექსპერტი*



ოპოზიციამ მოახერხა და **ამომრჩეველი არჩევანის გარეშე დატოვა.** ერთმანეთს თავს არ დავესხმებითო და მეორე დღესვე გამოვიდა **სააკაშვილი** და **მელიას** და **გვარამიას** მკვდარ-ცოცხალი უტრიალა.

„კვირის პალიტრა“

პაატა ნაცვლიშვილი

# ბალაგანი, ანუ

## არტისტულობის უსაზღვროებასაც აქვს საზღვარი!





თბილისი. 2024 წლის 2 ივლისი

***არავის არა აქვს უფლება, სხვისი წარმატება მიისაკუთროსო. ეტყობა, მართლა არის ატეხილი დიდი გაწევ-გამოწევა ქართველ ფეხბურთელთა ევროპირველობაზე ნაჩვენები წარმატების დასაუფლებლად.***

**მაგრამ რომელი წარმატების?**

საქართველოს ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ოთხი მატჩი გამართა, საიდანაც ორი წააგეს — საერთო ანგარიშით 2:7, ერთი ფრედ ითამაშეს და ერთიც — უმოტივაციო პორტუგალიასთან 2:0 მოიგეს.

**მერვედფინალში გასვლისა და იქ ესპანეთთან 4:1-ით სახელოვანი დამარცხების აღსანიშნავად, საქართველოში დაბრუნებულ ფეხბურთელებს ნამდვილი ტრიუმფი მოუწყვეს, რომლის მსგავსი — არ ვიცი, ვინ გახდება ევროპის ჩემპიონი — ევროპის ჩემპიონსაც კი შეშურდებოდა!**

ევროპირველობის მერვედფინალში დამარცხებული ფეხბურთელებით სავსე ღია ავტობუსმა ნახევარი თბილისი შემოიარა და ძლივს მოაღწია წმინდა გიორგის მონუმენტის ფერხთით საგანგებოდ მოწყობილ ღია სცენამდე, სადაც ქვეყნის უმაღლესმა ოფიციალურმა პირებმა და ათიათასობით გულშემატკივარმა იმისთანა შეხვედრა მოუწყვეს მათ, რომ არც ერთ ოლიმპიურ ჩემპიონს არ დასიზმრებია, ყოველ შემთხვევაში — ქართველს.

ყველამ ვიცით, რომ ფეხბურთი მაინც სხვაა, სხვანაირად უყვარს იგი გულშემატკივარს, ერთი სიმპათიური ფეხბურთელი ზოგჯერ მრავალგზის ოლიმპიურ ჩემპიონსაც ურჩევნია, ფეხბურთი ხანდახან ბევრად მეტია, ვიდრე სპორტი, მაგრამ, **რაც არ უნდა იყოს, ის მაინც სპორტია, სადაც გამარჯვება გამარჯვებაა და დამარცხება — დამარცხება.**

საქართველოსავით პირველად გადალახა ჯგუფური ეტაპი სლოვენიის ფეხბურთელთა გუნდმა, თან ისე, რომ, თუ მერვედფინალში პენალტების სერიას არ ჩავთვლით, მას გერმანიაში თამაში არ წაუგია! მერვედფინალში სლოვენიელები ჩვენ მიერ მანამდე დამარცხებულ, მაგრამ ამჯერად უკვე მოტივირებულ პორტუგალიას შეხვდნენ და არც ძირითად დროში წაუგიათ და არც დამატებითში. მეტიც — თუ ჩვენთან შეხვედრაში გოლსმოწყურებულ **კრიშტიანუ რონალდოს** ერთხელ მართლა მშვენივრად გადაეღობა წინ **გიორგი გველესიანი,** სლოვენიელთა მეკარემ **იან ობლაკმა** სულაც პენალტი აუღო იმავე რონალდოს. არ ვიცი, იშოვეს თუ არა ლიუბლიანაში ღია ავტობუსი და აღნიშნეს თუ არა მათი ქვეყნის პირველი გასვლა ევროპირველობის მერვედფინალში, მაგრამ ის კი ვიცი, რომ...

**ერთი სიტყვით, აღზარდე ევროპა საკუთარ თავში!**

მესმის, რომ არტისტული ერი ვართ!.. მესმის, რომ თეატრალურები ვართ!.. მესმის, რომ ემოციურები ვართ!.. მესმის, რომ დღესასწაულები გვენატრება!.. მაგრამ, თუ სპორტული წაგება მოგებად გავასაღეთ, ვაითუ, მთელი ჩვენი წარმატებები ამის შემდეგ ამითღა შემოიფარგლოს და ნამდვილ გამარჯვებას ვეღარც ვეღირსოთ!

რაც თბილისში ხდებოდა, გნებავთ, იმ ღია ავტობუსსა თუ, გნებავთ, იმ ღია სცენაზე, უკვე ზღვარდაუდებელი არტისტულობა იყო, არც ყეენობა, არც ბუფონადა და არც ფესტივალი. **ეს უფრო სიგიჟე იყო, გარდარეული ტელესიგიჟე და, დიდი ბოდიში, ვინც სხვაგვარად ფიქრობს — სისულელე! ეს უკვე არც თეატრია და არც დღესასწაული. ეს უკვე ბალაგანია!**

თუნდაც ეს ყველაფერი წინასწარ გვქონოდა დაგეგმილი, მერვედფინალის შედეგის შემდეგ როგორღაც უნდა შეგვეკვეცა ჩვენი გეგმებისთვის ფრთები და სატელევიზიო რეალობიდან ნამდვილ რეალობას დავბრუნებოდით. და თუ, ყველაფრის მიუხედავად, ეს ყველაფერი ამისთანა დღესასწაულად გვინდოდა, გვექცია, რას ვერჩოდით აეროპორტში ღამენათევ ქომაგებსა და გულშემატკივრებს, რატომ არ გავატარეთ მათი გმირები მათ მიერ შექმნილ ცოცხალ დერეფანში? რა, ვითომ ეს ბიჭები სხვები იყვნენ და თბილისის ქუჩებში ღია ავტობუსით ჩამოტარებულები — სხვები? **აეროპორტიდან ასე საიდუმლოდ და მზეთუნახავივით, ასეთი დაცვით თვით რომის პაპიც არ შემოუყვანიათ თბილისში — ან ერთი და ან მეორე, გინდაც იოანე-პავლე მეორე და გინდაც ფრანცისკე, არც კომუნისტების დროს, არც აგერ — რამდენიმე წლის წინათ.**

ევროპაში გვინდაო, რომ ვიძახით, საქართველო ვერასოდეს აღმოჩნდება სადმე საფრანგეთსა თუ გერმანიას შუა ან ავსტრიასა და იტალიას შორის და, რაგინდ ის ყველა პირობა შევასრულოთ, ევროები არავის დაგვეყრება მუქთად თავზე.

**ჰოდა, აღზარდე შენს თავში ევროპა!**

ევროპელები, ჩვეულებრივ, მზეს ასწრებენ ადგომას და ყოველ შაბათ-კვირას როგორც ნამდვილ დღესასწაულებს, ისე ელოდებიან და ისე ეგებებიან. კი, ნამდვილი დღესასწაულებიც იციან, მათ შორის, გამარჯვებული გუნდებისა თუ ეროვნული გუნდების გულშემატკივრებით სავსე ქუჩებში ავტობუსებით ჩამოტარებით — ჩვენ ყველას ლაივში თუ არა, ტელევიზიით გვინახავს ასეთი დღესასწაული, მაგრამ იქ, იმ ევროპაში, თითოეული ფეხბურთელი ასეთი ტრიუმფის დროს მედლებით არის მკერდამშვენებული და წინ მათ მიერ მოპოვებული თასი მოუძღვით და არა **ლევან კობიაშვილის** კინოოპერატორივით მომარჯვებული მობილური ტელეფონი.



თბილისი. 2024 წლის 2 ივლისი

## კვირგვინოსნები

**დავით მაღრაძე**
*პოეტი*



**როგორც ჰიმნის ტექსტის ავტორმა** მინდა ვთქვა, რომ იმდენად ემოციური იყო პორტუგალიასთან თამაშისას განსაკუთრებით უკვე 70-ე წუთზე **სტადიონზე გულშემატკივართა მიერ ნამღერი ჰიმნი,** რომ გამარჯვების თანამონაწილედ ვიგრძენი თავი.

„კვირის პალიტრა“

**ნონა გაფრინდაშვილი**
*ჭადრაკის დედოფალი*



**პირველი ისტორია მაშინ დაწერეს,** როცა ევროპის ჩემპიონატზე გავიდნენ. მას მერე კი **ყოველი თამაში ახალი ისტორიის დაწერა იყო.** დებიუტანტი გუნდისგან ნაკლები მოლოდინი იყო, რომ ჯგუფიდან გავიდოდნენ, თუმცა, მე ყოველთვის ხმამაღლა ვამბობდი, რომ ასე იქნებოდა.

„სარკე“

**ვილი სანიოლი**
*საქართველოს ეროვნული ნაკრების მწვრთნელი*



გამარჯობა, საქართველო! **ძალიან ბევრი ოფლი დაიღვარა,** ჩემი არა — მოთამაშეების. იმედი მაქვს, რომ კიდევ **სამწელიწად-ნახევარში იმავე შედეგს დავდებთ თუ უკეთესს არა.**

„აიპრესი“

**აჩი არველაძე**
*ვეტერანი ფეხბურთელი*



ევროპაზე **ყველა თამაში გოლი შევაგდეთ,** განსაკუთრებული მომენტები გვქონდა — გოლი ბოლო წუთზეც გამიტანია, მაგრამ **ასეთი ბედნიერი წუთები ნამდვილად არასდროს მქონია.**

„პალიტრანიუსი“

**გიორგი გველესიანი**
*საქართველოს ეროვნული ნაკრების ფეხბურთელი*



**ვამაყობ, რომ ქართველი ვარ!** თითქოს დაუღალავმა **33-წლიანმა წყურვილმა და მოლოდინმა** სიხარულისა, ერთიანობისა და სიამაყისა, ერთიანად ამოხეთქა და მოიცვა მთელი ერი.

„ინტერპრესნიუსი“

სხვათაშორის, ერთ-ერთი საუკეთესო ქართველი ფეხბურთელი **ლევან კობიაშვილი** მონაწილეობდა იმ მატჩში, რომელიც ახლა მინდა გავიხსენო: 1996 წლის 9 ოქტომბერს პერუჯაში გაიმართა მსოფლიო პირველობის შესარჩევი მატჩი იტალიისა და საქართველოს გუნდებს შორის. ეს ამ გუნდების პირველი შეხვედრა იყო. მატჩის ბედი გადაწყვიტა 43-ე წუთზე **ფაბრიციო რავანელის** მიერ გატანილმა ერთადერთმა გოლმა. ასეთი ლაკონიური ციფრებით არის ის მატჩი შეტანილი მსოფლიოს, ევროპის, იტალიისა თუ საქართველოს ფეხბურთის ისტორიაში. არადა, არავის ახსოვს, რომ პერუჯადან დაბრუნებულ ქართველ ფეხბურთელებს გულშემატკივრები ყვავილებით დახვდნენ აეროპორტში. საქართველოს ნაკრებმა მართლა არ ითამაშა ცუდად — არაერთი დასამახსოვრებელი მომენტი შექმნეს **გიორგი ქინქლაძემ** თუ **გიორგი ნემსაძემ, თემურ ქეცბაიამ** თუ იმავე **ლევან კობიაშვილმა.** არც გუნდის მწვრთნელი **საშა ჩივაძე** ჩამორჩა ტაქტიკური თუ სტრატეგიული აზროვნებით თავის იტალიელ ვიზავის — **ჩეზარე მალდინის.** მაგრამ ჩვენებმა, სამწუხაროდ, წააგეს — 0:1. მატჩის სატელევიზიო რეპორტაჟი **კოტე მახარაძეს** მიჰყავდა და მატჩის ბოლოს, იმით აღფრთოვანებულმა, რომ საქართველომ იტალიასთან, რომელიც მაშინ მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი იყო, მხოლოდ ერთი ბურთით წააგო, ტელემაყურებლებს მოგვიწოდა, აეროპორტში ყვავილებით დახვდით ჩვენს სასახელო ფეხბურთელებსო! და მართლაც, ღია ავტობუსი არა, მაშინ ასეთი რამ არ იყო მოდაში, მაგრამ აეროპორტში ჩვენს ფეხბურთელებს მართლა ღირსეული დახვედრა მოუწყვეს.

ამის მერე **კოტე მახარაძეს** ერთ-ერთი შეხვედრის დროს გავახსენე ის რეპორტაჟი და ეს რა ქენით, ბატონო კოტე, იმის მერე ქართველებს ნულით ერთზე დამარცხება დამარცხება არ ჰგონიათ, ის კი არა, ზოგიერთი ასეთ მარცხს გამარჯვებადაც კი მიიჩნევს-მეთქი. გაიცინა და, მართალი ხარო, მითხრა, მაგრამ ისე ვიყავი თავად იმ ფაქტით მონუსხული, რომ საქართველოს ნაკრები იტალიის ნაკრებს ხვდებოდა და რომ მე **მალდინის, ნესტას, კონტეს, კაზირაგის, რავანელისა** თუ სხვათა გვერდით ქართულ გვარებს ვასახელებდი და თანაც ქართულად, მაშინ ამაზე ნაკლებად ვფიქრობდი და ის ერთით ნული მაშინ მეც მოგებასავით მეგონაო!

**კოტე მახარაძეს** თავისი საფეხბურთო თუ არტისტული ქარიზმით მაშინ უფრო მეტად შეეძლო არარსებული რეალობის შექმნა და სასურველის რეალობად წარმოსახვა, ვიდრე დღეს არსებულ ყველა ტელევიზიას ერთად.

**მაგრამ მას მერე ხომ თითქმის 30 წელი გავიდა!**

კიდევ ერთი ძველი ამბავი უნდა გავიხსენო: მრავალი წლის



თბილისი. 2024 წლის 2 ივლისი

**მესმის, რომ არტისტული ერი ვართ!.. მესმის, რომ თეატრალურები ვართ!.. მესმის, რომ ემოციურები ვართ!.. მესმის, რომ დღესასწაულები გვენატრება!..**

**მაგრამ, თუ სპორტული წაგება მოგებად გავასაღეთ, ვაითუ, მთელი ჩვენი წარმატებები ამის შემდეგ ამითლა შემოიფარგლოს და ნამდვილ გამარჯვებას ველარც ველირსოთ!**



თბილისი. 2024 წლის 2 ივლისი

წინათ, 1992 წლის მარტში ლოზანაში გაიმართა მოლაპარაკება საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტისა და ყოფილი საბჭოთა კავშირის მოკავშირე რესპუბლიკათა ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტებს შორის. მოლაპარაკების თემა ახალი ქვეყნების საერთაშორისო ოლიმპიური აღიარება და მათი სპორტსმენების ბარსელონის ოლიმპიადაზე გამოსვლის პირობები იყო. საქართველოს დელეგაციას მე ვხელმძღვანელობდი, როგორც საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტი. მოლაპარაკების ოფიციალური ნაწილის დამთავრების შემდეგ, როცა ყველანი წამოვიშალეთ, ევროპის ოლიმპიური კომიტეტების ასოციაციის პრეზიდენტმა, შემდგომში საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა **ჟაკ როგემ** მკითხა, საქართველო ევროპაა თუ აზიაო? ევროპა-მეთქი — დაუფიქრებლად ვუპასუხე. ამ დროს აზერბაიჯანისა და სომხეთის წარმომადგენლები მოვიდნენ და როგემ მათაც იგივე კითხვა დაუსვა. ისინი ერთმანეთს მიაჩერდნენ და ამან რა გითხრათო? — ჩემზე ჰკითხეს. რა თქმა უნდა, ევროპა ვუთხარი-მეთქი, — გაღიმებული **როგეს** პასუხს აღარ დაუცადე. ჰოდა, ჩვენც ევროპა ვართო, — სომეხმა და აზერბაიჯანელმა. დანარჩენი ყოფილი რესპუბლიკების საკითხი უკითხავადაც გარკვეული იყო. მაგრამ მთლად ჩემს სიტყვებზე როდი იყო ყველაფერი. სანამ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი საქართველოს **ჟაკ როგეს** ჩააბარებდა და საბოლოოდ მოაქცევდა ევროპული ქოლგის ქვეშ, მათ დასკვნისათვის ავტორიტეტულ სამეცნიერო ცენტრებსაც მიმართეს, მათ შორის — დიდი ბრიტანეთის სამეფო გეოგრაფიულ საზოგადოებას. ასე რომ, სპორტულ ევროპაში საქართველო უფრო ადრე შევიდა, ვიდრე ევროპის საბჭოში ის ცნობილი სიტყვები გაიჟღერებდა — „მე ვარ ქართველი, მაშასადამე მე ვარ ევროპელი“.

მას შემდეგ ევროპის სპორტული კარი მთელი 32 წელიწადია, მუდამ ღიაა ქართველი სპორტსმენებისთვის ნებისმიერ სახეობაში და არავის ევროპის პირველობისთვის ბრძოლა და მის ფინალურ ეტაპზე მონაწილეობა არ დაუშლია არც ფეხბურთელებისთვის, არც რაგბისტებისთვის, არც კალათბურთელებისთვის, არც ხელბურთელებისთვის, არც წყალბურთელებისთვის და არც არავისთვის. და ამისთვის არც ევროკავშირის 12 თუ რამდენიც გინდა პირობის შესრულება იყო საჭირო და არც ევროპარლამენტის რეზოლუცია და **შარლ მიშელისა** თუ **ურსულა ფონ დერ ლაიენის** თანხმობა. თუმცა, შესარჩევი ასპარეზობების დაძლევა კი ყველასთვის აუცილებელი იყო. და იმ ფონზე, რო-

გაგრძელება მე-8 გვერდზე

## კვირგვინოსნები

**ფარიელ ხარხელაური**
*პოეტი*



სწორედ ასეთი ბიჭები იდგნენ დიდგორის ომში, უკან რომ არ დაიხიეს. **ჩემთვის ყველაზე ემოციური იყო თურქეთთან თამაში, როგორ აგრესიულად იბრძოდნენ თურქები.** თამაშის ბოლო წუთები იყო ძალიან ემოციური, როდესაც **მამარდაშვილმა დატოვა კარი.** ის იყო მეფე, რომელიც თვითონაც შევიდა ამ ბრძოლაში, რათა თავის მხედრობასთან ერთად დაცემულიყო ბრძოლის ველზე. **ეს იყო უზარმაზარი მაგალითი ეროვნულობისა.** ჩვენმა ბიჭებმა არამარტო საქართველოს, მთელ ევროპას აჩვენეს ქართული ხასიათი. **ეს იყო ფეხბურთის ხორუმი.** ყველას ასწავლეს ჩვენი სახელი. 11-მა ბიჭმა დაგვანახა, რომ, **როცა ერთად ვართ, ჩვენი წამქცევი არავინაა.**

„კვირის პალიტრა“

**ლევან ყიფიანი**
*დავით ყიფიანის შვილი*



**მამაჩემი მწვრთნელმა გუნდიდან გაუშვა** — „სკრიპკაზე“ დაუკარი, **ფეხბურთელი ვერასდროს გახდებიო.**

„სარკე“

**დათო ლორთქიფანიძე**
*ყოფილი პარლამენტარი*



ჩვენმა ფეხბურთელებმა **საფეხბურთო ქვეყნის** სტატუსი შეგვძინეს.

„ახალი თაობა“

**დავით კვირცხალია**
*მსახიობი*



**როდესაც საქართველომ ევრო 2024-ის საგზური მოიპოვა,** მაშინ **ყველა გუნდი გაქრა ჩემთვის** და დარჩა მხოლოდ ჩემი ქვეყანა.

„კვირის პალიტრა“

**ლაშა ღლონტი**
*მომღერალი*



ევროპაში უკვე გვიცნობენ, როგორც **ფეხბურთის, თან ლამაზი ფეხბურთის** ქვეყანას. ერთმა უცხოელმა მითხრა — **საქართველოს ნაკრები ევროპული ბრაზილიააო.**

„სარკე“

დასაწყისი მე-6 გვერდზე

ცა ფეხბურთელებზე ადრე ასეთი შესარჩევი ეტაპები და თანაც არაერთგზის საქართველოს სხვა გუნდური სახეობების წარმომადგენლებმა გადალახეს, მხოლოდ ჟურნალისტურ გადაჭარბებად უნდა ჩავთვალოთ, როცა წამდაუწუმ გვესმის, ქართველი ფეხბურთელები ევროპაში შეგვიძღვნენო. მადლობა ღმერთს, რომ მათ ეს ბოლოს და ბოლოს — სამი ათეული წლის შემდეგ მოახერხეს და ყველას ერთად, და მეც მათ შორის უდიდესი სიამოვნება და სიამაყე მომგვარეს. დიახ, აშკარაა, რომ გუნდმა, მისმა თითოეულმა წევრმა განსაკუთრებით მონდომა და მათი ძალისხმევის წარმატებით დასრულებას იმანაც შეუწყო ხელი, რომ ბოლო წლებში უეფამ ფინალური ეტაპის მონაწილეთა რიცხვი 16-დან 24-მდე გაზარდა და იქ მოხვედრის პირობები რამდენადმე გააადვილა ეროვნული ლიგის შემოღებით. ისე კი, ევროპაში შეგვიყვანა კი არა, სამწუხაროდ, თუ მართალი გვინდა, ქართული ფეხბურთი ევროპაში სპორტის სხვა სახეობებზე რამდენადმე გვიან შევიდა.

**ვიყოთ მართლები! აღვზარდოთ ევროპა ჩვენში!**

ჩვენს ფეხბურთელებს რაც შეეხება, ბარაქალა მათ! მაგრამ ეს მხოლოდ მათი დამსახურება არ არის.

**მერვედფინალში მათ ამასწინანდელ გასვლას ამზადებდა 60-იანი და 70-იანი წლების ქართველ ფეხბურთელთა ბრწყინვალე თაობა, რომელთაგან არავის მოუვიდოდა თავში, რომ, თუ თავდამსხმელმა გოლი გაიტანა, ან, თუ მცველმა თავდამსხმელს ბურთის გატანაში ხელი შეუშალა, ან, თუ მეკარემ ბურთი მოიგერია, ღირსების ორდენებისთვის შეჩერებოდნენ ხელში ან პრეზიდენტს ან პრემიერ-მინისტრს ან ღია ავტობუსით ჩატარება**





თბილისი. 2024 წლის 2 ივლისი

პაატა ნაცვლიშვილი

# ბალაგანი, ანუ არტისტულობის უსაზღვროებასაც აქვს საზღვარი!

**ეთხოვათ თბილისის ქუჩებში!**

არადა, მათ შორის იყვნენ ევროპის ჩემპიონებიც, ოლიმპიური ჩემპიონიც და პრიზიორებიც, ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გამარჯვებულებიც, მსოფლიოს ნაკრებში მიწვეული ფეხბურთელებიც...

მაშინ მართლა დანატრული ვიყავით ნამდვილ დღესასწაულებს და იქნებ ხანდახან გამართლებულიც კი იყო გამოგონილი დღესასწაულების — **შვიდი ნოემბრებისა და პირველი მაისების ფონზე** — მათი რაღაც სხვა, თუნდაც გამოგონილი დღესასწაულებით ჩანაცვლება, თუნდაც იტალიაში 0:1-ზე წაგების შემდეგ აეროპორტში წაგებულთა ყვავილების თაიგულებით დახვედრა.

მაგრამ ახლა ხომ მართლა სხვა თაობაა. მათ აღარ უკვირთ ევროპის უძლიერეს გუნდებთან ევროპის ნებისმიერ სტადიონზე შეხვედრა და არცთუ იშვიათად წარმატებასაც აღწევენ. ეს მათთვის უკვე ჩვეულებრივი ამბავია, არა მოულოდნელი და თავისთავად სასიხარულო, არამედ მათი ყოველდღიური საქმე და საზრუნავი. კარგად თქვა, ფეხბურთელთა ამ თაობის ერთ-ერთმა ღირსეულმა წარმომადგენელმა **გიორგი მამარდაშვილმა — მე ჩემს საქმეს ვაკეთებო.** დიახ, ისინი თავის საქმეს აკეთებენ და ძალიან კარგად იციან, რა არის მოგება და რა არის წაგება!

როგორც ყველა ჩვენგანი, ისინიც თავ-თავის საქმეს აკეთებენ, მაგრამ, თუ ამ ჩვენ-ჩვენი საქმის კეთებაში ქართველი ფეხბურთელები ოდესმე მართლა მოიგებენ ევროპის ჩემპიონატს, ყველას ვერ გავწვდები, მაგრამ მათ შორის საუკეთესოებს, თუ რამ ორდენი და ჯილდო მაბადია, უშურველად დავუთმობ პრეზიდენტთან და პრემიერ-მინისტრთან ყოველგვარი წინასწარი შეთანხმებისა თუ მათი ნებართვის გარეშე.

მე აქ გამარჯვება-დამარცხების გარჩევასა და გამარჯვების იერარქიაზე ვლაპარაკობ, თორემ სხვაზე ნაკლებად არ გამხარებია ქართველი ფეხბურთელების ეს საევროპო დებიუტი. როგორც კი გაყიდვაში გამოჩნდა, მაშინვე წავედი „დინამოზე“, **კვარაცხელიას** მაისურიც ვიყიდე და **მამარდაშვილისაც.** შვილიშვილებსაც ვუყიდე. მალე, ალბათ, ოლიმპიური ნაკრების ფორმაც მექნება, მაგრამ პარიზის ოლიმპიადაზე ამ მაისურსაც აუცილებლად წავიღებ საამაყოდ და თავის მოსაწონებლად. **ის ოთხი ღამეც, მეც ყველა ქართველი გულშემატკივრის მსგავსად ნერვიულობასა და აღფრთოვანებაში, ჩვენი ფეხბურთელების წარმატების სიხარულსა და მათი წარუმატებლობის გულისტკენაში გავატარე, მეც დავკარგე ხმა იმდენ ყვირილში და მეც მგონია, რომ ეს ყველაფერი გარკვეულწილად დასაწყისია და არა დასასრული. ჰოდა, ჯერ გადავხტეთ და „ჰოპ“ მერე დავიძახოთ და ტრიუმფები და დღესასწაულები, სჯობს, მერე, მართლა**

## კვირგვინოსნები

**დიმიტრი ობოლაძე**
*„ტელეიმედის“ სპორტული ჟურნალისტი*



სქრინებს მიყრიან „ფეისბუქზე“, თითქოს **ბუდუ ზივზივაძეს** ვუთხარი, **შენ სიტყვას არ გაძლევო.** ზღვარი ხომ აქვს ყველაფერს?! მსგავსი არაფერი ყოფილა. **რა ბუდუს ვუთხარი, ხალხო, რეებს იგონებთ?!** ასე უსამართლოდ ადამიანის გადავლა არ არის ლამაზი.

„იმედინიუსი“

**ბუდუ ზივზივაძე**
*საქართველოს ეროვნული ნაკრების ფეხბურთელი*



თუ ვინმე რამე ცუდს ამბობს **დიმაზე,** ვფიქრობ, რომ **ბოდიში აქვთ მოსახდელი** — მსგავსი ფაქტი არ ყოფილა.

„იმედინიუსი“

**გიორგი ქვილითაია**
*საქართველოს ეროვნული ნაკრების ფეხბურთელი*



გერმანიაში ვერ აღვიქვამდით, თუ რა ხდებოდა საქართველოში, რომ ჩამოვედით და **ვნახეთ ხალხის რეაქციები, ბებოები, ბაბუები გულზე ხელს ირტყამდნენ, მადლობას გვიხდიდნენ,** დიდი სიხარული იყო ჩვენთვის.

„აიპრესი“

**გუგა ქაშიბაძე**
*ექიმი*



**კახი კავსაძეს** რომ აქვს ნათქვამი — **ნეტავ, იქ თეატრი არისო?** სულ მიტრიალებს თავში, **ნეტავ, იმ ქვეყნად უყურებენ ფეხბურთს?**

„კვირის პალიტრა“

**ზურიკო დავითაშვილი**
*საქართველოს ეროვნული ნაკრების ფეხბურთელი*



ამაყი ვარ, რომ ამ ქვეყნის შვილი ვარ და **მადლობა ყველას.** გპირდებით, რომ **უფრო დიდ წარმატებას მივაღწევთ.**

„იმედინიუსი“




## საავტობუსო ბალაგანიდან ერთი ნაბიჯია იმ ცრუდღესასწაულამდე, როცა რუსეთთან 2008 წლის ომში გამარჯვება გვაზეიმეს რუსთაველზე, როცა

# დიდი ზარ-ზეიმი გავმართეთ, რუსეთის ჯარს კუდით ქვა ვასროლინეთო, თბილისში არ შემოვუშვითო – თითქოს უნდოდა და ჩვენ არ შემოვუშვით!

**გამარჯვებულებმა გავმართოთ.**

**ᲐᲚᲕᲖᲐᲠᲓᲝᲗ ᲔᲕᲠᲝᲞᲐ ᲩᲕᲔᲜᲨᲘ!**

რა თქმა უნდა, არც ერთ ფეხბურთელს არ მოატყუებს ეგზალტირებულ **ჟურნა**ლისტთა აღფრთოვანებული შეძახილები, რომ თითქოს მთელი მსოფლიო ქართველ ფეხბურთელთა წარმატებაზე ლაპარაკობს და რომ თითქოს მათ შეუძლებელი შეძლეს, ან რომ მართლა საოცრება ჩაიდინეს, ან რომ გუშინდელი დღე ნამდვილი სასწაული იყო!

მგონია, რომ ტელეჟურნალისტობაზე მეოცნებე ჩემი სტუდენტები, რომლებიც არ მოსწრებიან და მხოლოდ გადმოცემით იციან ტელევიზიის როლი ეგრეთწოდებულ „ვარდების რევოლუციაში“, ამ დღეებში საკუთარი თვალითა და ყურით დარწმუნდნენ, რომ **სატელევიზიო სინამდვილე ხშირად ანაცვლებს ნამდვილ სინამდვილეს და მერე ამ სატელევიზიო სინამდვილის შემქმნელები თავადვე იჯერებენ თავისივე შექმნილ სინამდვილის ნამდვილობას და ამ უკვე იქაური წარმოსახვითი სინამდვილის წესებით იწყებენ ცხოვრებას.** და მერე ეს ყველაფერი ნელ-ნელა ვრცელდება საზოგადოების სულ უფრო და უფრო ფართო ფენებში,

**ᲜᲔᲚ-ᲜᲔᲚᲐ ᲢᲧᲣᲘᲚᲘ ᲡᲘᲛᲐᲠᲗᲚᲔᲓ ᲡᲐᲦᲓᲔᲑᲐ, ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲘ ᲡᲘᲛᲐᲠᲗᲚᲘᲡᲐ ᲐᲦᲐᲠᲐᲕᲘᲡ ᲡᲯᲔᲠᲐ, ᲠᲐᲙᲘ ᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲒᲝᲜᲘᲚᲘ ᲢᲧᲣᲘᲚᲘ ᲣᲤᲠᲝ ᲡᲐᲐᲛᲣᲠᲘᲐ ᲓᲐ ᲑᲝᲚᲝᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲦᲘᲐ ᲮᲝᲛᲐᲚᲓᲘᲗ ᲛᲗᲐᲕᲠᲓᲔᲑᲐ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲢᲐᲚᲦᲔᲑᲐᲓ ᲐᲑᲝᲑᲝᲥᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲥᲣᲩᲔᲑᲨᲘ ᲛᲝᲑᲘᲚᲣᲠᲘ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘᲗ ᲨᲔᲘᲐᲠᲐᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲚᲔᲕᲐᲜ ᲙᲝᲑᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘᲗ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲐᲛ ᲡᲐᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲝ ᲕᲘᲠᲢᲣᲐᲚᲣᲠᲘ ᲮᲝᲛᲐᲚᲓᲘᲡ ᲛᲐᲡᲙᲐᲠᲝᲜᲘᲗ.**

ვიმეორებ, აქ არც **ლევან კობიაშვილი** და არც ევროპირველობიდან შინ დაბრუნებული ფეხბურთელები არაფერ შუაში არიან. თითოეულმა მათგანმა თავისი მაქსიმუმი გაიღო, უამრავი ბედნიერი და საამაყო წუთი გვაჩუქა, გააკეთა ის და იმაზე მეტიც, ვიდრე შეეძლო. დიახ ეს მათი მომავალი წარმატებების დასაწყისია, და ძალიან კარგი დასაწყისი. ვიმეორებ თუ ვიმესამებ — **მათ მართლა ბევრი გააკეთეს ევროპაში და მსოფლიოში საქართველოს ცნობადობის ამაღლებით. დიახ, მათ საქართველოში ფეხბურთის სიყვარული და პატივისცემა დააბრუნეს. ამავე დროს ბევრს, მათ შორის, ქალებსაც, გააცნეს ფეხბურთი, როგორც სპორტი და არა მხოლოდ სპორტი.** ეს ძალიან კარგია, მართლა ძალიან კარგი დასაწყისია, მაგრამ არა საზოგადოდ, არამედ ამ თაობის ცხოვრებაში, მაგრამ ქვეყნის ცნობიერება და მახსოვრობა, მისი ღირსება და წარმატებები ხომ მხოლოდ ერთი ან ორი თაობით არ განისაზღვრება! ქართველებს დიდი საფეხბურთო გამარჯვებებიც გვქონია, ძალიან დიდი, მართლა სატრიუმფო და საამაყო! ჯერ კიდევ ცოცხალია ამ გამარჯვებების არაერთი შემოქმედი.

**ნეტა ახლაც საქართველოს ესპანეთისთვისაც მოეგო, გამიხარდებოდა კი არა, ცას ვეწეოდი სიხარულით, მაგრამ ამჯერად არ გაგვიმართლა. არ იყო ესპანეთი ისეთივე უმოტივაციო, როგორიც რამდენიმე დღით ადრე პორტუგალია. ამჯერად არც ვიდეორეფერი მოგვეხმარებია და იღბალმაც ზურგი შეგვაქცია.**

**ᲮᲝᲚᲝ ᲡᲐᲐᲕᲢᲝᲑᲣᲡᲝ ᲑᲐᲚᲐᲒᲐᲜᲘᲓᲐᲜ ᲔᲠᲗᲘ ᲜᲐᲑᲘᲯᲘᲐ ᲘᲛ ᲪᲠᲣᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲐᲛᲓᲔ, ᲠᲝᲪᲐ ᲠᲣᲡᲔᲗᲗᲐᲜ 2008 ᲬᲚᲘᲡ ᲝᲛᲨᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐ ᲒᲕᲐᲖᲔᲘᲛᲔᲡ ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲖᲔ, ᲠᲝᲪᲐ ᲓᲘᲓᲘ ᲖᲐᲠ-ᲖᲔᲘᲛᲘ ᲒᲐᲕᲛᲐᲠᲗᲔᲗ, ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲯᲐᲠᲡ ᲙᲣᲓᲘᲗ ᲥᲕᲐ ᲕᲐᲡᲠᲝᲚᲘᲜᲔᲗᲝ, ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ ᲐᲠ ᲨᲔᲛᲝᲕᲣᲨᲕᲘᲗᲝ — ᲗᲘᲗᲥᲝᲡ ᲣᲜᲓᲝᲓᲐ ᲓᲐ ᲩᲕᲔᲜ ᲐᲠ ᲨᲔᲛᲝᲕᲣᲨᲕᲘᲗ!**

რაც უნდოდა, დღესაც მისია და კიდევ უმატებს და უმატებს, ერთი მხრივ, ჩვენი ზეიმებით, და შიშველი ტრაკებით გაოცებული, მეორე მხრივ. **შეიძლება ისე მოხდეს, რომ კარგ გუნებაზე მყოფმა სადმე ერთი-ორი სახლი დაგვიბრუნოს ან ერთი სოფელი საზეიმოდ გადმოგვცეს. ჩვენი არტისტული ბუნების ამბავი რომ ვიცი, თქვენ დღესასწაული მაშინ ნახეთ! წაგებულ ომზე რა ზეიმი ავტეხეთ და ასეთ შემთხვევაში რას ვიზამთ, ადვილი წარმოსადგენია!**

მაგრამ, თუ ნამდვილი და ჩვენი გამოგონილი სინამდვილე კვლავაც ერთმანეთში უნდა აგვერიოს, ჯობია, ეს ფეხბურთში მოხდეს და არა ომში!

ვხედავ, დიდი დრო წავგართვით, მაგრამ ამბავმა და სიტყვამ თავის ნებაზე მატარა. **დიდი მადლობა ყველას, ვინც ეს პოსტი ბოლომდე ჩაიკითხა, დიდი მადლობა მათ, ვინც მიიჩნევს, რომ რაღაცაში შეიძლება იქნებ მართალიც ვიყო, დიდი ბოდიში მათთან, ვინც თვლის, რომ ამაოდ გავისარჯე.**

ღმერთმა ავტორიც და წამკითხველიც, ამ ტექსტის მომწონებელიც და დამწუნებელიც მრავალ ნამდვილ დღესასწაულს მოგვასწროს, სპორტულსაც და არასპორტულსაც!

## ᲙᲕᲘᲠᲒᲕᲘᲜᲝᲡᲜᲔᲑᲘ

**ᲖᲣᲠᲐᲑ ᲥᲕᲐᲠᲩᲮᲘᲐ**
*გიორგი მამარდაშვილის მწვრთნელი*



სანამ ესპანეთში წავიდოდა, **ᲛᲐᲛᲐᲠᲓᲐᲨᲕᲘᲚᲘ** ყოველ დილის 7 საათზე მოდიოდა სავარჯიშოდ... **მე მამარდიას ვეძახდი, მეგრული სისხლი უნდა გადმოგისხა-მეთქი, ვეხუმრებოდი.** თავმდაბალი ბიჭი იყო, მორცხვი, **გიორგის შრომით ყველაფერი გამოუვიდა.**

„ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲞᲐᲚᲘᲢᲠᲐ“

**ᲝᲗᲐᲠ ᲒᲐᲑᲔᲚᲘᲐ**
*ვეტერანი ფეხბურთელი*



თბილისის „დინამოს“ ყოველთვის ჰყავდა კარგი მეკარეები და **ᲛᲐᲛᲐᲠᲓᲐᲨᲕᲘᲚᲘ** აგრძელებს ტრადიციას. **მეკარეს დიდი მისია აქვს. როცა უკან საიმედო კაცი გიდგას, მინდვრის მოთამაშეებიც გაბედულად მოქმედებენ.** მამარდა ერთ-ერთი საუკეთესოა ამ ევროპის ჩემპიონატზე.

„ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲞᲐᲚᲘᲢᲠᲐ“

**ᲛᲗᲕᲐᲠᲘᲡᲐ ᲠᲣᲮᲐᲫᲔ**
*გიორგი ჩაკვეტაძის დედა*



ბელგიას სურდა გიორგის წაყვანა. **ჩამოვიდნენ, სახლში მოვიდნენ, უნდა ვნახოთ, სად ცხოვრობსო. ერთი პატარა ოთახი გვქონდა. 3 ბიჭით იქ ვცხოვრობდით.** გაგიჟდნენ და გვითხრეს, ახლა წადით, მონახეთ ბინა და ჩვენ ვყიდულობთო. **ეს ბინა ბელგიელებმა გვიყიდეს.**

„ᲠᲔᲖᲝᲜᲐᲜᲡᲘ“

**ᲯᲐᲑᲐ ᲙᲘᲚᲐᲫᲔ**
*მსახიობი*



რაც საქართველო დამოუკიდებელი გახდა, თავჩახრილები, ცოტა დაკომპლექსებულები, **მხოლოდ წარსულის დიდებით გახარებულები ვიყავით,** დღეს კი ყველამ ვირწმუნეთ ყველა ის ლეგენდა, რაც ქართველებზე არსებობს.

„ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲞᲐᲚᲘᲢᲠᲐ“

# ეროსი კიწმარიშვილის

## სახლიდან მაისურით გამოსული კიწმარიშვილი მანქანაში პიჯაკში ჩაცმული მოკლული იპოვეს!

***2014 წლის 15 ივლისს, დაახლოებით 16:50 საათზე, თბილისში, ჭავჭავაძის პროსპექტის №37(დ) კორპუსის მიწისქვეშა გარაჟში, საკუთარ ავტომობილში, მკვდარი იპოვეს ეროსი კიწმარიშვილი, რომელსაც მარჯვენა საფეთქელში ტყვია ჰქონდა დახლილი...***

პირველები, ვინც ეროსი კიწმარიშვილი მანქანაში მოკლული ნახეს, პარტია „ჩვენი საქართველოს“ წევრები და ეროსი კიწმარიშვილის პარტიული ამფსონები **ბია ხევიაშვილი** და **თამაზ ბაწალაშვილი** იყვნენ. ხევიაშვილი, რომელიც **ზურაბ ჟვანიას** უახლოეს წრეს წარმოადგენდა, წლების განმავლობაში პარლამენტის სოფლის მეურნეობის კომიტეტს ხელმძღვანელობდა და საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრიც იყო, იარაღით ხელში ებრძოდა საქართველოს ეროვნულ ხელისუფლებას და **კაკოიე ბობოხიძისა** და მისი კბილებდაკრეჭილი ძმის **ლევან ბობოხიძის** მსგავსად, ბალტინის ტანკზეა ნაჯდომი.

საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ საქმე **„თვითმკვლელობამდე მიყვანის“ მუხლით** აღძრა და ძიება დაიწყო, ხოლო საზოგადოებაში მაშინვე გამოითქვა აზრი, რომ ეროსი კიწმარიშვილი მოკლეს.

როგორც მეგობრები და პარტიული ამხანაგები იხსენებენ, იმ დღეს **ეროსი კიწმარიშვილს** თავის საარჩევნო შტაბში დასაქმებული ადამიანებისთვის თბილისიდან თანხა უნდა გამოეგზავნა. ამ მიზნით რუსთავიდან თბილისისკენ სწორედ **ბია ხევიაშვილი** გაემგზავრა, რომელიც კიწმარიშვილს რამდენჯერმე ტელეფონითაც ელაპარაკა. **საუბარი იყო დაახლოებით 120 ათას ლარზე, რომელსაც რუსთავის მერის არჩევნებში დამარცხებული ეროსი კიწმარიშვილის შტაბში დასაქმებული ადამიანები ითხოვდნენ და უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ, რომ ფულს ამდენი ხნის განმავლობაში ვერ ღებულობდნენ.**

**ეროსი კიწმარიშვილი** პროფესიით ექიმი იყო. ცნობილია, რომ იმ არეულ და ბნელ წლებში, როცა საქართველოს **შევარდნაძე და მისი ხროვა** დაეპატრონნენ, რუსთავის ერთ-ერთ საავადმყოფოში კიწმარიშვილმა პარკეტი აყარა და გაყიდა. **ამ ფულით თუ სხვა მანქანებით 1994 წელს ქალაქ რუსთავში მდებარე სასტუმროში კიწმარიშვილმა ადგილობრივი ტელემაუწყებლობა „რუსთავი-2“ გახსნა, რომელიც სულ მალე ქართულ პოლიტიკაში უმძლავრეს მანიპულატორად და ევრო-ამერიკული გეი-დემოკრატიის მთავარ პროპაგანდისტად იქცა.**

**ეროსი კიწმარიშვილის** იდეა-ფიქსი იყო, შეექმნა ისეთი ტელეკომპანია, რომელიც ქართული ტელებაზრის სიმცირის მიუხედავად, დიდ ფინანსურ მოგებას მოიტანდა. როგორც „ნიანგის“ კორესპონდენტები ატყავებდნენ და ძოვდნენ კომუნისტების დროს „ცეხავიკებს“, მეღვინეებსა და რაიკომის მდივნებს, სწორედ ისე, **„რუსთავი-2“-ის ჟურნალისტები პარლამენტს, მთავრობასა და პოზიცია-ოპოზიციას სარანჩასავით შეესივნენ და ეროსი კიწმარიშვილის ჯიბეში შევარდნაძე-ჟვანიას „მოქალაქეთა კავშირიდან“ თუ ხელისუფლების მიერ დანიშნული ბიზნესმენ-ბოზნესმენების ზანდუკებიდან მილიონებმა დაიწყო დენა...** ამიერიდან „რუსთავი-2“-ის გარეშე საქართველოში არცერთი არჩევნები არ გაყალბებულა. არჩევნების გაყალბების გარდა, ეროსი კიწმარიშვილის ტელეკანალიზაცია საქართველოს უახლესი ისტორიის ყველაზე უფრო სისხლიანი და ტრაგიკული მოვლენების **გადამწერად** და **შემლამაზებლად** იქცა. ასე, მაგალითად, **„რუსთავი-2“-ის მიერ ჩატარებული ყველა ე.წ. გამოძიება, რომელიც საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას მკვლელობას მიეძღვნა, სინამდვილეში სხვა არაფერი იყო, თუ არა ედუარდ შევარდნაძისა და იმ დანაშაულებრივი სინდიკატის მფარველობა და გათეთრების მცდელობა, რომელმაც ქვეყანას არჩეული პრეზიდენტი მოუკლა, აფხაზეთი გაუყიდა და ჟიული შარტავა დაუხვრიტა!**

„რუსთავი-2“, რომელიც **ჟვანია-სააკაშვილის გუნდის** მთავარი მედიაიარაღი გახლდათ, შევარდნაძის უკანალის მოპრიალებით მანამ იყო დაკავებული, სანამ **სააკაშვილი და ჟვანია** შევარდნაძის ქებაში ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, მაგრამ, როგორც კი ყარაყორუმში შევარდნაძეს განაჩენი გამოუტანეს და გადაწყდა, რომ „რუსთავი-2“-ს „ვარდების რევოლუცია“ უნდა მოეწყო, კიწმარიშვილის ტელევიზიამ ედუარდს მაშინვე მოგვერდი გაუკეთა და ჟვანია-სააკაშვილის „პრავდად“ იქცა.

**„ასავალ-დასავალის“ ფურცლები ინახავს ეროსი კიწმარიშვილის არაერთ ინტერვიუსა და ე.წ. ვარდების რევოლუციის დღეებში სააკაშვილთან და ჟვანიასთან ერთად გადაღებულ ფოტოსურათებს, საიდანაც თვალნათლივ ჩანს, რომ 2003 წლის 23 ნოემბერს საქართველოში ამერიკული „ცერეუსა“ და რუსული „ეფესბეს“ ერთობლივი სპეცოპერაციის შედეგად განხორციელებული სახელმწიფო გადატრიალების სათავეში სინამდვილეში საიდუმლო ვითარებაში მოკლული მედიამენეჯერი ეროსი კიწმარიშვილი იდგა!**

**ლევან ბერძენიშვილი, თინა ხიდაშელი, ლევან ასრაწიან-რამიშვილი, ბიბა ბოკერია, დავით უსუფაშვილი, სოროსის ფონდი, ანა დოლიძე, იელოველების წვერებიანი მარქსი გია ნოდია, გიგი თევზაძე, ლაშა ბუღაძე, რატი ამაღლობელი** და მთელი ის **ლგბტ საძაღლეთი,** რომლებიც საქართველოს მხარეს კი არა, გარყვნილი „პრაიდელებისა“ და **ხაზარ-ფაშა მამუკას თუ ელტონ ჰჯონიას** გაერთიანებული გეიბორდელის ავანგარდში დგანან, სწორედ ეროსი კიწმარიშვილის „რუსთავი-2“-ში დაფრთიანდნენ.

**ეროსი კიწმარიშვილი** „ვარდების რევოლუციიდან“ უფრო მეტს ელოდა, ვიდრე ხელისუფლების მთავარი რუპორის სტატუსს. როგორც ჩანს, მას საქართველოს პრემიერ-მინისტრის სავარძელსაც ჰპირდებოდნენ, მაგრამ, როცა ეს პოსტი **ზურაბ ჟვანიას** დარჩა, გამძვინვარებული ეროსი კიწმარიშვილი მას თავს დაესხა და 2004 წლის 2 მაისს პრემიერ-მინისტრის ოჯახის წევრისა და ძმის **გოგლა ჟვანიას** წინააღმდეგ მამხილებელი სიუჟეტი გამოაცხო, სადაც ის ელიავას ბაზრობის ლობირებაში ამხილა. ამ ამბიდან ცოტა ხანში **ეროსი კიწმარიშვილს** „რუსთავი-2“-ის საკონტროლო პაკეტი ჩამოართვეს და შეერთებულ შტატებში საგანგებო დავალებათა ელჩად გაგზავნეს.

2007 წელს სააკაშვილს კიწმარიშვილი ისევ დასჭირდა... ეროსის მაშინ ე.წ. საზოგადოებრივი მაუწყებლის მთავარი კონსულტანტისა და სააკაშვილის საპრეზიდენტო კამპანიის სტრატეგიული ჯგუფის ხელმძღვანელობა დააკისრეს... 2008 წლის აგვისტოს ომის დროს კიწმარიშვილი რუსეთში საქართველოს ელჩი იყო. მან აგვისტოს ომის შემსწავლელი კომისიის სხდომაზე, რომელსაც **პაატა დავითაია** ხელმძღვანელობდა, ნაცხლისტების რეჟიმი რუსეთთან ომის პროვოცირებაში დაადანაშაულა. ამის გამო სააკაშვილის გუნდის ოდიოზურმა სახემ **გივია თარგამაძემ,** რომელიც ათას შავბნელ საქმეში მონაწილეობდა, დავით აღმაშენებლის სახელობის დარბაზში, სადაც ძირითადად ბიუროს სხდომები იმართება, კიწმარიშვილს შეაგინა და კალამი ესროლა.

2014 წლის 15 ივლისს **ბია ხევიაშვილი, თამაზ ბაწალაშვილი, ვალერი ტატუნაშვილი, მერაბ დოლიძე და ზაზა ბატიაშვილი თამაზ ბაწალაშვილის** მანქანით რუსთავიდან თბილისისკენ წამოვიდნენ და პლეხანოვზე, მარჯანიშვილის თეატრის მახლობლად, პურის საჭმელად „შემოიხედე გენაცვალეში“ შეიარეს. **ხევიაშვილი** თანამეინახეებს არწმუნებდა, რომ წინა დღით ეროსიმ ბანკიდან ფული













## კვირგვინოსნები

**გიორგი ახვლედიანი**
*პოლიტიკის ექსპერტი*



ძალიან დიდი ფიასკო განიცადა იმ პოლიტიკურმა პიარმა, რომ **სააკაშვილი კვდება, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა ძალიან მძიმეა და არიქა, ფიზიკურად არის გადასარჩენი.** ევროპაშიც მიხვდნენ, რომ ეს თემა მათ ავტორიტეტს აზიანებს. აღმოჩნდა, რომ **კაცს კუჭის ოპერაცია აქვს გაკეთებული და ამ წონაზე ამიტომ დადგა.** სააკაშვილი ევროპულმა პოლიტიკამ **უკვე დიდი ხანია, ჩამოწერა,** ყველამ დაინახა, რომ ამ ადამიანს ქართველ საზოგადოებაში დიდი ნეგატივი აქვს და **მასზე ფსონის დადებაც აღარ უნდათ.**

„საქართველოს რესპუბლიკა“

**იაგო ხვიჩია**
*„გირჩის“ წევრი, პარლამენტარი*



**ხალხი ზოგჯერ მართალია და ზოგჯერ ცდება** — მაგალითად, მართალია, როდესაც **კობახიძის მიმართ გარკვეულ პროტესტს გამოხატავენ,** მაგრამ ცდება, როცა **აღფრთოვანებას გამოხატავენ ქალბატონი სალომეს მიმართ.**

**ფულიანი ხალხი** პოლიტიკაში არის დაახლოებით ისეთი, როგორც **მოკლეკაბიანი ქალი,** რომელსაც ყველა ეპრანჭება.

„ინტერპრესნიუსი“

**თორნიკე შარაშენიძე**
*ექსპერტი*



ოპოზიციაში ვერ ითვალისწინებენ ერთ რამეს — **არჩევნებში ხმას აძლევს საქართველოს მოქალაქე და არა ვინმე კონგრესმენი ან ევროპარლამენტარი.** ამიტომაც საჭიროა მოსახლეობასთან უფრო მეტი მუშაობა.

„კვირის პალიტრა“

**მამუკა გამყრელიძე**
*„ევროპული დემოკრატების“ გენერალური მდივანი*



დასრულდება ევროპის ჩემპიონატი და ნახავთ, **როგორი მძიმე პროცესი დაიწყება.** „ქართული ოცნება“ აუცილებლად შეეცდება, **ძალიან სერიოზულად დაპრესოს ოპოზიცია.**

„ახალი თაობა“

# მკვლელობიდან ათი წელი გავიდა!





გამოიტანა და მხოლოდ ფორმალური პროცედურები იყო გასავლელი საჭირო თანხის მისაღებად. როგორც ირკვევა, **გია ხევიაშვილმა** აქ იცრუა, ხოლო 14 ივლისს, გარდაცვალებამდე ერთი დღით ადრე, ეროსის ფული არ გამოუტანია. ცნობილი გახდა ისიც, რომ მკვლელობის წინა ღამეს ეროსის გვიანობამდე სტუმრობდნენ **გია ხევიაშვილი და თამაზ ბაწალაშვილი.**

„შემოიხედე გენაცვალეში" გაშლილი სუფრიდან ხევიაშვილმა კიწმარიშვილს დაურეკა, მაგრამ ეროსის მობილური გამორთული იყო. ამის შემდეგ რუსთავიდან წამოსულმა ხუთეულმა ეროსი კიწმარიშვილის თანაშემწის **თიკო ბეჟაშვილის** ნომერი აკრიფა, ხოლო ეს უკანასკნელი კიწმარიშვილების სახლის დამხმარეს **სედა სადიკოვას** დაუკავშირდა — ეროსის ტელეფონი გამორთული რატომ აქვსო?

კაცის ასავალ-დასავალი რომ ვერ შეიტყვეს, რუსთავიდან წამოსული ხუთეული ეროსის სახლს მიადგა, მაგრამ კარი არავინ გაუღო. ამის შემდეგ ხევიაშვილი და ბაწალაშვილი საპარკინგე სივრცეში ჩავიდნენ და ფარებანთებულ მანქანაში, რომელსაც მძღოლის გვერდითა და მის უკან არსებული მინები ჩამოწეული ჰქონდა, მკვდარი ეროსი კიწმარიშვილი იპოვეს. **ეროსი მძღოლის სავარძელში იჯდა და ღვედი ჰქონდა გადაჭერილი...**

გამოძიების ინფორმაციით, სახლიდან მაისურით გამოსული კიწმარიშვილი მანქანაში პიჯაკში ჩაცმული მოკლული იპოვეს! მიცვალებულს არც საფულე, არც მზის სათვალე და არც მობილური ტელეფონი თან არ ჰქონდა, რაც დიდი გამოცანაა, თუმცა, გენერალური პროკურატურა ისევ და ისევ „თვითმკვლელობის" ვერსიას „აწვება"...

**სხვათაშორის, ეს ყველაფერი ძალიან ჰგავს ზვიად გამსახურდიას მკვლელობის დეტალებს!**

**პირველი საგედისწერო მსგავსება: საქართველოს პირველი პრეზიდენტი, რომელსაც კარლო ღურწკაიას სახლში დაძინებისას პიჟამა ეცვა, გარდაცვლილი სწორედ პიჯაკში გამოწყობილი იპოვეს!**

**მეორე საბედისწერო მსგავსება: ეროსი კიწმარიშვილმა მკვლელობის დილას მაღაზია „დიანაში" პისტოლეტისთვის 50 ვაზნა იყიდა. ეს ვაზნები მანქანაში აღმოჩნდა, მაგრამ არა 49, არამედ 48 ცალი. იბადება კითხვა — თუ ეროსი კიწმარიშვილმა ერთი ტყვიით თავი მოიკლა, მაშინ მეორე ვაზნა სად წავიდა? ანდა, თუ კაცი თავის მოკვლას აპირებდა, 50 ვაზნას რატომ იყიდდა, 1 ვაზნა არ ეყოფოდა?**






**მესამე საბედისწერო მსგავსება:** გასაოცარია, მაგრამ „ჩეზეს" სისტემის პისტოლეტის ხმა, რომლითაც ეროსი კიწმარიშვილი მოკლეს, სახლის პარკინგის სივრცესა და სადარბაზოში არავის გაუგონია. არადა, ექსპერიმენტის დროს გასროლილმა „ჩეზემ" იქაურობა ლამის გადააყრუა. ეს ყველაფერი იმას მოწმობს, რომ კიწმარიშვილი მაყუჩიანი იარაღით მოკლეს! ზუსტად ასე, **ვერც ბესარიონ გუგუშვილმა და ვერც დაცვის წევრებმა ვერაფერით გაიგეს იმ იარაღის ხმა, რომლითაც ზვიად გამსახურდიამ ვითომდა თავი მოიკლა.** ზოგი ამბობს, ტაშტის დავარდნის ხმა მოგვესმაო, ზოგი იფიცება, რაღაც მძიმე საგანი დავარდაო და ა.შ.

ექსპერტიზის დასკვნით, კიწმარიშვილს მანქანაში ჩართული ჰქონდა კონდიციონერი. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ლოგიკურად ვერაფრით იხსნება მძღოლის გვერდით და მის უკან კიწმარიშვილის მანქანის მინის ჩამოწევის ფაქტი.

**საეჭვოა სისხლის შხეფების გაბნევის ტრაექტორიაც... კიწმარიშვილის დაშვებულ ხელზე სისხლის შხეფების არსებობა და ხელზე არსებული ორი დაზიანება იმის უტყუარი მტკიცებულებაა, რომ ეროსი მოკლეს...** ხოლო 120 ათასი ლარის გამო რომ კიწმარიშვილი თავს არ მოიკლავდა, ამას ყველა ადასტურებს!

**კიწმარიშვილი არც იმის კაცი იყო, „მაესტროდან" გამოძევების გამო ენერვიულა, დეპრესიაში ჩავარდნილიყო და სიცოცხლე თვითმკვლელობით დაესრულებინა...**

მაშ, რა მოხდა 2014 წლის 15 ივლისს ეროსი კიწმარიშვილის სახლის გარაჟში?

ვერსიები სხვადასხვაა... ზოგი ამ მკვლელობას ქვემო ქართლში მიწების გაყიდვას უკავშირებს, რომელშიც, სავარაუდოდ, **გია ხევიაშვილი** და სააკაშვილის „კუდის" მაღალჩინოსანი, ავადსახსენებელი **ვაჟა ლილუაშვილი** იყვნენ ჩართული.

ჩვენი ღრმა რწმენით,

**კიწმარიშვილის მკვლელობის უფრო სარწმუნო მიზეზი ის უნდა იყოს, რაზეც ეროსი ახლობლებთან და ძველ ნაცნობებთან სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე ლაპარაკობდა. ჩვენი ინფორმაციით, კიწმარიშვილი არ მალავდა, რომ სააკაშვილს**

## 20 მილიონი დოლარის „გაგდებინებას" უპირებდა!

**თუ რა გზებით და მანქანებით მოახერხებდა ეროსი ამას და რა ისეთი კომპრომატები ჰქონდა სააკაშვილის შესახებ, რაშიც გარყვნილი მიშა 20 მილიონს გადაიხდიდა, ჩვენთვის უცნობია...** მაგრამ, თუ იმ ფაქტს გავითვალისწინებთ, რომ წლების განმავლობაში, შევარდნაძის „მოქალაქეთა კავშირიდან" დაწყებული, ნაცხლისტების სექტით დამთავრებული, „რუსთავი-2" სააკაშვილისა და მისი ბინძური ხროვის უკანალის მლოკველთა საზოგადოების ავანგარდში იდგა, მაშინ რა გასაკვირია, ეროსის სააკაშვილის შესახებ ისეთი რამეები დაემღერებინა და თუნდაც ჟვანიას მკვლელობაზეც ისეთი რამ ეთქვა, რაც სააკაშვილს იძულებულს გახდიდა, ზანდუკებისთვის თავი აეხადა და ეროსისთვის მილიონები მიეცა.

**ფაქტია, რომ საქმეში არსებული უამრავი წინააღმდეგობისა და შეუსაბამობის მიუხედავად, საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ ეროსი კიწმარიშვილის გარდაცვალებას თვითმკვლელობის კვალიფიკაცია არ შეუცვალა!**

ფაქტია, რომ არც **ზვიად გამსახურდიას,** არც **გურამ შარაძის,** არც **ზურაბ ჟვანიას,** არც **ბადრი პატარკაციშვილისა** და არც **ეროსი კიწმარიშვილის** მკვლელობა არ იხსნება!

**სანამ ჭაობისა და მემკვიდრეობითი ცოდვების ბუნაგი — საქართველოს გენერალური პროკურატურა არ „მოიხსნება" და სისტემა თავიდან არ ჩამოყალიბდება, მანამდე არცერთი ეს მკვლელობა არ გაიხსნება!**

***დიტო ჩუბინიძე***

## კვირგვინოსნები

**ჰერმან საბო**
*„გირჩის" წევრი, პარლამენტარი*



გვიხარია, რომ **ამნისტიის პროცესი** „ქართულმა ოცნებამ" თუნდაც წინასაარჩევნოდ წამოსწია — **არჩევნების წინა დღესაც რომ ხდებოდეს ამნისტია, მზად ვარ, მხარი დავუჭირო** და შევაქო ის, ვინც ამას გააკეთებს.

„ინტერპრესნიუსი"

**ბაჩო ღოლიძე**
*ნაციონალური მოძრაობის წევრი*



**არ შეიძლება, 21-ე საუკუნეში რეჟიმები გვყავდეს** და, მითუმეტეს, პირველყოფილი ადამიანებივით **ვიღაც ბელადი, რომელიც არ ჩანს.** ქვეყანას მართავენ ფიგურები, რომლებიც არაფერს წყვეტენ. ჩვენ არ ვიმსახურებთ ამას!

„ახალი თაობა"

**ნიკა ჩიტაძე**
*ექსპერტი*



**ივანიშვილის** აკვიატებაა, რომ **გლობალური ომის პარტია** ებრძვის.

„ახალი თაობა"

**ლევან ხაბეიშვილი**
*ნაციონალური მოძრაობის ყოფილი თავმჯდომარე*



სხვა ქვეყნიდან **300-500 კუნთმაგარი პირის ჩამოყვანა იგეგმება,** რომლებიც არჩევნებზე **თავ-პირს დაამტვრევენ ოპოზიციის მხარდამჭერებს.**

„ახალი თაობა"

**ლაშა ჩხარტიშვილი**
*ლეიბორისტული პარტიის წევრი*



არავის არა აქვს უფლება, მით უფრო ოპოზიციას, **ახლა წავიდეს და დაისვენოს.** სიმართლე გითხრათ, **საერთოდ გაუგებარია, რას აკეთებს პარლამენტში დღემდე ოპოზიცია.**

„ახალი თაობა"

# ვამბობთ პარტიას და ვგულისხმობთ ლენინის პლოშჩადს!

***საქართველოში მოქმედი და უცხოეთიდან დაფინანსებული რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებმა 2024 წლის 1 ივლისს პოლიტიკური პარტია დააფუძნეს და „თავისუფლების მოედანი“ დაარქვეს.***




სანამ ახალშობილი პარტიის ვითომ ორიგინალურ, სინამდვილეში კი, პოპულისტურ, პათეტიკურ და უკვე გვარიანად გაცვეთილ სახელწოდებაზე გავამახვილებთ ყურადღებას, უნდა ვთქვათ, რომ ე.წ. ენჯეო სექტორის წარმომადგენელთა მიერ პოლიტიკური პარტიის დაარსება **იმ კანონის პირდაპირი გამოძახილი გახლავთ, რომელიც საქართველოს პარლამენტმა კოლექტიური დასავლეთისა და მისი „მეხუთე კოლონის“ გააფთრებული წინააღმდეგობის ფონზე მიიღო.**

უკეთ თუ ვიტყვით, **უცხოეთიდან გაუმჭვირვალედ დაფინანსებულ ენჯეოელთა მიერ** პარტიის დაარსება და პოლიტიკურ ველზე ოფიციალურად შემოსვლა უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ კანონის პირველი და მნიშვნელოვანი ეფექტია!

აკი, უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ კანონის მიღება სწორედ იმის გამო გახდა აუცილებელი, რომ აშშ-ისა და ევროკავშირის ფონდებიდან დაფინანსებული მდიდარი და გავლენიანი არასამთავრობო ორგანიზაციები თავიანთი კომპეტენციის სფეროს ძალიან შორს იყვნენ გაცდენილი და პოლიტიკურ მოთამაშეებად გვევლინებოდნენ.

თქვენ წარმოიდგინეთ, არასამთავრობო სექტორისა თუ სამოქალაქო საზოგადოების შირმას ამოფარებული კოლექტიური ლომჯარიებისა და გიგაურების პოლიტიკური ასპარეზობა იქამდეც კი მივიდა, რომ ხელისუფლების გადადგომის მოთხოვნით საპროტესტო აქციებს აწყობდნენ და ტექნიკური მთავრობის ფორმირებას ითხოვდნენ.

ერთი სიტყვით, **უცხოეთიდან გაუმჭვირვალედ დაფინანსებული ვითომ არასამთავრობო ორგანიზაციები, რეალურად არაფორმალური პოლიტიკური პარტიები არიან და რამდენიმე მათგანი ქართულ პოლიტიკაში იმაზე დიდი დოზით არის ჩართული, ვიდრე ზოგიერთი ოფიციალურად რეგისტრირებული პოლიტიკური პარტია.**

ახლა კი, როცა უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ კანონი უცხოეთიდან დაფინანსებულ არასამთავრობო ორგანიზაციებს ავალდებულებს, სპეციალურ რეესტრში დარეგისტრირდნენ და თავიანთი შემოსავლები დაადეკლარირონ, ბევრ მათგანს ისღა დარჩენია, სამოქალაქო საზოგადოების შირმა მოიშოროს და ოფიციალურად დაირქვას ის, რასაც აქამდე არაოფიციალურად წარმოადგენდა — პოლიტიკური პარტია.

**ამ გზით არასამთავრობო სუბიექტები თავიდან აიცილებენ გამჭვირვალობის კანონით გათვალისწინებულ ვალდებულებას, დარეგისტრირდნენ უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციებად, ხოლო გაუმჭვირვალე უცხოურ დაფინანსებას, ანუ შავ ფულს სხვა გზებითა და არხებით მაინც მიიღებენ.**

ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, **უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ ქართული კანონი,** რომელიც ოფიციალურად ჯერ არ ამოქმედებულა, არაოფიციალურად უკვე მოქმედებს და ძალიან კარგ საქმესაც აკეთებს — არალეგალურ პოლიტიკურ აქტორებს სახიდან ენჯეოელის ნიღაბს აძრობს და პოლიტიკაში ლეგალურად შემოჰყავს!

ჰოდა, აი, პირველი მერცხალიც — **პოლიტიკური პარტია „თავისუფლების მოედანი“,** ადრინდელი „ლენინის პლოშჩადი“, რომლის დამფუძნებელი და ლიდერი გახლავთ არასამთავრობო ორგანიზაცია **„აღმოსავლეთ ევროპის მრავალპარტიული დემოკრატიის ცენტრის“** აწ უკვე ყოფილი აღმასრულებელი დირექტორი **ლევან ცუცქირიძე,** ვინც უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ კანონის წინააღმდეგ აგორებული საპროტესტო ტალღის ერთ-ერთი ორგანიზატორი და აქტიური მონაწილე იყო.

რა ლაპარაკი უნდა, რომ არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელთა მიერ დაარსებული პოლიტიკური პარტია „პროდასავლური“ და „ლიბერალური“ მიმართულების იქნება, **ანუ ეს იქნება პარტია, რომელიც ძალისხმევას არ დაიშურებს, რათა საქართველო დარჩეს ვაშინგტონისა და ბრიუსელის „უკანა ეზოდ“ — უუფლებო კოლონიად, რომელსაც სუვერენული ნაბიჯების გადადგმა აზრადაც კი არასოდეს უნდა მოუვიდეს!**

**ეს იქნება პოლიტიკური პარტია, რომელიც** არასოდეს დაუჭერს მხარს საქართველოში ლგბტ პროპაგანდის აკრძალვასა და ოჯახური ღირებულებების დასაცავად საკანონმდებლო ბაზის შექმნას!

**ეს იქნება პარტია, რომელიც** ყოველთვის მხარს დაუჭერს საქართველოში ლგბტ პრაიდების მოწყობას, ერთნაირსქესიანთა ქორწინების დაკანონებას, გეი წყვილებისათვის შვილის აყვანის უფლების მინიჭებას და ყველანაირი ნეოლიბერალური სიშლეგისა და სიბილწის დამკვიდრებას.

მოკლედ, უცხოეთიდან გაუმჭვირვალედ დაფინანსებული არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენელთა მიერ დაფუძნებული **პარტია „თავისუფლების მოედანი“** პოლიტიკაში იქნება ის, რაც არასამთავრობო სექტორში იყო **„თავისუფლების ინსტიტუტი“.**

უკეთ რომ ვთქვათ, უცხოეთიდან გაუმჭვირვალედ დაფინანსებული არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენელთა მიერ დაფუძნებული პარტია **„თავისუფლების მოედანი“** არის პოლიტიკური და იდეოლოგიური აჯაფსანდალი, რომელიც ცოტა ნაცმოძრაობისაგან, ცოტა ბოკერიასაგან, ცოტა შარვალჩახდილი გირჩისაგან, ცოტა ლიაკა რუბლოვნა-ხოშტარიასა და ცოტაც ჭიჭე ვაშაძისაგან შედგება!

**პარტია „თავისუფლების მოედანი“!**

ვითომ კრეატიული სახელია!

ვითომ რაღაც ახალია, გვარამიას პარტია „ახალივით“!

ვითომ... ვითომ...

სინამდვილეში კი ენჯეოელთა პარტიისათვის „თავისუფლების მოედნის“ დარქმევა იმ პოლიტიკური და პროპაგანდისტული ბლეფის მორიგი გამოვლინებაა, ლამის ყველა ქართული პარტიის დასახელებაში „თავისუფლება“, „დემოკრატია“, „სამართალი“, „პროგრესი“ და სხვა ამისთანა მაღალფარდოვანი და კეთილხმოვანი სიტყვები რომ ფიგურირებს.

ხოლო, თუ მაინცდამაინც „თავისუფლების მოედანზე“ მიდგება საქმე, უპრიანი იქნება, უცხოეთიდან გაუმჭვირვალედ დაფინანსებული არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენელთა მიერ დაფუძნებულ პარტიას ახლანდელი თავისუფლების მოედნის უწინდელი სახელი — **ლენინის მოედანი** ეწოდოს, რადგან ამ პარტიის კვაზილიბერალური იდეოლოგია ბოლშევიზმთან და ლენინთან ბევრად უფრო ახლოა, ვიდრე ნამდვილ ლიბერალიზმთან და თავისუფლებასთან.




*თბილისი, ლენინის (დღევანდელი თავისუფლების) მოედანი*

ასე რომ, წინადადებით შემოვდივართ, **უცხოეთიდან გაუმჭვირვალედ დაფინანსებული არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენელთა მიერ დაფუძნებულ პარტიას „თავისუფლების მოედნის“** მაგივრად **„ლენინის მოედანი“** ეწოდოს, ხოლო ცნობილი ფრაზა: „ვამბობთ პარტიას და ვგულისხმობთ ლენინს“ ასეთნაირად ტრანსფორმირდეს: „ვამბობთ პარტიას და ვგულისხმობთ ლენინის პლოშჩადს!“

ვფიქრობთ, ლენინსაც ძლიერ გაუხარდებოდა, რომ მისი გარდაცვალებიდან 100 წლის შემდეგ საქართველოში მისი სახელობის მოედანი თუ არა, მისი სახელობის პარტია — **„ლენინის მოედანი“** მაინც იარსებებს!

**ჯაბა ხუბუა**

გენერალისიმუსი

№34-35 (270-271) ★ 2024 წლის 8 ივლისი ★ გამოდის 2003 წლიდან

# ტელეჯახი, რომელმაც შეაზანზარა მსოფლიო




*დასაწყისი იხ. „გენერალისიმუსის“ №33. დებატების გაგრძელება 31-ე წუთიდან*

**ტრამპი:** — ბაიდენმა ვერ გადაჭრა ავღანეთის პრობლემა. ეს იყო საშინელი სირცხვილი, შეიძლება ითქვას, ყველაზე სამარცხვინო მომენტი ჩვენი ქვეყნის ისტორიაში. ამის შემყურე **პუტინმა** უმალ დაინახა ბაიდენის არაკომპეტენტურობა, რომელსაც მაშინვე უნდა დაეთხოვა ეს გენერლები, როგორც თავის დროზე მე მოვიქეცი. დიახ, ეს იყო ყველაზე სამარცხვინო რამ — **ავღანეთში ჩვენ დავტოვეთ მილიარდობით დოლარის მოწყობილობა და ხალხი — ამერიკის მოქალაქენი, დავკარგეთ მშვენიერი ჯარისკაცები...** ამის შემყურე პუტინმა თქვა — ვფიქრობ, ჩვენ შევალთ და ავიღებთ ჩვენსას, ეს იყო მისი ოცნება. მე ვესაუბრე მას ამის შესახებ... განსხვავება ისაა, რომ ის არასოდეს შეიჭრებოდა უკრაინაში ისევე, როგორც „ჰამასი“ არასოდეს დაესხმებოდა თავს ისრაელს, რადგან ირანი ჩემ დროს ბანკროტი იყო. მე არავის ვაძლევდი უფლებას, დაეჭირა მასთან საქმე... მათ არ ჰქონდათ ფული... აი, რატომ არ ყოფილა ტერორი ჩემი მმართველობის დროს, **ახლა კი ამის ფეხებქვეშ მთელ მსოფლიოს ცეცხლი უკიდია.**

**ბაიდენი:** — მთელი ჩემი ცხოვრების მანძილზე არ მსმენია ამდენი უნაყოფო სიტყვა. მოდით, შევეხოთ ბოლო პუნქტს — ირანი თავს დაესხა ამერიკულ შენაერთებს და ტრამპმა არაფერი იღონა ამის წინააღმდეგ. გადაავლეთ თვალი, რა ჩაიდინა **ტრამპმა** უკრაინასთან მიმართებაში — მან, პირდაპირი გაგებით, წაახალისა **პუტინი — გააკეთე, რაც გსურს და როგორც გსურს.** ნახეთ, თავის მხრივ, რა თქვა **პუტინმა** უკრაინაში შეჭრისას — კიევს **5 დღეში ავიღებო.** ეს ხომ ძველი საბჭოთა კავშირის ნაწილია, რისი აღდგენაც სურდა მას, თუმცა, სინამდვილეში არაფერი გამოუვიდა და მათ დაკარგეს ათასობით ჯარისკაცი... 500 ათასი ჯარისკაცი...

***წამყვანი:** — პრეზიდენტო ტრამპ, მე მინდა, დავუბრუნდე თავდაპირველ საკითხს. არის თუ არა **პუტინის** პირობები თქვენთვის მისაღები, რომ შეინარჩუნოს უკრაინის მიტაცებული ტერიტორიები?*

**ტრამპი:** — არა, არ არის მისაღები, მაგრამ მომისმინეთ —

## ეს არის ომი, რომელიც არასოდეს არ უნდა დაწყებულიყო, ნამდვილი ლიდერი რომ გვყოლოდა... მან ისინი ერთმანეთის პირისპირ დატოვა, ახლა კი უკრაინას 200 მილიარდი დოლარი და, შესაძლოა, მეტიც გამოუყო.

ეს უზარმაზარი ფულია. მე ვფიქრობ, ისტორიას ასეთი რამ არ ახსოვს. ყოველთვის, როცა **ზელენსკი** ამ ქვეყანაში ჩამოდის, უკან, სულ მცირე, 60 მილიარდი დოლარით ბრუნდება. ის უდიდესი ვაჭარია მთელ მსოფლიოში და ვერც გაამტყუნებ. მე ვამბობ, რომ ფული, რომელიც ამ ომზე იხარჯება, არ უნდა დაგვეხარჯა, რადგან ეს ომი საერთოდ არ უნდა დაწყებულიყო. **მე დავასრულებ ომს პუტინსა და ზელენსკის შორის, როგორც არჩეული პრეზიდენტი ჯერ კიდევ მანამდე, სანამ უფლებამოსილებას გადმოვიბარებ, ანუ 20 იანვრამდე!** მე მოვაგვარებ ამ ომის საკითხს. ადამიანებს კლავენ სულელურად და უაზროდ, მე აღვკვეთ ამას, ვიდრე ოფიციალურად გავფორმდები თანამდებობაზე!

**ბაიდენი:** — საქმე ისაა, რომ **პუტინი** სამხედრო დამნაშავეა! მან მოკლა ათასობით ადამიანი! რადგან მას სურს, აღადგინოს ის, რაც იყო საბჭოთა იმპერიის ნაწილი და არამარტო ნაწილი, მას სჭირდება სრულიად უკრაინა. და როგორ ფიქრობთ, შეჩერდება კი ამაზე ან როგორ მოიქცევა, თუ უკრაინას დაიპყრობს — **რა დღეში აღმოჩნდებიან პოლონელები, რას ფიქრობთ ბელარუსზე, რა ელით ნატოს ქვეყნებს?** ასე რომ, თუ თქვენ არ გინდათ ომი, უნდა გაარკვიოთ, რას აპირებს იგი, რადგან, თუ რეალურად მიაღწია იმას, რასაც ამბობს...

***წამყვანი:** — გადავიდეთ ახლო აღმოსავლეთზე. ოქტომბერში „ჰამასი“ თავს დაესხა ისრაელს. მოკლა 1000 ადამიანზე მეტი და აიყვანა ასობით მძევალი... იმ ადამიანებს შორის, ვინც გატაცებულია და დღემდე ცოცხალი შეიძლება იყოს, არის 5 ამერიკელი. ისრაელის საპასუხო მოქმედებათა შედეგად დაიღუპა ათასობით პალესტინელი, ხოლო ღაზაში დაიწყო ჰუმანიტარული კრიზისი. **პრეზიდენტო ბაიდენ,** თქვენ წამოაყენეთ კონფლიქტის დარეგულირების წინადადება, მაგრამ „ჰამასს“ ამ დრომდე არ გაუთავისუფლებია მძევლები, ხოლო ისრაელი აგრძელებს სამხედრო იერიშს ღაზაში. **რა დამატებით ღონისძიებებს გაატარებთ იმისათვის, რათა „ჰამასი“ და ისრაელი იძულებული გახდნენ, შეწყვიტონ ომი?***

**ბაიდენი:** — ყველამ — დაწყებული გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოთი და დიდი შვიდეულით, დამთავრებული ისრაელელებითა და ნეთანიაჰუთი, მოიწონა ჩემი შეთავაზებული სამეტაპიანი გეგმა. პირველი — მძევალთა გაცვლა და ცეცხლის შეწყვეტა; მეორე — ცეცხლის შეწყვეტა დამატებითი პირობებით და მესამე — ომის დასრულება. **ერთადერთი, ვისაც ომის გაგრძელება სურს, არის „ჰამასი“ და ჩვენ ყველანაირად ვცდილობთ, მივაღწიოთ მათ თანხმობას. ჩვენ ისრაელს ყველა საჭირო შეიარაღებას ვაწვდით, უფრო მეტიც, პირადად მე შევმართე მთელი მსოფლიო ირანის წინააღმდეგ, როდესაც საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტებით დაარტყა ისრაელს.** არავინ დაშავებულა, მხოლოდ ერთი ისრაელელი იქნა მოკლული და ყველაფერი ამით დასრულდა. ჩვენ ისრაელს მსოფლიოში ყველაზე დიდ სამხედრო დახმარებას ვუწევთ და არ უნდა დავუშვათ, რომ „ჰამასმა“ კვლავ იარსებოს, როგორც ეს გავაკეთეთ **ბენ ლადენის** შემთხვევაში. **„ჰამასი“ უნდა განადგურდეს, მაგრამ ჩვენ უნდა ვიყოთ ფრთხილად გარკვეული იარაღის გამოყენებისას დასახლებულ პუნქტებში.**

**ტრამპი:** — წამით დავუბრუნდეთ უკრაინას. ჩვენ გვყოფს ოკეანე. ევროპის ქვეყნებმა დახარჯეს 100 მილიარდი, შესაძლოა, მეტიც, მაგრამ ჩვენზე ნაკლები... რატომ არ შეიძლება, დაურეკოს მათ **ბაიდენმა** და უთხრას — დახარჯონ საკუთარი ფული, როგორც მე ვაკეთებდი თავის დროზე. ეს მე ვაიძულე ისინი, გამოეყოთ ასობით მილიარდი დოლარი. ნატოს გენერალურმა მდივანმა განაცხადა, რომ ტრამპმა ჩაატარა ყველაზე წარმოუდგენელი სამუშაო, რაც კი ოდესმე უნახავს. მათ, პრაქტიკულად, არაფერი ჰქონდათ და ლამის 100 პროცენტი იმ თანხისა, რომელსაც ხარჯავდნენ, ჩვენი იყო. მაგრამ **ბაიდენმა** ასეთი რამ არ მოიმოქმედა. თქვენ უნდა სთხოვოთ ამ ადამიანებს, გაიღონ საკუთარი ფული. რაც შეეხება ისრაელსა და „ჰამასს“ — ისრაელი ერთადერთია, ვისაც სურს ომის გაგრძელება, **ბაიდენმა** კი თქვა — ერთადერთი, ვისაც გაგრძელება სურს, „ჰამასია“, არადა, სინამდვილეში ისრაელია თავი და თავი. და თქვენ უნდა მიუშვათ იგი, რათა დაამთავროს დაწყებული საქმე, მაგრამ **ბაიდენს** არ სურს ეს, იგი დაემგვანა პალესტინელს, მაგრამ მათ იგი არ უყვართ, რადგან ძალიან ცუდი პალესტინელია. ის სუსტია.

**ბაიდენი:** — ამდენი სისულელე არასოდეს მსმენია. ამ ბიჭს ნატოდან უნდა გამოსვლა, არადა, ჩვენი იდეა იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენი ძალა ალიანსშია. სწორედ ამან აგვაცილა ომი ევროპაში. არადა, რა მოხდება, თუკი **პუ-**

*გაგრძელება „გენერალისიმუსის“ მე-2 გვერდზე*

# ტელეჯახი, რომელმაც

## საპრეზიდენტო დებატები

*დასაწყისი „გენერალისიმუსის“ პირველ გვერდზე*

**ტინი** განაგრძობს ნატოში შეჭრას? ჩვენ გვაქვს შეთანხმება, რომლის მიხედვით, ნატოს ერთ წევრ ქვეყანაზე თავდასხმა მთელს ალიანსზე თავდასხმას ნიშნავს. **გსურთ, დაიწყოს ბირთვული ომი, რომელზეც ის გამუდმებით ლაპარაკობს? მაშ, წინ! — მიეცით პუტინს ნება, დაიპყროს მთელი უკრაინა და ამის შემდეგ იგი გადავა პოლონეთზე და სხვა ქვეყნებზე.**

ტრაპს, ეშმაკმა დალახვროს, წარმოდგენა არა აქვს, რას ლაპარაკობს. ამასთან, ეს მე ვაიძულე მსოფლიოს 50 ქვეყანა, იაპონიისა და სამხრეთ კორეის ჩათვლით, მხარი დაეჭირათ უკრაინისათვის. მათ ესმით, რომ მსგავსი დაბნეულობა საფრთხეს უქადის მშვიდობას მთელ მსოფლიოში. **ევროპაში დაწყებული არცერთი დიდი ომი არასოდეს მომწყვდეულა მხოლოდ ევროპის საზღვრებში!**

***წამყვანი:*** *— პრეზიდენტო ტრამპ, თქვენ მხარს დაუჭერდით პალესტინის დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნას რეგიონში მშვიდობის დასამყარებლად?*

**ტრამპი:** — მე ვიფიქრებდი ამაზე... მაგრამ, ვიდრე კონკრეტულ ნაბიჯს გადავდგამთ, არსებობს პრობლემა — ჩვენ ვხარჯავთ დიდძალ ფულს და ისინი გვჯაბნიან ვაჭრობის სფეროში. მე გავაფორმე წარმატებული სავაჭრო გარიგებები ევროპულ ქვეყნებთან იმიტომ, რომ ეკონომიკური თვალსაზრისით ყველა ერთად რომ შეკრიბო, დაახლოებით ჩვენი მასშტაბისა იქნებიან. მე განვაცხადე — არ დავუჭერ მხარს ნატოს, თუ ისინი ფულის გადახდას არ აპირებენ. მათ მკითხეს — **დაგვიცავთ თუ არა რუსეთისაგან?** — ეს იყო 28 ქვეყნის ძალიან საიდუმლო შეხვედრაზე. და მე მივუგე — **არა, თუ თანხის გადახდას არ აპირებთ, ეს არ მოხდება.** და იცით, რა მოჰყვა ამას? — მილიარდობით დოლარმა მომდევნო დღიდანვე იწყო ჩვენკენ დინება.

***წამყვანი:*** *— პრეზიდენტო ტრამპ, მინდა, გკითხოთ 2021 წლის 6 იანვრის შესახებ, როცა თქვენი მომხრეები კაპიტოლიუმში შეიჭრნენ ხმების დასაცავად. გაპრეზიდენტებისას თქვენ ფიცი დადეთ, რომ დაიცავთ კონსტიტუციას. რას ეტყვით იმ ამომრჩეველს, რომელიც თვლის, რომ დაარღვიეთ ეს ფიცი თქვენი ქმედებით თუ უმოქმედობით 6 იანვარს?*

**ტრამპი: — 6 იანვარს ჩვენ გვქონდა საუკეთესო საზღვარი, საიდანაც ვერავინ ახერხებდა ჩვენს ქვეყანაში შემოღწევას; 6 იანვარს ჩვენ გვქონდა ენერგეტიკული დამოუკიდებლობა; 6 იანვარს ჩვენ გვქონდა ყველაზე დაბალი გადასახადები მთელი ისტორიის მანძილზე; 6 იანვარს ჩვენ პატივს გვცემდნენ მთელ მსოფლიოში...** ამის მერე მოდის **ბაიდენი** და ჩვენ გვეუბნებიან, რომ წარმოვადგენთ მოსულელო ადამიანთა გროვას. **ის ზიანი, რომელიც მიადგა ამერიკის შეერთებული შტატების რეპუტაციას ამ ადამიანის ხელში, ამაზრზენია.** ესაა პერიოდი, როდესაც იგი იწყებს პოლიტიკური ოპონენტის დევნას, რადგან ვერ ახერხებს მის დამარცხებას პატიოსანი და სამართლიანი გზით.

**ბაიდენი:** — ის მოუწოდებდა ამ ადამიანებს კაპიტოლიუმის შტურმისაკენ. მე ვიჯექი სასადილოში, ოვალური კაბინეტის გვერდით. ის იჯდა იქ მთელი სამი საათი. მას ევედრებოდნენ, რაიმე ეღონა ყოველივე ამის ასაკვეთად, მაგრამ ის ამბობდა, რომ ეს ადამიანები პატრიოტები იყვნენ, თანაც ამერიკის მფარველნი და აპატიებს ჩადენილს. **ისინი იყვნენ სამართალში მიცემულნი, მაგრამ იგი ამბობს, რომ შეუმსუბუქებს მათ განაჩენს. მან მიმართა ქვეყნის თითქმის ყველა სასამართლოს... მაგრამ ეს ადამიანები დამნაშავენი არიან და ციხეში უნდა ისხდნენ.**

დიახ, ერთადერთი პასუხისგებაში მიცემული დამნაშავე ეს ადამიანია, რომელსაც მე ამჟამად ვუყურებ. რასაც იგი ამბობს, ტყუილია. მისი მხრიდან არ იყო არანაირი მცდელობა, შეეჩერებინა ის, რაც კაპიტოლიუმის ბორცვზე ხდებოდა. და ყველა პასუხისგებაში მიცემული იმსახურებდა, რომ მართლაც პასუხისგებაში ყოფილიყო მიცემული. ჩვენ ვგმობთ მათ! ეს კი უარს ამბობს მათ განკიცხვაზე.

***წამყვანი:*** *— მას შემდეგ, რაც ნაფიცმა მსაჯულებმა 34 დანაშაულში დაგდეს ბრალი, თქვენ განაცხადეთ, რომ არჩევის შემთხვევაში გექნებათ სრული უფლება, პასუხისგებაში მისცეთ თქვენი პოლიტიკური ოპონენტები. ისიც თქვით, რომ საარჩევნო კომისიის წევრები ციხეებში გამწესდებიან.. თქვენი მთავარი პოლიტიკური ოპონენტი დღეს თქვენ წინაშე დგას... შეგიძლიათ, განმარტოთ, რას ნიშნავს მოსაზრება, რომ გაქვთ უფლება, სამართლებრივად დევნოთ პოლიტიკური ოპონენტები?*

**ტრამპი:** — მე ვთქვი, რომ **ჩემი ანგარიშსწორება იქნება წარმატება. ჩვენ კვლავ ვაქცევთ წარმატებულად ამ ქვეყანას, იმიტომ, რომ ამჟამად ეს არის წარუმატებელთა ქვეყანა.** მაგრამ, როდესაც იგი ლაპარაკობს პასუხისგებაში მიცემულ დამნაშავეზე, უნდა ითქვას, რომ **თავად მისი შვილია ძალიან მაღალი დონის დამნაშავე. მისი შვილია პასუხისგებაში მიცემული და შესაძლოა, კვლავაც მიეცემა პასუხისგებაში არაერთხელ...** და უნდა იყოს კიდევაც პასუხისგებაში მიცემული! მაგრამ მისმა იუსტიციის სამინისტრომ დაუშვა ხანდაზმულობის ვადის ამოწურვა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი საქმეების მიმართ. თავად **ბაიდენი** შეიძლება გახდეს პასუხისგებაში მიცემული დამნაშავე, როგორც კი პოსტს დატოვებს. **ჯო** შეიძლება მიცემული იყოს პასუხისგებაში იმ ყველაფრისათვის, რაც ჩაიდინა. თუნდაც ყველა ეს ლეტალური შემთხვევა საზღვარზე, გნებავთ, უკრაინელი ხალხისადმი მიმართვა, რომ მილიარდ დოლარს იმ შემთხვევაში მიიღებს, თუკი პროკურორს შეცვლიან, რომელიც პრეზიდენტ ბაიდენის შვილთან არის დაკავშირებული... **ეს ადამიანი დამნაშავეა! პირადად მე არაფერი ცუდი არ ჩამიდენია!**

**ბაიდენი:** — იმის გაფიქრება, რომ მე ჩავიდინე რაიმე ცუდი იქიდან, რაზეც ლაპარაკობთ, მართლაც აღმაშფოთებელია და თანაც ტყუილი! არსებობს დანაშაული, რომელშიც თქვენ ჯერ კიდევ გედებათ ბრალი და დაფიქრდით ყველა იმ სამოქალაქო ჯარიმაზე, რომელიც ჯერ კიდევ გადასახდელია. რამდენმილიარდიანი ჯარიმა უნდა გადაიხადოთ იმისათვის, რომ საჯაროდ ავიწროებდით ქალს ან თუნდაც სექსისათვის პორნოვარსკვლავთან, როდესაც თქვენი ცოლი ორსულად იყო? და, საერთოდ, რაზე ლაპარაკობთ — **თქვენ გაქვთ ქუჩის კატისებრი მორალი!**

**ტრამპი:** — მე არ მქონია სექსი პორნოვარსკვლავთან. **მათ გადმოიყვანეს მაღალი თანამდებობის პირი იუსტიციის სამინისტროდან მანჰეტენის პროკურატურაში, რათა ეს საქმე წამოეწყოთ.** ეს საქმე იქნება გასაჩივრებული და მოგებული. ჩვენ გვყავდა საშინელი მოსამართლე, დემოკრატი... ყველა პროკურორი იყო მაღალი რანგის დემოკრატი, დანიშნული მის მიერ. **ის დევნიდა თავის პოლიტიკურ ოპონენტს, რადგან თვლიდა, რომ ზიანს მოაყენებდა, მაგრამ, როდესაც საზოგადოებამ გაიგო ამ ამბების შესახებ, ჩემი მაჩვენებლები მნიშვნელოვნად გაიზარდა და ბოლო ორი კვირის მანძილზე ჩვენ მივიღეთ ასობით მილიონი დოლარი, იმაზე მეტი ფული, ვიდრე ნებისმიერი ადრინდელი საპრეზიდენტო კამპანიის დროს.** საზოგადოებამ იცის, რომ ყველა მისი ქმედება ჩემ წინააღმდეგ არის მხოლოდ თაღლითობა, რადგან ამ ბიჭს არ შესწევს უნარი, პატიოსნად და სამართლიანად მოუგოს!

***წამყვანი:*** *— პრეზიდენტო ბაიდენ, მართალია, უმუშევრობა შავკანიანთა შორის თქვენი მმართველობის პერიოდში რეკორდულად დაბალ ნიშნულზე დავიდა, მაგრამ შავკანიანთა ოჯახები მაინც მნიშვნელოვნად ნაკლებს გამოიმუშავე-*



დონალდ ტრამპი

**მე დავასრულებ ომს პუტინსა და ზელენსკის შორის, როგორც არჩეული პრეზიდენტი ჯერ კიდევ მანამდე, სანამ უფლებამოსილებას გადმოვიბარებ, ანუ 20 იანვრამდე!**



# შეაზანზარა მსოფლიო

*ბენ, ვიდრე თეთრკანიანები. შავკანიანი დედები 3-ჯერ უფრო ხშირად იღუპებიან ორსულობასთან დაკავშირებული პრობლემებით, ხოლო შავკანიანი ამერიკელები 5-ჯერ უფრო ხშირად ხვდებიან ციხეში, ვიდრე თეთრკანიანები.* ***რას ეტყვით შავკანიან ამომრჩეველს, რომელიც იმედგაცრუებულია იმის გამო, რომ მეტ პროგრესს ვერ მიაღწიეთ?***

**ბაიდენი:** — ისინი აღიარებენ, რომ ჩვენ მივაღწიეთ დიდ პროგრესს. უპირველეს ყოვლისა, შავკანიანთა მიერ დაფუძნდა გაცილებით მეტი მცირე ბიზნესი, ვიდრე მანამდე, უმუშევრობამაც მნიშვნელოვნად იკლო. მე არ ვადანაშაულებ მათ იმაში, რომ იმედი გაუცრუვდათ. ინფლაცია ჯერჯერობით მათ სერიოზულ ზიანს აყენებს... მაგალითად, მე მხარი დავუჭირე იდეას, რომ ნებისმიერმა შავკანიანთა ოჯახმა, რომელიც მიწას ყიდულობს, მიიღოს 10-ათასდოლარიანი კრედიტი თავისი პირველი საცხოვრებლის შესაძენად. ჩვენ ვაპირებთ, შავკანიანებისათვის გავაკეთოთ გაცილებით მეტი.

**ტრამპი:** — ინფლაციის მიზეზი თავადაა! მან გამოიწვია ინფლაცია, რაც კლავს შავკანიანთა ოჯახებს, ლათინოამერიკელთა ოჯახებს და თითქმის ყველას. ადამიანებს აღარ შესწევთ ძალა, შეიძინონ პროდუქტები, რომელთა ფასიც გაორმაგდა, გასამმაგდა, გაიზარდა 4-ჯერაც კი! მათ აღარ შეუძლიათ ცხოვრება! **მაგან** გამოიწვია ეს ინფლაცია. მე დავუტოვე მას იდეალური ქვეყანა, სადაც, პრაქტიკულად, აღარ იყო ინფლაცია, ერთადერთი, რაც მას უნდა მოემოქმედა, იყო ის, რომ ამ ყველაფრისათვის ხელი არ ეხლო... **მაგრამ მან დაანგრია ქვეყანა თავისი მწვანე აფერებით, ფანჯრიდან გადაყრილი ფულით...** თუკი თქვენ ეჭვი გეპარებათ იმაში, რომ მან შავკანიანები მოკლა, დაფიქრდით იმ მილიონობით ადამიანზე, რომლებმაც შემოაღწიეს ჩვენთან მაგის პერიოდში დანახვრეტებული საზღვრიდან და ამ შავკანიანების სამუშაო ადგილები დაიკავეს. ეს შეიძლება იყო 18,19 ან სულაც 20 მილიონი ადამიანი! **დიახ, მათ დაიკავეს შავკანიანთა, გნებავთ, ლათინოამერიკელთა სამუშაო ადგილები და მალე თქვენ ნახავთ რაღაც უფრო შემზარავს ჩვენს ისტორიაში.**

**ბაიდენი:** — როცა მე ხელისუფლებაში მოვედი, ინფლაცია არ იყო და, იცით, რატომ? ეკონომიკა ზურგზე ეგდო, უმუშევრობის მაჩვენებელი შეადგენდა 50 პროცენტს... **მან დააქცია ეკონომიკა და აი, რატომ არ იყო ინფლაცია!** ჩვენ უზრუნველვყავით ათასობით, შეიძლება ითქვას, მილიონობით სამუშაო ადგილი ადამიანებისათვის, რომლებიც თემებში ცხოვრობდნენ, გადავჭერით მათთვის სადაზღვევო პრობლემები, მათ შორის, სამედიცინო დაზღვევასთან დაკავშირებული საკითხები. მე ვიზრუნე, რათა ოჯახის თითოეულ წევრზე სადაზღვევო თანხას 8000 დოლარი შეედგინა... მაგრამ **ტრამპს** სურს, ეს ყველაფერი გააუქმოს. ჩვენ გამოვიყვანეთ ქუჩაში გაცილებით მეტი პოლიციელი, ვიდრე რომელიმე ადრინდელ ადმინისტრაციას გამოუყვანია, მას კი სწადია მათი რიცხოვნობის შემცირება... რაც მთავარია, ინფლაცია მაგისი ნამოქმედარის შედეგია.

## საპრეზიდენტო დებატები ★



***წამყვანი:*** *— კიდევ ერთი მუდმივი გამოწვევა ეს არის კლიმატური კრიზისი. 2023 წელი იყო ყველაზე ცხელი დაკვირვებათა მთელი ისტორიის მანძილზე. ადამიანები მთელი ქვეყნის მასშტაბით აწყდებიან ექსტრემალური სიცხის დამანგრეველ შედეგებს, რასაც ემატება ტყის მასობრივი ხანძრები, ძლავრი ქარიშხლები და ზღვის დონის აწევა.* ***ყოფილო პრეზიდენტო ტრამპ,*** *თქვენ პირობა დადეთ, აღკვეთოთ თქვენი ოპონენტის კლიმატური ინიციატივები, მაგრამ რას მოიმოქმედებთ კონკრეტულად, რათა შეანელოთ კლიმატური კრიზისი?*

**ტრამპი:** — ნება მომეცით, დავუბრუნდე იმას, რაც მან პოლიციის შესახებ თქვა, კონკრეტულად, რაოდენ ახლოსაა მასთან პოლიცია... თითქმის ყველა საპოლიციო ჯგუფი ქვეყანაში, თითოეულ შტატში, მხარს უჭერს დონალდ ტრამპს და რაც მან შავკანიან მოსახლეობას დამართა, საშინელებაა, თუნდაც ის, რომ მთელი ათწლეულის მანძილზე მათ **სუპერმტაცებლებად** მოიხსენიებდა. ჩვენ აღარ უნდა ვიცხოვროთ 90-იან წლებში! **სუპერმტაცებელი** — ეს მისი სახელია! ამ სახელით მოიხსენიებდა იგი ადამიანებს, რომლებსაც ძალიან სწყინდათ ეს... ამაზრზენია, რაც მან მოიმოქმედა შავკანიანთა წინააღმდეგ... ლათინოამერიკელთა წინააღმდეგ.

***წამყვანი:*** *— თქვენ დაგრჩათ 38 წამი... რას მოიმოქმედებთ პრეზიდენტის რანგში, რათა შეანელოთ კლიმატური კრიზისი?*

**ტრამპი:** — მე მსურს აბსოლუტურად სუფთა წყალი და სუფთა ჰაერი. და ჩვენთან იყო ასეთი $H_2O$. ჩვენ გვქონდა საუკეთესო მაჩვენებლები მთელი ისტორიის მანძილზე, ჩვენ გამოვიყენეთ ყველა ტიპის ენერგია და პრეზიდენტობის 4 წლის მანძილზე მქონდა საუკეთესო შედეგები.

**ბაიდენი:** — ეშმაკმა დალახვროს, ვერ გავიგე, სად იყო იგი — ტანკში ხომ არ იჯდა? მე მივიღე ყველაზე მასშტაბური კანონი კლიმატის ცვლილებებთან დაკავშირებით. ჩვენ აღმოვჩნდით ზღვარზე... შავკანიანთა კოლეჯებისათვის მე გამოვყავი 15 მილიარდი დოლარი, შავკანიანთა ისტორიული უნივერსიტეტებისა და კოლეჯებისათვის... ტრამპი ამტკიცებს, რომ რაღაც გააკეთა და რომ მას აქვს ყველაზე სუფთა ჰაერი და წყალი, მაგრამ მას არაფერი გაუკეთებია ეკოლოგიის სფეროში. ის გამოვიდა პარიზის სამშვიდობო შეთანხმებიდან, კლიმატთან დაკავშირებული შეთანხმებიდან. მე კი უმალ შევუერთდი ამ შეთანხმებას, რადგან, თუკი ადგილი ექნება გარემოს ტემპერატურის მატებას თუნდაც ცელსიუსის 1,5 გრადუსით, უკან დასახევი გზა აღარ დაგვრჩება. **ერთადერთი ეგზისტენციალური საფრთხე კაცობრიობისათვის ესაა კლიმატის ცვლილება, მან კი არაფერი გააკეთა ამისათვის.**

**ტრამპი:** — პარიზის მშვიდობიანი შეთანხმება ჩვენ უნდა დაგვჯდომოდა 1 ტრილიონი დოლარი, ხოლო ჩინეთს, რუსეთსა და ინდოეთს — არაფერი... ეს იყო ამერიკის შეერთებული შტატების ძარცვა. მე შევწყვიტე თანამშრომლობა, რადგან არ მსურდა, ფუჭად მეფლანგა ფული. არადა, ჩვენ ვიყავით ერთადერთი, ვინც იხდიდა ფულს და ეს იყო კატასტროფა... მე მოვისმინე, რას ამბობდა იგი ინსულინთან დაკავშირებით. **ეს მე მივაღწიე იმას, რომ ხანდაზმულებისთვის ინსულინი გამოეყოთ. არადა, რასაც ეგ აკეთებს, არის მთელი ჩვენი სამედიცინო პროგრამების განადგურება, ვინაიდან ნება დართო მიგრანტებს, მოსწყდომოდნენ ჩვენი ქვეყნის საზღვრებს და ისინი იტაცებენ ყველაფერს.** მე მაქვს **ყველაზე დიდი გული** და მინდა, დავეხმარო ადამიანებს, მაგრამ ჩვენ ვანგრევთ ქვეყანას. ისინი ეუფლებიან ჩვენს სკოლებს, ჩვენს საავადმყოფოებს, აპირებენ, სოცუზრუნველყოფაც მიისაკუთრონ.

**ბაიდენი:** — ეგ ამბობს, რომ **ყველაზე დიდი გული** აქვს და მართლაც აღელვებს გარემოს დაბინძურების საკითხები, მაგრამ მე არ მინახავს ამის არანაირი მტკიცებულება. ჩვენ უნდა ვაიძულოთ ძალიან მდიდარი ადამიანები, გადაიხადონ თავიანთი წილი სოცუზრუნველყოფის პრობლემების გადასაჭრელად. **დღეს, ყველა, ვინც წელიწადში 170 ათას დოლარზე ნაკლებს გამოიმუშავებს, იხდის 6 პროცენტს თავისი ყოველთვიური ხელფასიდან.** ამ დროს კი მილიონერები იხდიან 1 პროცენტს. ამ მაჩვენებელს მე აუცილებლად ავწევდი.

ყველაზე მნიშვნელოვანი, რასაც უნდა მივაღწიოთ, ესაა ტრამპზე გამარჯვება, რადგან მას სურს, თავიდან მოიშოროს სოცუზრუნველყოფა. სასაცილოა მისი სურვილი, რომ ხანდაზმულებს დაცვა არ სჭირდებათ.

**ტრამპი:** — მთელი ჩემი

გაგრძელება „გენერალისიმუსის“ მე-4 გვერდზე

## „ის იმდენად ცუდი პრეზიდენტია, რომ მე მსურს, კვლავ ვაქციო ამერიკა დიდ ქვეყნად!“



*დასაწყისი „გენერალისიმუსის“ პირველ გვერდზე*

# ტელეჯახი, რომელმაც




**ცხოვრება პოლიტიკასთან მაქვს საქმე და არასოდეს მინახავს, რომ ვინმეს ამ ბიჭივით ეცრუოს.** მას შეუძლია, თვალებში გიყუროთ და იცრუოს ვაჟიშვილის ფეისბუქზე... რუსეთზე, რუსეთზე, რუსეთზე... უკრაინაზე, უკრაინაზე, უკრაინაზე... ყველაფერი რასაც ის სჩადის, ტყუილია, ესაა დეზინფორმაცია და ბოდვა... ის ფრაზაც — **წარუმატებლებისა და „ლოხების“** შესახებ, რომელიც მან გამოიგონა, არის სრული სიცრუე სამხედრო მოსამსახურეთა თაობაზე. სოციუზრუნველყოფის სისტემასაც იგი თავად ანგრევს, რადგან მილიონობით ადამიანი მოისწრაფვის ჩვენი ქვეყნისაკენ და, ასე ვთქვათ, ებღაუჭება მას. **ისინი იკავებენ საავადმყოფოებში ჩვენი მოქალაქეებისათვის განკუთვნილ საწოლებს. ჩვენი ვეტერანები ცხოვრობენ ქუჩებში, ხოლო მიგრანტები — ფეშენებელურ სასტუმროებში.** ადრე მე არასოდეს მინახავს ასეთი რისხვის ატმოსფერო ჩვენს ქვეყანაში, ის კი გახლავთ ყველაზე ცუდი პრეზიდენტი. **მან დაანგრია ჩვენი ქვეყანა და ახლა სურს, გამოიჩინოს ერთგვარი სიმტკიცე საზღვრებთან დაკავშირებით.** მან ოდნავ შეამცირა შემოღწევადობა ჩვენს ტერიტორიაზე, არადა, მას სურს ღია საზღვრები, სურს, რომ ჩვენი ქვეყანა ან დაინგრეს, ან ეგ არალეგალები გახდნენ მისი ამომრჩევლები. და მე არ ვფიქრობ, რომ მას ამის უფლება უნდა მიეცეს. თუ იგი გაიმარჯვებს არჩევნებში, ჩვენს ქვეყანას არ ექნება უმნიშვნელო შანსიც კი, ამ ორმოდან ამოვიდეს. ჩვენ, უბრალოდ, აღარ დაგვრჩება ქვეყანა. ის ყველაზე უარესია ისტორიაში!

***წამყვანი:** — ორივე თქვენგანის პრეზიდენტობისას ქვეყანაში იმატა ნარკოტიკებით ზედოზირების შედეგად გამოწვეულმა სიკვდილიანობის შემთხვევებმა. **ყოფილო პრეზიდენტო ტრამპ,** თქვენი მცდელობის მიუხედავად, ყოველწლიურად 100 ათასზე მეტი ამერიკელი კვდება ისევ და ისევ ზედოზირების გამო, ძირითადად, **ფენტამილისა და ოპიუმის ჯგუფის სხვა პრეპარატებისაგან.** რას მოიმოქმედებთ იმ ამერიკელთა დასახმარებლად, რომლებიც ამჟამად წამალდამოკიდებულები არიან?*

**ტრამპი:** — ჩვენ ძალიან კარგად ვუმკლავდებოდით ნარკომანიას, ვიდრე არ გამოჩნდა კოვიდი. სიტუაცია გართულდა იმ ნარკოტიკების მიზეზით, რომლებმაც საზღვრებიდან შემოაღწიეს. ჩვნ შევიძინეთ სპეციალური ძაღლები და მართლაც საოცარი სანახავია, როგორ ახერხებენ ისინი ნარკოტიკების აღმოჩენას. ჩვენ ბევრი რამ გავაკეთეთ და მივაღწიეთ კიდევაც ძალიან დაბალ მაჩვენებლებს ნარკომანიის კუთხით. **მერე კი გამოჩნდა ბაიდენი...** თქვენ ხედავთ დღევანდელ მაჩვენებლებსაც... მე ვთვლი, რომ 18 მილიონი ადამიანი არცთუ მაღალი რიცხვია, მაგრამ ნარკომანია და ქალებით ვაჭრობა, რომლებიც ჩვენს საზღვარს კვეთენ, სავალალოა. და ეს ყველაფერი ხდება ისევ და ისევ საზღვრების დახვრეტილობის გამო, საიდანაც ჩვენი მთელი ისტორიის მანძილზე ყველაზე დიდი რაოდენობის ნარკოტიკი აღწევს.

**ბაიდენი:** — ფენტამილისა და სხვა ნარკოტიკების შემოღწევადობამ ერთხანს იკლო. მე მსურდა, დავრწმუნებულიყავი, რომ ვიყენებთ იმ მოწყობილობას, რომელსაც შეუძლია, აღმოაჩინოს ფენტამილი. ესაა დიდი მანქანები, რომლებიც ამოწმებენ ყველაფერს, რაც კი საზღვარზე გადმოდის და ეს ყველაფერი დიდი ფულიც ღირს. ეს იყო იმ ხელშეკრულების ნაწილი, რომელიც ჩვენ გავაფორმეთ. ამის შემდეგ **ტრამპმა** დაურეკა თავის კოლეგა რესპუბლიკელებს და უთხრა — **ნუ შვებით ამას, ეს პოლიტიკურად მომაყენებს ზიანსო.**

**ტრამპი:** — მან ჩაშალა ბევრი მნიშვნელოვანი პროგრამა, მათ შორის, ჩემი პროგრამა **„დაიჭირე და გაუშვი!“** მაგრამ დაიჭირე საზღვარზე გადმოსვლამდე, მექსიკის ტერიტორიაზე. ჩვენ ვაწარმოებდით სერიოზულ, მძიმე მოლაპარაკებებს მექსიკასთან...

***წამყვანი:** — მოდით, შევეხოთ იმ სიფრთხილეს, რომელსაც იჩენს ამომრჩეველი ორივე თქვენგანთან დაკავშირებით. **პრეზიდენტო ბაიდენ, მეორე საარჩევნო ვადის მიწურულს თქვენ 86 წლის იქნებით.***

**ბაიდენი:** — მთელი ჩემი კარიერის მანძილზე მაკრიტიკებდნენ, როგორც ყველაზე ახალგაზრდას პოლიტიკაში. მე ვიყავი მეორე ყველაზე მცირე ასაკის ადამიანი, რომელიც ოდესმე აურჩევიათ შეერთებული შტატების სენატში, ახლა კი ყველაზე ასაკოვანი ვარ. **ეს ბიჭი 3 წლით ახალგაზრდაა და გაცილებით ნაკლებად კომპეტენტურიც. უბრალოდ, გადახედეთ მის ნამოქმედარს და იმას, რაც მე გავაკეთე. ნახეთ, როგორ დავძლიე ის საშინელი სიტუაცია, რომელშიც მან დამტოვა.** როგორც გითხარით, მე შევქმენი 50 მილიონი ახალი სამუშაო ადგილი, 800 ათასი სამუშაო ადგილი დამამუშავებელ მრეწველობაში. განვახორციელებინე მილიარდობით დოლარის კერძო ინვესტიცია. მან წარმოებას ჩამოაცილა უამრავი ადამიანი, ზურგი აქცია კომპიუტერულ ჩიპებს. ადრე ჩვენ ბაზრის 40 პროცენტს ვფლობდით, მაგრამ ეს პოზიცია დავკარგეთ, რადგან ის აგზავნიდა საზღვარგარეთ ადამიანებს ყველაზე იაფი მუშახელის მოსაძებნად და შემდეგ ეს ჩიპები უცხოეთიდან ჩამოგვქონდა. ამიტომაც გავეშურე სამხრეთ კორეაში და დავარწმუნე „სამსუნგი“, რომ მოეხდინა მილიარდობით დოლარის ინვესტირება აქ, შეერთებულ შტატებში... და 40 მილიარდი დოლარი უკვე ინვესტირებულია და მიდის მშენებლობა სამუშაო ადგილების შესაქმნელად ამერიკელებისათვის.

***წამყვანი:** — პრეზიდენტო ბაიდენ, თქვენ 40 წამი დაგრჩათ. გსურთ რამის დამატება!*

**ბაიდენი:** — მსურს, გამოვთქვა აზრი იმის შესახებ, თითქოს ჩვენ წარუმატებელთა ქვეყანა ვარ... მე არასოდეს გამიგია, რომ ადრე რომელიმე პრეზიდენტს ასე ელაპარაკოს. ჩვენ ვართ შურის ობიექტი მთელი მსოფლიოსათვის. **დამისახელეთ რომელიმე დიდი ქვეყნის თუნდაც ერთი პრეზიდენტი, რომელიც არ გაუცვლიდა ადგილს აშშ-ს მისი უსაზღვრო შესაძლებლობების გამო.** ჩვენ ვართ ყველაზე პროგრესული ქვეყანა მიზნის მიღწევის კუთხით. ჩვენ ვართ ქვეყანა, რომელიც თავის სიტყვას ასრულებს და ყველა ენდობა. ეს კი უკანალს უწმენდს **კიმ ჩინ ინს** და სასიყვარულო წერილებს უგზავნის **პუტინს.**

***წამყვანი:** — **ყოფილო პრეზიდენტო ტრამპ,** თქვენი მეორე საარჩევნო ვადის მიწურულს 82 წლის იქნებით. **რას ეტყვით ამომრჩეველს, რომელსაც ეჭვი ეპარება თქვენს შესაძლებლობებში?***

**ტრამპი:** — მე გავიარე 2 კოგნიტიური ტესტი და შედეგებიც გავასაჯაროეთ, ბაიდენს კი არცერთი ეს ტესტი არ გაუვლია. აბა, დააკვირდით, როგორ გაივლის იგი თუნდაც ერთ უმარტივეს ტესტს. მე ყოველწლიურად გავდიოდი სამედიცინო შემოწმებას... თფუ, თფუ, თფუ... მე ძალიან ჯანმრთელი ვარ! **მე ეს-ესაა, მოვიგე ორი საკლუბო ჩემპიონატი, არა მოხუცთათვის, არამედ უბრალო საკლუბო ჩემპიონატი. ეს რომ მოახერხო, უნდა იყო ძალიან ჭკვიანი და შეგეძლოს, ძლიერად დაარტყა ბურთს.** მას ეს არ გამოსდის. მას არ შეუძლია 50 იარდზე გასტყორცნოს ბურთი. მან გამომიწვია გოლფის ორთაბრძოლაში, მაგრამ მას არ შეუძლია, მოარტყას ბურთი 50 იარდზე. **მე ვთვლი, რომ ვიმყოფები საუკეთესო ფორმაში, ვარ ისეთივე კარგ ფორმაში, როგორც 20-30 წლის წინათ!**

**ბაიდენი:** — თქვენ ხედავთ, რომ მისი სიმაღლე შეადგენს 6 ფუტსა და 5 დიუმს **(1 მეტრი და 95 სმ. რედ.)**, ხოლო წონა — მხოლოდ 223 თუ 235 ფუნტს **(100 თუ 106 კილოგრამი. რედ.)**, ყველა შემთხვევაში ეს ასეა და ნახეთ, რაებს ლაპარაკობს! მე სიამოვნებით შევეჯიბრებოდი მას მართვაში. როცა მე ვიცე-პრეზიდენტი ვიყავი, ჩემი ჰანდიკაპი (handicap **(ინგლ.) — სათამაშო შესაძლებ-**



# შეაზანზარა მსოფლიო




ომი, მიეცი შესაძლებლობა პუტინს, აიღოს კიევი. ნახე, რა მოხდება პოლონეთში, უნგრეთში და სხვა საზღვრისპირა ადგილებში...

**ტრამპი:** — ეს იყო ომი, რომელიც არ უნდა დაწყებულიყო, ის არც დაიწყებოდა ჩემს პირობებში... ახლა კი მას სურს, მიიტაცოს უკრაინა. ჩვენ მან ჩაგვაყენა ძალიან რთულ სიტუაციაში, რადგან უკრაინა ვერ მოიგებს ამ ომს. მან თქვა, რომ არაფერს დათმობს, სანამ არ დადგება სასურველი დრო... მათ გამოელიათ ხალხი და მეომრები, დაკარგეს დიდებული ქალაქები ოქროს გუმბათებით, რომლებიც ათასი წლისაა. და ეს ყველაფერი ამის გულისათვის! **რუსეთი არავითარ შემთხვევაში არ დაესხმებოდა თავს უკრაინას ჩემს პირობებში!**

***წამყვანი:*** *— კითხვის არსი მდგომარეობდა იმაში, დაეთანხმებით თუ არა არჩევნების შედეგებს იმის მიუხედავად, ვინ გაიმარჯვებს? ხო თუ არა?*

**ტრამპი:** — ცხადია, თუ ეს იქნება სამართლიანი, კანონიერი არჩევნები. **ისე კი, მე არ ვაპირებდი კენჭისყრას, ვიდრე არ დავრწმუნდი, რა საშინელებები ჩაიდინა მან!**

**ლობათა რიცხობრივი მაჩვენებელი გოლფში, იგივე ფორა. რედ.)** გახდა 6. და მე უკვე გითხარი, რომ სიამოვნებით ვითამაშებ შენთან გოლფს, თუკი შეძლებ შენი ჩანთის ტარებას. ფიქრობ, რომ ამას მოახერხებ?

***წამყვანი:*** *— ამომრჩეველს თქვენდამი განსაკუთრებული დამოკიდებულება აქვს. დაპირდებით კი მას ამაღამ, როცა ყველა იურიდიული პრობლემა გადაიჭრება, თქვენ სცნობთ არჩევნების შედეგებს იმის მიუხედავად, ვინ გაიმარჯვებს?*

**ტრამპი:** — მე მინდა, არჩევნები სამართლიანი და თავისუფალი იყოს. მე მსურდა, რომ **ბაიდენი** ყოფილიყო დიადი პრეზიდენტი, ამ შემთხვევაში მე აქ არ ვიქნებოდი, უბრალოდ, ვიქნებოდი ჩემთვის ყველაზე სასურველ ადგილას, დავტკბებოდი ცხოვრებით, ვერ წამომიყენებდნენ ბრალდებებს, რადგან არ ვიქნებოდი მისი პოლიტიკური მეტოქე... **დიახ, მან მე წამომიყენა პრეტენზიები, რადგან მისი მოწინააღმდეგე გავხდი.** მართლა დიადი პრეზიდენტი რომ ყოფილიყო, მაშინ აქ არ ვიქნებოდი. **ის იმდენად ცუდი პრეზიდენტია, რომ მე მსურს, კვლავ ვაქციო ამერიკა დიად ქვეყნად!** ჩვენ კვლავ გავხდით ამერიკას დიადად. დღეს ჩვენ ფრიად წარუმატებელ ნაციას წარმოვადგენთ და ჩვენ განვიცდით წარუმატებლობას მის გამო. საომარი პოლიტიკა სიგიჟეა. მის პირობებში ეს ომები არასოდეს დამთავრდება. ის ჩაგვითრევს ჩვენ მესამე მსოფლიო ომში! დიახ, ჩვენ ძალიან ახლოს ვართ მესამე მსოფლიო ომთან. მას მივყევართ ჩვენ იქეთკენ! **ქიმ ჩინ ინი, ჩინეთის პრეზიდენტი და პუტინი მას პატივს არ სცემენ, მათ არაფერი აქვთ საერთო ამ ჯენტლმენთან. ის აპირებს, მესამე მსოფლიო ომში ჩაგვითრიოს!**

**ბაიდენი:** — თუ შენ გინდა




# ტრაპიდან ჩამოვარდნა თუ ტრამპიდან ჩამოვარდნა?

**ჯომ** ცოტა ხნით გაიღვიძა და თქვა — **თუ უფალი ჩამოვა და მეტყვის, შენი კანდიდატურა მოხსენიო, შეიძლება მაგაზე ვიფიქროო.** თუმცა, დარწმუნებული ვარ, უფალი დედამიწაზე არ ჩამოვაო. სამწუხაროდ, **სუსლოვის მთვლემარე ძმაკაცი** ვერ ამჩნევს, რომ უფალი კარგახნის ჩამოსულია დედამიწაზე და მაინცადამაინც ცელიანი კაცი უნდა დაადგეს თავზე?

**ჯოს** გუბერნატორებისთვის და თავისი თანაშემწეებისთვის უბრძანებია — **საღამოს 8 საათის მერე აღარ შემაწუხოთ, უნდა დავიძინოო.** ტრამპთან დებატებშიც იმიტომაც დავმარცხდი, რომ გამოუძინებელი ვიყავიო. მოკლედ, მორჩა, **ამიერიდან ბევრი უნდა ვიძინოო...** ნამდვილად არ მიკვირს, აშკარად ვერ არი თავის მატორზე, მაგრამ აშშ-ელებისა გამკვირვებია, ისევ რო უპირებენ არჩევას.

☺

ავი ენები ამბობენ, აშშ-ელებმა ჩვენი გაწვრთნა დროებით გადადესო. რა დროებით? საერთოდ უნდა შეგვეშვან, რაც აქამდე გვაჭენავეს და თავიანთ ცხელ წერტილებში გვჟუჟეს, არ გვეყო? მაგათ ურჩევნიათ, თავიანთი შეხედულებები, გონებრივი შესაძლებლობები და თავიანთი ყოფა გაწვრთნან, რომ **სუსლოვის ძმაკაცი** აღარ აირჩიონ უმფროსად!

☺

არა, ეს მაგარი იყო... თუ უფალი ჩამოვა და მეტყვის, კანდიდატურა მოხსენიო, **შეიძლება** მაგაზე ვიფიქროო. **შეიძლებაო...** განა იმას იძახის, დავუჯერებო? ჩამოვიდა, ჯო, უფალი შენს მოსანახულებლად, აბა, რამდენჯერ უნდა წამოგეწიოს თვითმფრინავის ტრაპზე და გაგაფრთხილოს? ერთხელაც ჩამაიფეხვები მაგ **ტრაპიდან** ან 6 ფუტისა და 5 ინჩის სიმაღლის **ტრამპიდან** ძირს დაენარცხები!

***გელა ზედელაშვილი***



# «ბაიდენის გამარჯვების შანსი

*მთელი მსოფლიოს მასშტაბით არ წყდება აჟიოტაჟი ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტობის კანდიდატების — ჯო ბაიდენისა და დონალდ ტრამპის ტელედებატის გარშემო, რომელშიც ყოფილმა პრეზიდენტმა მოქმედი პრეზიდენტი პირწმინდად დაამარცხა და პლანეტის მოსახლეობისათვის ცხადი გახდა, რომ თეთრი სახლის მოქმედი ლიდერი, რეალურად, ქმედუუნაროა. ამასთან, სერიოზული პოლიტიკური რყევებია ევროპაშიც, რადგან გასულ კვირას დიდ ბრიტანეთში ხელისუფლება შეიცვალა და, ფაქტობრივად, იგივე რეალობის წინაშე აღმოჩნდა ევროკავშირის წამყვანი სახელმწიფო საფრანგეთიც. ამ და სხვა აქტუალურ საკითხებზე საქართველოს პარლამენტის ყოფილ წევრს, პოლიტოლოგ* ***პეტრე მამრაძეს*** *ვესაუბრებით:*



## პეტრე მამრაძე:

**ის ფაქტი, რომ პრეზიდენტობის კანდიდატებად 82 წლის ჯო ბაიდენისა და 78 წლის დონალდ ტრამპის გარდა ვერავინ გამონახეს, შეერთებულ შტატებში არსებულ ღრმა პოლიტიკურ კრიზისზე მიუთითებს!**

— თავისთავად ის ფაქტი, რომ ვერც დემოკრატიულმა და ვერც რესპუბლიკურმა პარტიამ ამერიკის პრეზიდენტობის კანდიდატებად **82 წლის ჯო ბაიდენისა და 78 წლის დონალდ ტრამპის** გარდა ვერავინ გამონახა, შეერთებულ შტატებში არსებულ ღრმა პოლიტიკურ კრიზისზე მიუთითებს. ეს მხოლოდ ჩემი შეფასება არ გეგონოთ, ამაზე თანამედროვეობის გამოჩენილი ამერიკელი მეცნიერები და პოლიტოლოგები აქტიურად წერენ და საუბრობენ.

**ბაიდენსა და ტრამპს** შორის გამართული დებატების შემდეგ ამერიკულმა გამოცემამ „უოლტ სტრიტ ჯორნალმა" ბაიდენის შესახებ ისიც კი დაწერა, რომ მოხუცი ადამიანის უფლებები უხეშად შეილახა, ანუ ასეთ მდგომარეობაში მყოფი ადამიანის დებატებზე გამოყვანა და მთელი მსოფლიოსათვის ჩვენება არაჰუმანური საქციელი იყო.

**— მიუხედავად ამისა, ბაიდენი აცხადებს, რომ კანდიდატურას არ მოხსნის და პრეზიდენტობისათვის ბრძოლას გააგრძელებს. თქვენი აზრით, აქვს მას გამარჯვების შანსი?**

— ჯერ კიდევ დებატებამდეც აშკარა იყო, რომ ტრამპის რეიტინგი ბაიდენისას აღემატებოდა იმ 7 შტატშიც კი, რომელიც, როგორც წესი, მერყეობით გამოირჩევა, ტრამპთან პირველივე დებატებში დამარცხების შემდეგ კი ბაიდენის გამარჯვების შანსი დღითი დღე უფრო მეტად მცირდება.

უნდა აღინიშნოს, რომ დღეს აშშ-ის ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემა გახლავთ **მკვეთრი პოლარიზაცია და სიძულვილის ენა,** რომელსაც დემოკრატებისა და რესპუბლიკელების ბანაკები ერთმანეთის მიმართ იყენებენ, ამერიკის ხალხსა და პოლიტიკურ ელიტებს შორის კავშირი კი საერთოდ გაწყვეტილია. საკმაოდ ხშირი კონტაქტი მაქვს ჩემს ამერიკელ კოლეგებთან და როცა ვეკითხები, რამდენად რთული პოლიტიკური ვითარებაა ამერიკაში,

რულდა, თუ ფრანგი ამომრჩევლის უმრავლესობის ნებამ გაიმარჯვა და ხელისუფლებაში ყველაზე რეიტინგული პოლიტიკური ძალები მოვიდნენ, სამოქალაქო ომი რატომ უნდა მოხდეს? ასეთი განცხადებებით **მაკრონმა** კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ პოლიტიკოსი კი არა, კორპორაციის მენეჯერია და მეტი არავინ!

სხვათაშორის, მაკრონისა და მისი პარტიის ერთ-ერთი ყველაზე მყვირალა მხარდამჭერი გახლავთ სააკაშვილის მეგობარი და ყოფილი მრჩეველი, ვანო მერაბიშვილის ყოფილი მოადგილის **ეკა ზღულაძის ყოფილი ქმარი რაფაელ გლუკსმანი,** რომელიც ცოტა ხნის წინათ ევროპარლამენტარის ამპლუიდან გვიქნევდა თითს — **თუ სააკაშვილს არ გაათავისუფლებთ, ევროკავშირში არ მიგიღებთო!**

**— დიდი პოლიტიკური ძვრებია არამხოლოდ საფრანგეთში, არამედ დიდ ბრიტანეთშიც, სადაც არჩევნებში ლეიბორისტებმა გაიმარჯვეს და პრემიერ-მინისტრი სუნაკი, თავის კონსერვატიულ პარტიასთან ერთად, ხელისუფლებას ჩამოშორდა. დიდი ალბათობით, ამა წლის ნოემბრის დასაწყისში ხელისუფლება შეიცვლება ამერიკის შეერთებულ შტატებშიც... ყოველივე ამის ფონზე, რას**

# «გადაგვარებულმა ლიბერალიზმმა

პირდაპირ მპასუხობენ — ეს რთული ვითარება აღარ არის, ეს სრული კატასტროფააო!

**— ამერიკაზე არანაკლებ რთული ვითარებაა ევროპაში, კონკრეტულად, ევროკავშირის ერთ-ერთ საკვანძო ქვეყანაში — საფრანგეთში, სადაც პრეზიდენტ მაკრონის პარტია საპარლამენტო არჩევნების პირველ ტურში პირწმინდად დამარცხდა, გამარჯვება კი მარინ ლე პენის პარტია „ეროვნულმა გაერთიანებამ" მოიპოვა, რაც იმას ნიშნავს, რომ საფრანგეთის ხელისუფლებაში, დიდი ალბათობით, ანტილიბერალები მოვლენ!**

— ის, რაც დღეს საფრანგეთში ხდება, კიდევ ერთხელ ამტკიცებს, რომ **გადაგვარებულმა ლიბერალიზმმა თავისი დრო უკვე მოჭამა და დასავლეთი საკუთარი თავის ჭამაზეა გადასული!**

ჯერ კიდევ არჩევნებამდე, როცა ყველა სოციოლოგიური კვლევა ცხადყოფდა, რომ ულტრამემარჯვენეებიცა და ულტრამემარცხენეებიც მაკრონის პარტიას რეიტინგით აღემატებოდნენ, საფრანგეთის პრეზიდენტი გამოდიოდა და ფრანგ ხალხს მოუწოდებდა — **ორ ყველაზე რეიტინგულ და პოპულარულ პარტიას ხმა არ მისცეთ, თორემ ქვეყანაში სამოქალაქო ომი მოხდებაო!** კი მაგრამ, თუ დემოკრატიის პრინციპი აღს-

**უნდა ველოდოთ 2024 წლის 26 ოქტომბრის საქართველოს საპარლამენტო არჩევნებისაგან?**

— აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, რომ 26 ოქტომბრის არჩევნების მეორე დღიდანვე ნაცები და მათი სატელიტები რევოლუციისა და ხელისუფლების დამხობის მორიგ მცდელობას შემოგვთავაზებენ! სცენარი ასეთია: დასავლეთიდან გაკეთდება განცხადებები, რომ

## პოლიტოლოგის პროგნოზები და დიაგნოზები ★

# „ბიძინა ივანიშვილის „რუსი ოლიგარქობა" ისეთივე მტკნარი ტყუილია, როგორიც ის, რომ სააკაშვილს ციხეში წამებით კლავდნენ და მისი სიცოცხლის დღეები დათვლილი იყო!"





# «დასავლეთი საკუთარი თავის

# დღითი დღე უფრო მეტად მცირდება!»

„ქართულმა ოცნებამ“ არჩევნები გააყალბა და ძალაუფლების უზურპაციას ცდილობს, რასაც კოლექტიური ნაცმოძრაობის მიერ ხალხის ქუჩაში გამოყვანა მოჰყვება და იქნება ერთადერთი მოთხოვნა — „კრემლის მიერ დასმული ოლიგარქი“ და მისი პარტია უნდა მოვაშოროთო! არადა, ბიძინა ივანიშვილის „რუსი ოლიგარქობა“ და მისი პარტიის „კრემლისტობა“ ისეთივე მტკნარი ტყუილია, როგორიც ის, რომ სააკაშვილს ციხეში წამებით კლავდნენ და მისი სიცოცხლის დღეები დათვლილი იყო!

მოკლედ, ზედაპირზევე ჩანს, რომ ნაცები სწორედ ე.წ. მაიდანიზაციისათვის ემზადებიან და იყენებენ ყველა იმ ილეთს, რომელიც დღეს ამერიკის შეერთებულ შტატებში გამოიყენება. მაგალითად, რამდენიმე დღის წინათ თავისუფლების მოედანზე გამართულ საზეიმო ღონისძიებაზე, როცა საქართველოს პრემიერ-მინისტრი ფეხბურთელებთან სცენაზე ავიდა, ხალხის მასიდან გაურკვეველმა ჯგუფებმა ყვირილი და ზმუილი მორთეს — „უუუუუ.... უუუუუ... უუუუუ...“ **ეს არის აშშ-ის საუნივერსიტეტო კამპუსებში აპრობირებული მეთოდი, როცა სტუდენტები მათთვის მიუღებელი ლექტორების დანახვაზე სწორედ ასეთ ზმუილს იწყებენ და პროფესორებს აუდიტორიებში არ უშვებენ.**



„ამერიკულმა გამოცემამ „უოლტ სტრიტ ჟორნალმა“ ბაიდენის შესახებ ისიც კი დაწერა, რომ მოხუცი ადამიანის უფლებები უხეშად შეილახა, ანუ ასეთ მდგომარეობაში მყოფი ადამიანის დებატებზე გამოყვანა და მთელი მსოფლიოსათვის ჩვენება არაჰუმანური საქციელი იყო!“

# თავისი დრო უკვე მოჭამა!»

აღარაფერს ვამბობ ყოველგვარ ზღვარს გადასულ **სიძულვილის ენაზე,** რომლითაც მოცულია სოციალური ქსელები და ნაცტელევიზიების ეთერები. თქვენ წარმოიდგინეთ, ოპოზიციის აქტივისტები ნაცისტური და შოვინისტური ლოზუნგების ყვირილსაც კი არ ერიდებიან!

**— ნაცისტურ და შოვინისტურ ლოზუნგებში რას გულისხმობთ?**

— ალბათ, გახსოვთ, გამჭვირვალობის კანონის საწინააღმდეგო აქციების ერთ-ერთ სახედ გამოყვანილი ჰყავდათ 10-12 წლის ბავშვი, **გვარად ხაბეიშვილი,** რომელიც მიტინგებზე სიტყვითაც გამოდიოდა და ნაცარხების ეთერშიც ხშირად აკეთებინებდნენ კომენტარებს. ერთ-ერთ სიუჟეტში „ტვ პირველის“ კორესპონდენტმა ჰკითხა ამ ბავშვს — **„აბა, რას ეტყვი ბიძინასა და „ქართულ ოცნებას“?** ეს საწყალი ბავშვი კი მაშინვე აყვირდა — **„ქოცებო, თქვე რუსო ღორებო, წაეთრიეთ აქედან!“**

სტალინმაც კი მეორე მსოფლიო ომის დროს განაცხადა, რომ ჰიტლერები მოდიან და მიდიან, გერმანელი ხალხი კი რჩება! **ამიტომაც საბჭოთა კავშირში აკრძალული იყო გერმანელი ხალხის ლანძღვა და შეურაცხყოფა ეთნიკური ნიშნით.** შეგეძლო, გეთქვა — „ფაშისტი ოკუპანტი“, მაგრამ არ უნდა გეთქვა — „გერმანელი ოკუპანტი“, რათა ჰიტლერისადმი დამოკიდებულება გერმანელ ხალხზე არ გადასულიყო, ესენი კი, ეს 21-ე საუკუნის ქართველი ნაცისტები, 12 წლის ბავშვებს აყვირებენ — **„რუსო ღორებო!“** — და ეთნიკური ნიშნით შეურაცხყოფენ კონკრეტულ ერს, რაც უდიდესი და სამარცხვინო დანაშაულია!

**— ერთია, რას გეგმავს რადიკალური ნაცოპოზიცია, მაგრამ მეორეა, რა რესურსი გააჩნია და შეძლებს თუ არა მიზნის მიღწევას?**

— პირადად მე, უპირველეს ყოვლისა, ხალხის იმედი მაქვს. ყოველდღიურად ბევრს დავდივარ ფეხით, ქუჩაში მხვდებიან ადამიანები და მეუბნებიან — **ერთი სული გვაქვს, როდის მოვა არჩევნები, რომ მივიდეთ და სამუდამოდ მოვუღოთ ბოლო ნაცებსა და მათ მოკავშირეებსო!**

ასევე იმედი მაქვს, რომ ხელისუფლება სიმტკიცესა და სიფხიზლეს გამოიჩენს და ე.წ. გავრილოვის ღამის მსგავს პროვოკაციებს აღარ წამოეგება!

ერთი სიტყვით, რთული შემოდგომა გველის და მძიმე პროცესებისათვის უნდა მოვემზადოთ!

*ესაუბრა*
***გიორგი ძაძამია***






**„სტალინმაც კი მეორე მსოფლიო ომის დროს განაცხადა, რომ ჰიტლერები მოდიან და მიდიან, გერმანელი ხალხი კი რჩება, 21-ე საუკუნის ქართველი ნაცისტები კი 12 წლის ბავშვებს აყვირებენ — „რუსო ღორებო!“ — და ეთნიკური ნიშნით შეურაცხყოფენ კონკრეტულ ერს, რაც უდიდესი და სამარცხვინო დანაშაულია!“**

# ჭამაზეა გადასული!»

# არის ასეთი აზრი! ★

## „კოლექტიურმა დასავლეთმა უნდა აღიაროს დონეცკის, ლუგანსკის, ზაპოროჟიესა და ხერსონის მოსახლეობის ნება – რუსეთთან მათი შეერთების კანონიერება და კანონზომიერება!“

## გიორგი ირემაძე:

# რუსეთთან მიერთებული რეგიონების უკრაინის შემადგენლობაში დაბრუნება გამორიცხულია!



***ქართველმა ჟურნალისტმა, პარტია „სოლიდარობა მშვიდობისთვის“ პოლიტსაბჭოს წევრმა გიორგი ირემაძემ ახლახან რუსეთ-უკრაინის კონფლიქტის ზონაში, დონეცკის და ლუგანსკის ოლქებში იმოგზაურა, რათა ქართველი საზოგადოებისთვის იქ მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით ობიექტური ინფორმაცია მოეპოვებინა:***

— რუსეთ-უკრაინის კონფლიქტთან დაკავშირებით საქართველოში, ძირითადად, დეზინფორმაცია ვრცელდება, რადგან კოლექტიური დასავლეთი გამალებით ცდილობს, საქართველო რუსეთთან სამხედრო კონფრონტაციაში ჩაითრიოს. საზოგადოებამ ნაკლებად იცის, რომ რუსეთ-უკრაინის დაპირისპირება, რომელიც კოლექტიურ დასავლეთთან რუსეთის სამამულო ომში გადაიზარდა, არა 2022 წლის თებერვალში, არამედ გაცილებით ადრე დაიწყო — 2014 წლის თებერვალში, როცა ე.წ. მაიდნელებმა ლეგიტიმურ პრეზიდენტ **ვიქტორ იანუკოვიჩს** ულტიმატუმი წაუყენეს და ძალაუფლების გადაბარება მოსთხოვეს. სამოქალაქო ომის თავიდან აცილების მიზნით მისი გადადგომის კვალდაკვალ ხელისუფლებაში დასავლეთის ხელდასხმული **პოროშენკო** და მისი ფაშისტური კლანი მოვიდა.

რეპრესიები ხდებოდა უკრაინის მთელ ტერიტორიაზე, მაგრამ ძალაუფლების განმტკიცების მიზნით, კიევის ხუნტა განსაკუთრებული სიმწვავით დევნიდა დონბასში, დონეცკსა და ლუგანსკში კომპაქტურად მცხოვრებ რუსი ეროვნების მოსახლეობას. იყო სრული განუკითხაობა და რეჟიმის წარმომადგენელთა დაუსჯელი პარპაში.

**— როგორ მოხდა დონეცკისა და ლუგანსკის ოლქების უკრაინისგან გამოყოფა და რუსეთის შემადგენლობაში გადასვლა?**

— დონბასში ვესაუბრე როგორც ადგილობრივ მოსახლეობას, ასევე ჩინოვნიკებს, უფლებადამცველებსა და საზოგადოების წარმომადგენლებს. თავიდან ლუგანსკისა და დონეცკის მოსახლეობა კიევისგან მხოლოდ კულტურულ ავტონომიას მოითხოვდა, რათა რუსული ენა და, ზოგადად, თვითმყოფადობა შეენარჩუნებინათ, თუმცა, კიევმა უარი უთხრა, ხოლო ოდესაში მომხდარი საზარელი ფაქტის შემდეგ დონეცკისა და ლუგანსკის მოსახლეობის საპასუხო ქმედება იმაში გამოიხატა, რომ ჩაატარეს საყოველთაო რეფერენდუმი, რომლის შედეგების თანახმად, ამ ოლქებმა დამოუკიდებლობა გამოაცხადეს, შემდეგ კი დონეცკისა და ლუგანსკის რესპუბლიკები, ასევე ზაპოროჟიესა და ხერსონის ოლქები რუსეთის ფედერაციას შეუერთდნენ.

**— მაგრამ ასეთი რეფერენდუმები ხომ აფხაზეთსა და სამაჩაბლოშიც გაიმართა... რამდენად ანალოგიურია დონეცკისა და ლუგანსკის მოვლენები?**

— პარალელის გავლება არ შეიძლება.

### აფხაზეთი და სამაჩაბლო საქართველოს ძირძველი ტერიტორიებია, განსხვავებით აღმოსავლეთ უკრაინისა და ყირიმისაგან, რომლებიც ისტორიულად რუსეთის შემადგენლობაში იყვნენ, ვიდრე საბჭოთა პერიოდში უკრაინას გადაეცემოდნენ.

დონეცკისა და ლუგანსკის რესპუბლიკები ადგილობრივმა მოსახლეობამ კიევის ხუნტის აგრესიისგან თავის დაცვის მიზნით გამოაცხადეს. სხვა რა ეღონათ?! ამას მოჰყვა კიევის მხრიდან სამხედრო მანქანის ამოქმედება. 2014 წლიდან 2017 წლამდე ამ რეგიონში, სხვადასხვა მონაცემებით, 30 000-ზე მეტი ადამიანი, მათ შორის, მშვიდობიანი მოსახლე დაიღუპა! კიევის მხრიდან დაბომბვებს ბავშვები, ქალები, მოხუცები და ადგილობრივი მოხალისე მეომრები ეწირებოდნენ, რომლებიც უშუალოდ საკუთარ ოჯახებს იცავდნენ, ანუ მათთვის ეს სამამულო ომი იყო! **ჩვენ ამ მოვლენებთან დაკავშირებით ძალიან ბევრი ტრაგიკული ისტორია მოვისმინეთ უფლებადამცველ ანა სოროკასგან და საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელ ვლადისლავ დაინეკოსგან.** ადამიანებს უსწორდებოდნენ და ატერორებდნენ ზუსტად ისე, როგორც დიდი სამამულო ომის დროს ფაშისტები ხოცავდნენ საბჭოთა კავშირის მშვიდობიან მოსახლეობას.

**— 2014 წლის სექტემბერში შედგა „მინსკის შეთანხმება“, რომელსაც ხელს აწერდნენ უკრაინის, რუსეთისა და ევროპის ქვეყნების წარმომადგენლები და რომლის მიხედვითაც დაუყოვნებლივ უნდა შეწყვეტილიყო ცეცხლი.**

— კიევის მხრიდან მომდევნო 8 წლის განმავლობაში „მინსკის შეთანხმება“ რეგულარულად ირღვეოდა და ჯერ პოროშენკოს, შემდეგ კი ზელენსკის ბრძანებით, ინტენსიურად იბომბებოდა დონბასის ქალაქები, რათა ადგილობრივი მოსახლეობა გაექციათ და არსებული რესურსი, მათ შორის წიაღისეული, გადაეცათ საერთაშორისო კორპორაციებისთვის.

რაც შეეხება ლუგანსკს, სადაც 400 ათასამდე ადამიანი ცხოვრობს, დაახლოებით, 60 კილომეტრით არის დაშორებული ფრონტის ხაზიდან. უახლოეს დასახლებულ პუნქტს, სადაც შეტაკებები მიმდინარეობს, ჩასოვიიარი წარმოადგენს. ამის მიუხედავად, ქალაქში მიმდინარეობს მასობრივი მშენებლობები და აღდგენითი სამუშაოები. შენდება ახალ-ახალი ფაბრიკა-ქარხნები, იგება თანამედროვე გზები, ხალხი მასობრივად უბრუნდება მშობლიურ კერას. სრული დატვირთვით მუშაობენ მაღაზიები და სუპერმარკეტები, შეუფერხებლად მოძრაობს ტრანსპორტი, მოქმედებენ კულტურის ცენტრები, მაუწყებლობს ადგილობრივი ტელევიზია და ქალაქი მჩქეფარე ცხოვრებით ცხოვრობს. ეს მკვეთრად მიანიშნებს, რა დამოკიდებულება აქვს ამ რეგიონისათვის მოსკოვს, განსხვავებით კიევისაგან, რომელიც რაკეტებს უშენდა მოსახლეობას. ამასთანავე, ხდება ომში დაღუპულთა ცხედრების გადმოსვენება, იდენტიფიკაცია და მშობლიური მიწისთვის მიბარება, საინფორმაციო ბიულეტენების შედგენა, რომლებშიც 2014-2022 წლებში კიევის ხუნტის ძალმომრეობის შედეგად დაღუპულთა ისტორიებია ასახული. სახეზეა რეპრესიები, რომლებსაც მსოფლიოს უახლეს ისტორიაში ანალოგი არ გააჩნია! ამდენად, **რა შედეგითაც არ უნდა დასრულდეს ომი, რუსეთთან მიერთებული რეგიონების უკრაინის შემადგენლობაში დაბრუნება გამორიცხულია!** ადგილობრივი მოსახლეობის ურყევი მისწრაფება იმაში მდგომარეობს, რომ სასწრაფოდ განადგურდეს კიევის ფაშისტური ხუნტა, რომელმაც ამდენი უბედურება მოუტანა მშვიდობიან ადამიანებს! ამასთან, როგორც კიევმა, ასევე კოლექტიურმა დასავლეთმა აღიაროს დონეცკის, ლუგანსკის, ზაპოროჟიესა და ხერსონის მოსახლეობის ნება, რუსეთთან მათი შეერთების კანონიერება — და კანონზომიერება.

**— როგორია საკითხის მიმართ უკრაინის ხელისუფლების ლიდერის ზელენსკის დამოკიდებულება?**

— გავრცელდა ზელენსკის განცხადება, რის თანახმად, იგი აპირებს, წლის ბოლომდე მოამზადოს „სამშვიდობო ხელშეკრულების“ საკუთარი ვარიანტი. კიევის ხუნტის ლიდერებიც ხვდებიან, რომ აღარ გააჩნიათ ომის გაგრძელების რესურსი. გავრცელდა ინფორმაცია, რომ იმ ფონზე, როდესაც უკრაინა საბრძოლო რესურსების მოსაძიებლად მთელ მსოფლიოში მათხოვრობს, ზელენსკის მეუღლემ 4,5 მილიონად ფეშენებელური „ბუგატი“ შეიძინა. როგორც ჩანს, ფაშისტური რეჟიმისთვის ეს სისხლისმღვრელი ომი ოდენ, კაპიტალის მოპოვების საშუალებაა.







### ბოლოთქმა

**თანამედროვე ლუგანსკში არის საბრძოლო დიდების მემორიალი იმ 4 ჯარისკაცის სიმბოლური ქანდაკებით, რომლებიც ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე — 1917 წლის რევოლუციის დროს, 1941-1945 წლების დიდი სამამულო ომის პერიოდში, 2014 წლის მაიდნის მოვლენებისა და 2022 წლის განმათავისუფლებელი ეპოპეის დროს დაიღუპნენ. როგორც ადგილობრივები ამბობენ, ამ მემორიალში ჩაქსოვილი განწყობით თანამედროვე ლუგანსკი ახალ, გაუყალბებელ ისტორიას წერს!**

*ესაუბრა*
**ზაზა დავითაია**



სარედაქციო კოლეგია
„ასავალ-დასავალის“ საგამომცემლო სახლი. ვებ-გვერდი ინტერნეტში: www. asavali.com ელ-ფოსტა: mail@asavali.com ფეისბუქი: www. facebook.com/Asavali.com გამოდის 2003 წლის 7 აპრილიდან.

*ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ანზორ აბრალავა** საქართველოში შექმნილ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ვითარებას ეხმიანება და აცხადებს, რომ ამერიკას საქართველომ იმედები ვერ გაუმართლა, ამიტომ ახლა უნდათ, საქმეში სომხეთი ჩართონ და მისი მეშვეობით მოახდინონ ზემოქმედება დანარჩენ კავკასიაზე:*




„არ ვიზიარებ იმ აზრს, რომ გორბაჩოვსა და შევარდნაძეს საბჭოთა კავშირის დაშლა უნდოდათ. უბრალოდ, თავიანთი უვიცობითა და უტვინობით, როგორც აგენტებს, საბჭოთა კავშირი ხელში შემოეფშვნათ და დაეშალათ!“




# ანზორ აბრალავა:

# შევარდნაძე ისევ აქ არის, შევარდნაძე ჯერ არსად წასულა!

— **ზვიად გამსახურდიას** ბიოგრაფია ერთი-ერთში ჰგავს საქართველოს ისტორიას. **ყოველგვარი მარჩიელობა და მკითხაობა იმის შესახებ, ზვიად გამსახურდია მოკლეს თუ თავი მოიკლა, ერთხელ და სამუდამოდ უნდა შეწყდეს და გარკვევით ითქვას, რომ პრეზიდენტი მოკლეს!** გამსახურდიას თავი რომც მოეკლა, პრეზიდენტი მაინც მოკლულია, რადგან შევარდნაძე, როგორც მკვლელობის ორგანიზატორი, პირველ პრეზიდენტს მთელ ორგანიზებულ და დანაშაულებრივ ჯგუფთან ერთად დევნიდა. ადამიანზე ასეთი ღია ნადირობა ძნელი წარმოსადგენია. გამსახურდიას მკვლელობას წინ უძღოდა თბილისის, სამეგრელოსა და აფხაზეთის აოხრება. როგორც კი ზვიად გამსახურდია მოკლეს, შევარდნაძე ტელევიზიით გამოვიდა და განაცხადა — **„პოლიტიკური ლეში ფიზიკურ ლეშად იქცა!“** ამის შესახებ დაიწერა გაზეთებშიც, მაგრამ შევარდნაძის ეს განცხადება როგორც ტელევიზიის არქივიდან, ისე გაზეთებიდან გააქრეს. სხვათაშორის, **პაატა დავითაია,** რომელიც პოლიტიკურ პოზიციას ამინდის მიხედვით იცვლის, ერთხელ ტელევიზიით გვმოძღვრავდა — შევარდნაძე აფხაზეთში რკინიგზის დასაცავად შევიდაო! დავურეკე და ვუთხარი — წალენჯიხაში, მარტვილსა და ჩხოროწყუში რკინიგზა საერთოდ არ არის და იქ რა უნდოდა შევარდნაძეს თავის ბანდებთან ერთად-მეთქი?! თუ გახსოვთ, ხუნტამ მაშინ დაამკვიდრა ასეთი ნარატივი — **„მეგრელებმა დევნილები არ გამოატარეს, ხოლო სვანებმა — გაძარცვეს!“** ეს ხმები შევარდნაძემ გაავრცელა, მისი ინსტრუქციებით ხდებოდა ყველაფერი, რათა ერი დაეპირისპირებინა და ზვიად გამსახურდიასთვის პრობლემები შეექმნა. საბედნიეროდ, არც მეგრელები და არც სვანები ამ პროვოკაციას არ წამოეგნენ.

**— რატომ არ იძიებენ ზვიად გამსახურდიას მკვლელობას?**

— ზვიად გამსახურდიას წინააღმდეგ ბრძოლა საქართველოში ჯერ არ დასრულებულა! გამსახურდიას თანამებრძოლებს პოლიტიკურ პროცესში მონაწილეობის უფლება ჯერაც წართმეული აქვთ. ამის მიზეზი, უპირველეს ყოვლისა, შევარდნაძის ფაქტორია, რადგან შევარდნაძე ისევ აქ არის, ჯერ არსად წასულა!

საერთოდ, მიმაჩნია, რომ, რაც დრო გავა, ზვიად გამსახურდიას მკვლელობისთვის ნათლის მოფენა უფრო და უფრო გართულდება. ზვიადი საქართველოს ისტორიაში დარჩება, როგორც ქვეყნისთვის თავგანწირული რაინდი, იქნება მითების, ლეგენდებისა და ზღაპრების პერსონაჟი, მაგრამ მის მკვლელობას ოფიციალურად არ გახსნიან!

სხვათაშორის, როგორც ზვიად გამსახურდიას ხელისუფლება დაამხეს, სწორედ ასე უპირებენ დამხობას ამ ხელისუფლებასაც, რომელიც ამ ბოლო დროს აშკარად ეროვნულ პოლიტიკას ატარებს და საქართველოს რეალურ დამოუკიდებლობასა და სუვერენიტეტზე მიზანმიმართულად ზრუნავს. **ჩვენ შეგუებული ვიყავით რუსულ იმპერიალიზმს და გამომუშავებული გვქონდა მის წინააღმდეგ იმუნიტეტი, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ამერიკული იმპერიალიზმი, თურმე, რუსულზე არანაკლები და სასტიკი ყოფილა.** ზვიადი სწორედ რუსი და ამერიკელი იმპერიალისტების მსხვერპლი აღმოჩნდა.

არც რუსეთს და არც შეერთებულ შტატებს ხელს არ აძლევდათ და არც აძლევთ ის თავისუფალი და დამოუკიდებელი საქართველო, რომლისთვისაც **ზვიად გამსახურდია** იბრძოდა. **მამა ბუშს** საერთოდ არ სურდა საბჭოთა კავშირის დაშლა. თქვენ რა გგონიათ, რუსეთსა და ამერიკას ახლაც მშვენიერი სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობა აქვთ. 1933 წლამდე, ვიდრე ამერიკა საბჭოთა კავშირს აღიარებდა და დიპლომატიურ ურთიერთობას დაამყარებდა, საბჭოთა კავშირში „როლს-როისები“ და ამერიკული ტექნიკა შემოდიოდა. მთელი ინდუსტრიალიზაცია ბრიტანული, გერმანული და ამერიკული ტექნიკით ჩატარდა. როკფელერს გირაოში მთელი ყირიმი ჩაუდეს და ასე შემოიტანეს ამერიკიდან ტექნიკა, თორემ რუსეთს არაფერი ჰქონდა! ეკონომიკამ ბარიერები არ იცის. არ მისცემ ეკონომიკას ოფიციალურად განვითარების საშუალებას? მაშინ ძალით გაარღვევს ყველაფერს და განვითარდება!

**არ ვიზიარებ იმ აზრს, რომ გორბაჩოვსა და შევარდნაძეს საბჭოთა კავშირის დაშლა უნდოდათ. უბრალოდ, თავიანთი უვიცობითა და უტვინობით, როგორც აგენტებს, საბჭოთა კავშირი ხელში შემოეფშვნათ და დაეშალათ.** ახლა ამერიკელებმა მუშაობის სტილი შეცვალეს და საქართველოში გადატრიალების მოსაწყობად კონკრეტულ ინსტიტუტებს ურტყამენ, როცა ვიღაც-ვიღაცებს სანქციებით ემუქრებიან. რაც დღეს საქართველოსთან მიმართებაში ხდება, ეს არის საერთაშორისო იმპერიალიზმის შემოტევა, რომელიც მიზნად ისახავს პოსტსაბჭოთა სივრცის სრულ ავღანიზაციას და არა უკრაინიზაციას. უკრაინიზაცია ავღანიზაციის შვილობილია... უკრაინა მეორე მსოფლიო ომის დროს არ დანგრეულა ისე, როგორც ახლა დაანგრიეს. ამ დროს უკრაინის ხელისუფლებამ მოიცალა ჩვენთვის.

**— მაინც რა გეგმები აქვს ამერიკულ იმპერიალიზმს საქართველოში?**

— ამერიკას საქართველოში ორი ინტერესი აქვს — საქართველოს ჩათრევა უკრაინის ომში და კონტროლის დამყარება ბაქოს ნავთზე! ამერიკას საქართველომ იმედები ვერ გაუმართლა. ამიტომ ახლა უნდათ, საქმეში სომხეთი ჩართონ და მისი მეშვეობით მოახდინონ ზემოქმედება დანარჩენ კავკასიაზე.

**— სომხეთი რას მიიღებს ამის სანაცვლოდ?**

**— სომხეთს „დიდი სომხეთის“ აღდგენის ამბიციები აქვს!**

**— მაშინ თურქეთი უნდა დაიშალოს!**

— ცხადია, ეს ამ ეტაპზე არ მოხდება. მიმაჩნია, რომ ამერიკის დღევანდელი პოლიტიკა დიდხანს არ გაგრძელდება და ამ შემოდგომაზე ყველაფერი საქართველოს სასიკეთოდ შეიცვლება!

**— მივუბრუნდეთ ისევ ზვიად გამსახურდიას, როგორ ფიქრობთ, მაინც რა შეცდომა დაუშვა საქართველოს პირველმა პრეზიდენტმა?**

— სტრატეგიული თვალსაზრისით ზვიად გამსახურდიას არავითარი შეცდომა არ დაუშვია. პირიქით, მან წინასწარ, ასტრონომიული სიზუსტით განსაზღვრა ბევრი პოლიტიკური პროცესი და კავკასიაში, ჩვენს უშუალო სამეზობლოში, დატოვა გმირის სახელი. ამ სახელით საქართველო აუცილებლად ისარგებლებს და იამაყებს.

1997 წელს გროზნოში ვიყავი. ზვიადის საფლავთან რომ მივედი, ერთი მოხუცი ჩეჩენი იცავდა იქაურობას, რომელიც საფლავის სიახლოვეს არ გვიშვებდა და გვეუბნებოდა — **აქ კავკასიის გმირი წევს და მის საფლავს ვინმე ცუდად არ შეეხოსო!** აი, ასეთი სახელი დატოვა ზვიად გამსახურდიამ. საერთოდ, მე-20 საუკუნის 20-იან წლებში განიხილებოდა საკითხი, რომ პატარა სახელმწიფოებს არ უნდა ეარსებათ და ისინი დიდი სახელმწიფოების პატრონაჟის ქვეშ ყოფილიყვნენ...

**— მაინც რატომ არ იხსნება ზვიად გამსახურდიას მკვლელობა?**




**– ზვიადის მკვლელობა იმიტომ არ იხსნება, რომ მკვლელობის ზოგიერთი ფიგურანტი ან იმ სისხლიანი პროცესების ზოგიერთი მონაწილე დღესაც ცოცხალია!**

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***



# იგორ კვესელავა: გამსახურდიას მკვლელობაში შევარდნაძემ დიდძალი ფული გადაიხადა!



## „ასლანი არ იწონებდა ზვიადის ანტირუსულ პოლიტიკას!“

„ჩეჩნეთმა ზვიად გამსახურდიას უერთგულა იმდენად, რამდენადაც ეს ჩეჩნეთის ეროვნულ ინტერესებში შედიოდა!“

***ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი იგორ კვესელავა ზვიად გამსახურდიასა და ასლან აბაშიძის ურთიერთობის დეტალებს იხსენებს და ხაზგასმით აცხადებს, რომ ზვიადმა გროზნოში დაბრუნებაზე უარი უთხრა ჯოჰარ დუდაევსაც და თავის ოჯახსაც:***

— **ზვიად გამსახურდიას** ფიზიკური ლიკვიდაციის შესახებ ძალოვნებსა და უშიშროებას რამდენიმე ვარიანტი ჰქონდათ დამუშავებული. როცა უშიშროებას ვახსენებთ, ვგულისხმობთ შევარდნაძეს, ხოლო ვახსენებთ შევარდნაძეს და ვგულისხმობთ უშიშროებას! **შევარდნაძემ უშიშროებას დაავალა, რომ აფხაზეთიდან სამეგრელოში გადმოსული ზვიად გამსახურდიას სიკვდილის შესახებ გაევრცელებინათ სხვადასხვა, ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაცია.** სწორედ ამიტომ იყო, რომ, როგორც **ბულიკო ტიბუას** ჩვენებიდან ირკვევა, სოფელ ჯიხაშკარსა და მის შემოგარენში, სადაც ზვიად გამსახურდია აფარებდა თავს, 1993 წლის 28 დეკემბრიდან უკვე ვრცელდებოდა ხმები ზვიად გამსახურდიას თვითმკვლელობის შესახებ, რასაც, ცხადია, აკეთებდა შევარდნაძე.

ცნობისათვის, თვითმკვლელობით ზვიად გამსახურდიას მოშორება თავიდან დღის წესრიგში არ იდგა და შევარდნაძე აპირებდა მის ჩამოშორებას მკვლელობით. ამის ნათელი დასტურია შევარდნაძის კუდის — **ირინა სარიშვილის** გამოსვლა 1993 წლის 18 ოქტომბერს ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში საქართველოს დამაქცევრების, აფხაზეთის ჩამბარებლებისა და ხუნტისა და მისი დამქაშების წინაშე, სადაც მან პირდაპირ მიმართა ბანდიტებისა და მკვლელების ხელისუფლებას, **ზვიად გამსახურდია საქართველოში უნდა დარჩეს, მაგრამ შეცვლილი სახითო!** ანუ 1993 წლის 18 ოქტომბრამდე შევარდნაძე და მისი გარემოცვა ჯერ კიდევ არ მალავდნენ, რომ ზვიადი უნდა მოეკლათ, მაგრამ ამის შემდეგ უკვე მოხდა გეგმის გასაიდუმლოება, პრეზიდენტისთვის გასასვლელი გზების ჩაკეტვა და საბოლოოდ იმაზე აქცენტირება, რომ თითქოს მან თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე!

**— თქვენ ახსენეთ გზების ჩაკეტვა... მაინც რა გზები ჩაუკეტეს საქართველოს პირველ პრეზიდენტს?**

— არაერთხელ გვითქვამს და შევთანხმდეთ იმაზე, რომ **შევარდნაძისთვის ბევრად უფრო ხელსაყრელი იყო საქართველოში ჩამოსულ ზვიადთან ბრძოლა, ვიდრე გროზნოში მყოფ დევნილ პრეზიდენტთან ჭიდილი და დაპირისპირება.** ზვიად გამსახურდიას არაერთგზის აქვს ნათქვამი, რომ მან ვერ გააღწია სამეგრელოდან! პრეზიდენტი სამეგრელოდან ვერც გააღწევდა, რადგან თითოეულ მის ნაბიჯს სოფლებსა თუ იმ ოჯახებში, სადაც გადაადგილდებოდა ან ღამეს ათევდა, თავიდან ბოლომდე აკონტროლებდნენ **შევარდნაძის უშიშროება** და პირადად **ავთანდილ იოსელიანი.** შევარდნაძის კაპრიზი იყო, ზვიადი აუცილებლად სამეგრელოში და მეგრელის ხელით მომკვდარიყო!

**— ასეც მოხდა?**

— დიახ, ასეც მოხდა!

**— მეგრელში გია გულუას გულისხმობთ?**

— არამარტო **გულუას,** ძმებ **სარიებს, წურწუმიას** და კიდევ სხვებსაც!

**— მაინც რატომ აცხადებდა ზვიად გამსახურდია გროზნოში დაბრუნებაზე კატეგორიულ უარს? რა იყო ამის მიზეზი?**

— არ მინდა ამ თემაში ღრმად შევიდე, მაგრამ ერთს ვიტყვი — ამ ოცი წლის წინათ ზვიად გამსახურდიას პირადმა მძღოლმა, აწ განსვენებულმა **ბურამ ოქროცვარიძემ** გამოსცა მოგონებების ბროშურა — „მძღოლის სარკიდან დანახული სიმართლე!“, რომელიც თქვენს გაზეთშიც დაიბეჭდა. იქ ძალიან ბევრი რამ და, მათ შორის, გროზნოში **ზვიად გამსახურდიასა და მანანა არჩვაძე-**



„შევარდნაძის კაპრიზი იყო, ზვიადი აუცილებლად სამეგრელოში და მეგრელის ხელით მომკვდარიყო! ასეც მოხდა!“









„ედუარდ შევარდნაძე პრეზიდენტობას რამდენიმე კაცს ჰპირდებოდა – ირაკლი მენაღარიშვილს, გია ჭანტურიას, ქვანიასა და სააკაშვილს!“

## კვირბვინოსნები

**სვიმონ ჯანგულაშვილი**
*„საზოგადოება ქართულის“ საინიციატივო ჯგუფის წევრი, დირიჟორი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი*



მინდა **ქართული, ევროპული, დემოკრატიული, ქრისტიანული საქართველო** და ნამდვილად ვიცი, **ლაშა ბუღაძე** და ნაცების ოთხივე ტელეკომპანია ასეთ საქართველოს ვერ ააშენებენ.

არ მინდა იმ ქვეყანაში ცხოვრება, სადაც **რობერტ სტურუას, ანზორ ერქომაიშვილს, თემურ ჩხეიძეს, ოთარ ჭილაძეს, ხვიჩა კვარაცხელიას, ნონა გაფრინდაშვილს, ლაშა ტალახაძეს ან ზაქარია ფალიაშვილს** ლანძღავენ **ნიკა გვარამიები** და სხვა **უნიჭო რწყილები** და ამათ გვერდით ყოფნა ზნეობრივად გამართლებულად, თავისუფლებისათვის და ევროპისათვის ბრძოლად მიაჩნიათ ჩემს კოლეგებს, ბევრ ჩემთვის ძალიან საყვარელ ადამიანს.

„იმედინიუსი“

**ლევან ალაფიშვილი**
*კონსტიტუციონალისტი*



**ივანიშვილი** პრემიერობის კანდიდატად **ისევ ღარიბაშვილს** დააყენებს.

„ახალი თაობა“

**გედევან ფოფხაძე**
*პარტია „ახალის“ წევრი*



ჩემთვის **სახალხო მთავრობასა და კოალიციურ მთავრობას** შორის ტოლობის ნიშანია.

„ახალი თაობა“

**რამაზ საყვარელიძე**
*პოლიტოლოგი*



**ივანიშვილი** საარჩევნოდ არ გამოჩნდება. **ოპოზიციას მრჩეველი სჭირდება.**

„ახალი თაობა“

**გამსახურდიას** შორის განვითარებული მოვლენებია ასახული. პირდაპირ ვიტყვი — **პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიასა და მის მეუღლეს შორის ვითარება ისე დაიძაბა, რომ გროზნოში საქმე ლამის გაყრამდეც კი მივიდა!** აი, აქედან გამომდინარე, დამარცხებული ზვიად გამსახურდია გროზნოში ცოცხალი თავით არ დაბრუნდებოდა. მე მინდოდა **ზურამ ოქროცვარიძესთან** შეხვედრა, მაგრამ, სამწუხაროდ, ვერ შევხვდი. ეს იყო ძალიან სუფთა, ერთგული და ბრწყინვალე რეპუტაციის მქონე პიროვნება, რომლის ჩანაწერებიც მომავალ ქართველ მკვლევარებსა და ისტორიკოსებს გამოადგებათ. **მისი მოგონებების წიგნი, დარწმუნებული ვარ, ვიღაცამ გადაიკითხა და ძალიან ბევრი საინტერესო რამ ცენზურას შეეწირა, მაგრამ ზვიად გამსახურდიასა და მანანა არჩვაძე-გამსახურდიას ურთიერთობის შესახებ იქ იმდენი მინიშნება და დეტალია, ვფიქრობთ, სტრიქონებს შორის იმაზე უფრო მეტი იკითხება, ვიდრე წერია.**

**— მაინც სად აპირებდა ზვიად გამსახურდია სამეგრელოდან წასვლას?**

— გროზნოში რომ არ აპირებდა დაბრუნებას, ეს ფაქტია! ცნობილია, რომ **ჯოჰარ დუდაევი** მას სთავაზობდა ვერტმფრენის გამოგზავნას და გროზნოში გადაფრენას, მაგრამ ეს შემოთავაზება ზვიადმა ჩაშალა და გროზნოში გაფრენაზე კატეგორიული უარი თქვა. ჯერ ერთი, **ედუარდ შევარდნაძესა** და რუსებს მთლიანად გადაკეტილი ჰქონდათ საქართველოს ცა და დიდი იყო შანსი, რომ დუდაევის მიერ გამოგზავნილი ვერტმფრენი, როგორც კი მასში საქართველოს პირველი პრეზიდენტი ჩაჯდებოდა და ჰაერში აფრინდებოდა, მაშინვე ჩამოეგდოთ! მეორე — ზვიადი, როგორც გითხარით, გროზნოში, ქალბატონ**მანანა არჩვაძე-გამსახურდიასთან** ცოცხალი ჩასვლას არ აპირებდა! ზვიად გამსახურდიას უფრო აჭარაში, ბათუმში, უნდოდა გადასვლა... ზვიადმა გროზნოში დაბრუნებაზე უარი უთხრა ჯოჰარ დუდაევსაც და თავის ოჯახსაც!

**— როგორც ვიცი, ზვიად გამსახურდიას ბათუმში ჩასვლა ჯერ კიდევ ერევნიდან უნდოდა, საიდანაც ის ზაურ ბედიამ გროზნოში მშვიდობიანად ჩააფრინა!**

— კი, ბატონო. ზვიადი ბათუმისკენ, ასლანისკენ მიიწევდა, მაგრამ, როგორც გითხარით, საქართველოს პრეზიდენტს შევარდნაძემ ყველა გზა გადაუკეტა და ის სამეგრელოდან ვერ გადიოდა. **ზვიადი ბათუმში რომ ჩასულიყო, გადარჩებოდა, რადგან შევარდნაძე ასლანს ვერ აკონტროლებდა და აჭარაში ზვიადს ვერ მოკლავდა!**

**— ზვიად გამსახურდია კი მიიწევდა ასლან აბაშიძისკენ და ბათუმისკენ, მაგრამ ასლანი მოიწევდა ზვიადისკენ? ზუსტად ვიცი, რომ ბადრი მელაძეს სთხოვდა ზვიად გამსახურდია, რომ ასლანს ბათუმში დისლოცირებულ რუსის ჯარზე ზემოქმედება მოეხდინა, რათა ეს შენაერთები არ ჩართულიყვნენ ზვიად გამსახურდიას მომხრე ძალების წინააღმდეგ ბრძოლაში, მაგრამ ასლანი მაშინ განზე გადგა!**

— ამ თემაზე **ასლან აბაშიძესთან** მისაუბრია და მინდა, გითხრათ, რომ იგი ზვიად გამსახურდიას პოლიტიკას არ ემხრობოდა. დიახ, **აბაშიძე ზვიად გამსახურდიას დიდ პატივს სცემდა, მაგრამ მის კურსს არ ეთანხმებოდა.** უფრო მეტიც, **ასლან აბაშიძეს** ძალიან დიდი ამბიციები ჰქონდა და მიიჩნევდა, რომ საქართველოს უახლეს ისტორიაში მას ზვიად გამსახურდიაზე ნაკლები ფუნქცია არ ჰქონდა. ეს მან ჩემთან საუბარში არაერთგზის თქვა. რაც შეეხება რუსის ჯარის შეკავებას, ამას ასლან აბაშიძე ვერ შეძლებდა. ეს იყო რუსეთის გენერალურ შტაბში მიღებული გადაწყვეტილება, საკითხი შეთანხმებული იყო **პრეზიდენტ ელცინთან** და დედამიწაზე არ არსებობდა ძალა, რომელიც ზვიად გამსახურდიას წინააღმდეგ დაგეგმილ სამხედრო ოპერაციასა და სპეცოპერაციას შეაჩერებდა... ასლანს არანაირად არ ჰქონდა იმის ძალა, ბათუმიდან წამოსული რუსის ტანკები შეეჩერებინა. პირდაპირ გეტყვით, **ასლან აბაშიძე რომ ყოფილიყო საქართველოს პრეზიდენტი, ქვეყანაში გადატრიალება ვერ მოხდებოდა!** იგი იყო და არის ქართველი კაცი, რომელიც უფრო კრემლისტი იყო, ვიდრე პროთურქი, პროამერიკელი ან ევროპელი. ამასთან,

**ასლან აბაშიძე ძალიან ფრთხილიც გახლდათ და ყველასთან ყველაფერს არ ლაპარაკობდა, მაგრამ ჩემთან საუბარში ნათქვამი აქვს, რომ ზვიად გამსახურდია შევარდნაძის ხელისუფლებამ მოკლა!**

მას კონკრეტული პიროვნებები არ დაუსახელებია, მაგრამ ამაში დარწმუნებული იყო. ისიც ცნობილია, რომ **ბესარიონ გუგუშვილი** ძალიან მკაცრი გახლდათ და რაც საქართველოს დამაქცევრებმა ზვიად გამსახურდიას გაუბედეს, **ბესარიონ გუგუშვილს** ვერ გაუბედავდნენ, ვერც გადატრიალებას მოუწყობდნენ!

**— გუგუშვილის სიმკაცრე სად და რაში გამოიხატა?**

— სწორედ **ბესარიონ გუგუშვილს** დაავალა ზვიად გამსახურდიამ კინოსტუდია „ქართული ფილმის" შემოწმება. შემოწმებისას იქ ისეთი დარღვევები და გაფლანგვები დაფიქსირდა, კინოსტუდიის მაშინდელი ხელმძღვანელობა და, უპირველეს ყოვლისა, **რეზო ჩხეიძე** დასაჭერები იყვნენ. სწორედ ამის შემდეგ აუჯანყდნენ და აუმხედრდნენ ზვიად გამსახურდიასა და მის ხელისუფლებას.

**— ასლან აბაშიძე ზვიად გამსახურდიას კიდევ რას უწუნებდა?**

— ხომ გითხარით, ასლანი არ იწონებდა ზვიადის ანტირუსულ პოლიტიკას. მას ჩემთვის ნათქვამი აქვს — **ზვიადს რომ ბათუმამდე ჩამოეღწია, არ მოკვდებოდა, მაგრამ გზები შეუკრეს და არ გამოუშვესო!** ცნობისათვის, აფხაზეთის დაცემის შემდეგ რუსეთი საქართველოში**ვახტანგ გოგუაძის** ხელისუფლებაში მოყვანას გეგმავდა, რამაც შევარდნაძესა და გოგუაძეს შორის ურთიერთობა დაძაბა და შევარდნაძემ გოგუაძე მოიშორა, რომელიც ასლან აბაშიძეს უჭერდა მხარს. **კრემლის გეგმით, საქართველოს ხელისუფლების სათავეში ასლან აბაშიძისა და ვახტანგ გოგუაძის ტანდემი უნდა მოსულიყო!** გოგუაძეს ძალიან სერიოზული კავშირები ჰქონდა კრემლთან, მოსკოვიდან მასთან ჩამოდიოდნენ და შეხვედრები იმართებოდა, მაგრამ შევარდნაძემ ეს ყველაფერი ჩაჭრა და გოგუაძე მოიშორა.

საერთოდ, შევარდნაძე პრეზიდენტობას რამდენიმე კაცს ჰპირდებოდა — **ირაკლი მენაღარიშვილს, გია ჭანტურიას, ჟვანიასა და სააკაშვილს.** პრეზიდენტობა უნდოდა ასლან აბაშიძესაც. შევარდნაძემ ასლანთან შუამავლად დანიშნა ყველაფრის მკადრებელი და ყველაფერზე ხელისმომწერი **ირინა სარიშვილი.** მოკლედ, ეს დიდი და გრძელი თემაა, მაგრამ ფაქტია — ზვიადს რომ აჭარაში გადაესწრო და შევარდნაძეს სამეგრელოდან დასხლტომოდა, ბათუმში ხელს ვერავინ ახლებდა!**სამწუხაროდ, მან სამეგრელოდან გაღწევა ვერ შეძლო, რადგან შევარდნაძემ რუსის ჯარისა და თავისი ბანდების მეშვეობით მოახერხა მისი ბლოკირება და საქართველოს პირველი პრეზიდენტი სიცოცხლეს გამოასალმა.** ცნობისათვის, ზვიად გამსახურდიას მკვლელობაში შევარდნაძემ დიდძალი ფული გადაიხადა!

**— მაინც რა ფულზეა ლაპარაკი?**

— ეს ძალიან დიდი ფული იყო და ამ თემას ჩვენ აუცილებლად დეტალურად განვიხილავთ! ზვიადის პრობლემა ის გახლდათ, რომ მართვად ქაოსს ვერ გაუძლო. გარდა ამისა, მან ჩეჩნეთთან მიმართებაში დაიკავა მეტად სარისკო და საშიში პოზიცია. აი, ეს არ აპატიეს მას რუსებმა. **ელცინმა** ზვიად გამსახურდიას 1991 წლის შემოდგომაზე გამოუგზავნა ფულით დატვირთული მოციქული, რომელიც მან არ მიიღო, რის გამოც ის კაცი — გაბრაზებული და ნაწყენი — თავის ფულიანად მოხვდა ზღვაზე გასულ კიტოვანთან და მის ბანდასთან. **ელცინი** ზვიად გამსახურდიასგან ჩეჩნეთთან ურთიერთობის კორექტირებას ითხოვდა. ზვიადის სიდიადე იმაშია, რომ მან არ გაწირა ჩეჩნები, არ უღალატა კავკასიურ იდეას და ჩეჩნეთის გამო, ფაქტობრივად, მთელ მაშინდელ მსოფლიოს დაუპირისპირდა. მიმაჩნია, რომ რეალური პოლიტიკის პრინციპებიდან გამომდინარე, **ეს იყო ზვიადის საბედისწერო შეცდომა,** მაგრამ, როგორც გმირი და პრინციპების ერთგული, ისტორიაში სამუდამოდ შევიდა!

**— ჩეჩნეთმა უერთგულა ზვიად გამსახურდიას ისე, როგორც ზვიადმა — ჩეჩნეთს?**

— ჩეჩნეთმა ზვიად გამსახურდიას უერთგულა იმდენად, რამდენადაც ეს ჩეჩნეთის ეროვნულ ინტერესებში შედიოდა!

*ესაუბრა*

***დიტო ჩუბინიძე***

***გაგრძელება იქნება***



**„ასლან აბაშიძე რომ ყოფილიყო საქართველოს პრეზიდენტი, ქვეყანაში გადატრიალება ვერ მოხდებოდა!"**



**„პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიასა და მის მეუღლეს შორის ვითარება ისე დაიძაბა, რომ გროზნოში საქმე ლამის გაყრამდეც კი მივიდა!"**

## კვირგვინოსნები

**ირმა ინაშვილი**
*„პატრიოტთა ალიანსის" ლიდერი*



ჩვენი ხმა აუცილებლად უნდა ისმოდეს 2024 წლის პარლამენტში, **ეს არის ქართული არჩევანი,** ჩვენ შთამბეჭდავი შემადგენლობით შევალთ პარლამენტში.

„პირველი არხი"

**დავით ქიქინაძე**
*„ტრიბუნას" თავმჯდომარე*



26 ოქტომბერი **„ქართული ოცნების" გამარჯვების დღე არ იქნება.** საპარლამენტო ოპოზიციაც თანაზიარი იყო „ქართულ ოცნებასთან" ერთად **ხალხის მოტყუებასა და და „გადაგდებაში",** თავად რომ კარგად ყოფილიყვნენ დაბინავებულები.

„ახალი თაობა"

**დათო ტურაშვილი**
*მწერალი*



**იმდენი შეცდომა მაქვს დაშვებული და იმდენ რამეს ვნანობ, რომ დარჩენილი ცხოვრება არ მეყოფა გამოსასწორებლად.** მე არ ვმონაწილეობდი საშინელ თბილისის ომში და ამისათვის ღმერთს მადლობას ვწირავ, რომ მაგდენი ჭკუა მეყო. **არასოდეს მჭერია ხელში იარაღი, მაგრამ განვიცდი და თავს დამნაშავედ ვთვლი, რომ თბილისის ომი მოხდა.**

„კვირის პალიტრა"

**გიორგი კეკელიძე**
*მწერალი*



პარტიულ პოლიტიკაში არასდროს ვერეოდი, **არც ახლა და არც სამომავლოდ** არ იქნება ეს ჩემი საქმე.

„ახალი თაობა"

*2024 წლის 27 სექტემბერს ოცდათერთმეტი წელი შესრულდება მას შემდეგ, რაც რუსეთის არმიის რეგულარული საჯარისო ნაწილების, სომეხი ბაგრამიანელების, ჩრდილოეთ კავკასიელი გადამთიელების, კაზაკებისა და აფსუების გაერთიანებულმა ძალებმა ძველისძველი სებასტოპოლისი, ანუ ცხუმი დაიკავეს, ქალაქში სასაკლაო მოაწყვეს, ჟიული შარტავა და გურამ გაბისკირია დახვრიტეს და აფხაზეთი წაგვართვეს!*

# რა უნდა იცოდეს ქართველმა აფხაზეთის, აფხაზებისა და აფსუების შესახებ?

ამ 31 წლის განმავლობაში საქართველოში **აფხაზეთის, აფხაზებისა და აფსუების** შესახებ 31 მართალი სიტყვა არ დაწერილა, ხოლო ის სიმართლე, რაც ამ პრობლემატიკას მე-20 საუკუნის დასაწყისში საქართველოში მიეძღვნა, გასაბჭოების შემდეგ გამოშიგნეს, გადმოატრიალეს და უკუღმართად წაგვაკითხეს!

ჯერ კიდევ 1913 წელს **ივანე ჯავახიშვილი „ქართველი ერის ისტორიაში“** გარკვევით წერდა, რომ **აფხაზეთი საქართველოა, ხოლო აფხაზი ქართველია და ეროვნება — „აფხაზი“ ბუნებაში არ არსებობს!** იმავეს იმეორებდა **პავლე ინგოროყვაც** თავის ფუნდამენტურ ნაშრომში — **„გიორგი მერჩულე“,** რომელიც კომუნისტებმა ისე გამოაქიაქეს, რომ მისგან, ფაქტობრივად, აღარაფერი დატოვეს! იგივე ბედი გაიზიარა **აკადემიკოს ნიკო ბერძენიშვილის „საქართველოს ისტორიის საკითხების“** მერვე ტომმაც, სადაც ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხისა და, მათ შორის, აფხაზეთის პოლიტიკური და ეთნიკური გეოგრაფიის საკითხებია განხილული.

ხალხი, რომელიც თავის თავს **აფსუას** უწოდებს, რატომღაც ჩვენ მოვნათლეთ **აფხაზებად** და დავუშვით იმის ფსევდომეცნიერული მტკიცებაც, თითქოს საქართველოს განუყოფელი და ისტორიული კუთხე **აფხაზეთი** უხსოვარი დროიდან სწორედ ორი სხვადასხვა ნაციის — ქართველებისა და აფხაზების პირველსაცხოვრისი და ფუძე იყო!

ამ ვაიმეცნიერულ არგუმენტებს ძირშივე სპობს და ანადგურებს მე-12 საუკუნის არაბი გეოგრაფოსის **ბირ ელ იაკუთის** ცნობილი პოსტულატი, რომელიც მტერს გულს უხეთქავს, ხოლო მოყვარეს აძლიერებს — **„აფხაზეთი მხარეა საქართველოსი, სადაც ქრისტიანი ქართველები ცხოვრობენ!“**

ფაქტობრივად, იმავეს იმეორებს მე-12 საუკუნის სპარსი პოეტი **ხაქანი შირვანი,** რომელიც წერს — **„მშვენიერი და თმახუჭუჭა ქართველი ქალის სიყვარულით ვისწავლე ქართული და გავხდი აფხაზეთის მკვიდრი!“**

უკლებლივ ყველა რუკასა და პორტულანზე, რომლებიც შუა საუკუნეებში ევროპელმა გეოგრაფოსებმა და მოგზაურებმა შეადგინეს, დღევანდელი საქართველოს ტერიტორიაზე **აფსუები** მხოლოდ მე-17 საუკუნიდან ჩანან. მანამდე, მაგალითად, **ბატისტა ანიეზეს** მიერ 1540-იან წლებში შედგენილ რუკაზე გარკვევით არის მითითებული დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორია, რომელსაც ლათინური შრიფტით შავით თეთრზე აწერია — **მენგრელია.**

**გოსტალდის** მიერ მე-16 საუკუნეში შედგენილ რუკაზეც ქალაქ **სებასტოპოლისის,** ანუ დღევანდელი **სოხუმის** გვერდით დიდი შავი, ლათინური შრიფტით აწერია — **მენგრელია.** ამავე რუკაზე ცენტრალური კავკასიონის გადაღმა, ჩრდილოეთით, მითითებულია დასახლებული პუნქტი **აკუა** და იქვე არის მიწერილი რეგიონის დასახელებაც — **აბგზა.** საქვეყნოდ ცნობილი ფაქტია, რომ აფსუები სოხუმს სწორედ **აკუას** უწოდებენ. აქედან დასკვნა — **აფსუები საქართველოს ტერიტორიაზე, დღევანდელ აფხაზეთში ჩამოვიდნენ და თან ჩამოიტანეს თავიანთი ციხესიმაგრის სახელი — აკუა, რომელიც უძველეს სებასტოპოლისსა და ცხუმზე გაავრცელეს!**

მე-16 საუკუნის მიწურულით დათარიღებულ **მერკატორის** რუკაზეც მთელი დასავლეთ საქართველოს აღმნიშვნელად გამოყენებულია ტერმინი **მენგრელია,** ხოლო ცენტრალური კავკასიონის ჩრდილოეთით, იქ, სადაც დღეს ადიღეური ტომების პირველსაცხოვრი-

**უკლებლივ ყველა რუკასა და პორტულანზე, რომლებიც შუა საუკუნეებში ევროპელმა გეოგრაფოსებმა და მოგზაურებმა შეადგინეს, დღევანდელი საქართველოს ტერიტორიაზე „აფსუები“ მხოლოდ მე-17 საუკუნიდან ჩანან!**




ბატისტა ანიეზეს მიერ **1540-იან წლებში შედგენილი რუკა,** სადაც მთელი დასავლეთ საქართველო და, მათ შორის, **დღევანდელი აფხაზეთიც მოხსენიებულია მენგრელიად.**




გოსტალდის მიერ **მე-16 საუკუნის ბოლოს შედგენილი რუკა,** სადაც **სოხუმი და მთელი მისი შემოგარენი ასევე მოხსენიებულია მენგრელიად.**




**იმავე გოსტალდის რუკაზე** კარგად ჩანს, რომ ტერმინი **აბგაზ** და მათი მთავარი საცხოვრისი **აკუა** ცენტრალური კავკასიონის იქით, **ჩრდილოეთ კავკასიაში ფიქსირდება და არა — საქართველოს ტერიტორიაზე.**

## კვირგვინოსნები

**გიორგი გახარია**
*„გახარია საქართველოსთვის“ ლიდერი*



**ბიძინა ივანიშვილს** აშში მთავრობის ერთ-ერთი წარმომადგენელი თავის **პერსონალურ შიკრიკად** ჰყავს გაგზავნილი.

„ინტერპრესნიუსი“

**გია ვოლსკი**
*პარლამენტის პირველი ვიცე-სპიკერი*



არ მეგონა, **გიორგი გახარია** თუ ასე დაბლა დაეცემოდა და **იატაკს ქვემოთ ჩავარდებოდა** — რა სისულელეებს ლაპარაკობს! **რა შიკრიკი?!** ბატონი **გახარია** ზრდილობასთან ერთად, ლოგიკასაც მოისაკლისებს!

„ინტერპრესნიუსი“

**ირაკლი გოგავა**
*პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი*



ვნახეთ, როგორი ზეწოლა იყო ხელისუფლებაზე, რათა აქ **მეორე ფრონტი** გაგვეხსნა, რაც ჩვენთვის დამღუპველი იქნებოდა. გვეუბნებოდნენ, არა უშავს, **დანგრეულს აღვიდგენთო! დაღუპულ ხალხს ხომ ვერ დააბრუნებდნენ?!** ამიტომაც მოიძულა დასავლეთმა ეს ხელისუფლება. **ივანიშვილმა სააკაშვილის** მსგავსად ქვეყანა გარედან დაკვეთით **ომში არ ჩართო** და ეს დასაფასებელია, რადგან მთელი რისკები პირადად მან აიღო.

„საქართველოს რესპუბლიკა“

**დიმიტრი ხუნდაძე**
*პარტია „ხალხის ძალის“ გენერალური მდივანი*



საქართველოდან **მეორე ფრონტი** უფრო სისხლისგან დამცლელი იქნებოდა რუსეთისათვის, ვიდრე ბალტიისპირეთიდან.

„რეზონანსი“

**გურამ მაჭარაშვილი**
*„ხალხის ძალის“ წევრი*



ვინმეს საქართველოსთან ურთიერთობა თუ უნდა, **სანქციებისა და მათრახების** ნაცვლად, მეგობრული ენით უნდა გვესაუბროს.

„პირველი არხი“

სია, შავით თეთრზე ლათინური ასოებით აღნიშნულია **აკუა** — აფსუების ქალაქი, რომელიც მერე მათ ქართულ **ცხუმს,** ანუ იმავე **სოხუმს** გადაარქვეს!

ბრიტანელი კარტოგრაფის **გერმან მოლის** მიერ 1736 წლით დათარიღებულ რუკაზე, დასავლეთ საქართველოს იმ ნაწილში, რომელიც რუსეთმა მიიტაცა, ტერმინ **მენგრელიას** ზემოთ, ზედ ცენტრალური კავკასიონის მთებთან გვხვდება შედარებით მცირე წარწერა — **აბკაისი,** ანუ, თუ მე-16 საუკუნით დათარიღებულ რუკებზე **აფსუები** და მათი მთავარი ქალაქი **აკუა** ჩრდილოეთ კავკასიაშია, ასი წლის შემდეგ ისინი კავკასიონის გადმოღმა, დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, დღევანდელ აფხაზეთში არიან ჩამოსული.



შუა საუკუნეების ევროპელმა გეოგრაფოსებმა და კარტოგრაფებმა ზუსტად გაიმეორეს და მეცნიერული სიზუსტით აღწერეს ის, რის შესახებაც ანტიკური ხანის ავტორები ჯერ კიდევ ამ 2 ათასი წლის წინათ აღნიშნავდნენ და წერდნენ — **ცენტრალური კავკასიონის გადაღმა, სწორედ იმ ადგილას, სადაც აფსუა-ადიღეურ ტომთა განსახლების არეალია, ცხოვრობს ტომი სახელად აბზოე და მათი მთავარი გამაგრებული ადგილია აკუა.**

ანუ მე-16 საუკუნის მიწურული და მე-17 საუკუნე, როცა ერთიანი საქართველო დაშლილია, დასავლეთ საქართველოში ფეოდალური ანარქიაა გამეფებული და **ლევან მეორე დადიანს** საკუთარი ბიცოლა მოჰყავს ცოლად, ჩვენი ქვეყნის ისტორიაში ერთ-ერთი საკვანძო და დიდი მნიშვნელობის მქონე პერიოდია. **სწორედ ამ დროს აფსუები ჩრდილოეთ კავკასიიდან ნელ-ნელა დასავლეთ საქართველოში, კერძოდ, დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე გადმოდიან და მკვიდრდებიან.**

აფხაზეთის ტერიტორიაზე არ არსებობს არავითარი კვალი **აფსუათა** კულტურული, ლიტერატურული ან არქიტექტურული კვალის შესახებ, ეს გახლდათ, ნახევრად ველური ხალხი, რომელსაც არც ანბანი ჰქონდა, არც ქრისტიანები იყვნენ და, ფაქტობრივად, გვაროვნულ საზოგადოებას წარმოადგენდნენ.

არ არსებობს არავითარი მინიშნება, ფაქტი და მტკიცებულება იმისა, რომ **ილორის წმინდა გიორგი, ბესლეთის ხიდი, მოქვი, ბედია** და ქართული ხუროთმოძღვრების სხვა უნიკალური ძეგლები იმ ხალხის აშენებული იყოს, რომელსაც დღეს ჩვენ **აფხაზებს** ვუწოდებთ!

სხვათაშორის, **დიმიტრი გულიამ,** რომელმაც აფსუათა სეპარატიზმს უდიდესი გაქანება და მუხტი შესძინა, სასიკვდილო სარეცელზე ტირილით ამოღერღა — **აფხაზი ქართველია!**

ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, ზემოხსენებული ფაქტებისა და სხვა უამრავი მამხილებელი მასალების შესახებ, რომელიც ჩრდილოეთ კავკასიიდან საქართველოში აფსუათა ჩამოსახლებას უტყუარად ადასტურებს, ქართველმა მეცნიერებმა, ცხადია, იცოდნენ, მაგრამ **კრემლის ზეწოლით სიმართლეს ან ვერ წერდნენ, ანდა წერდნენ ნახევრად სიმართლეს, რომელიც ზოგჯერ ტყუილზე უარესია!**

სწორედ ასე იშვა ტუტუცური თეორია იმის შესახებ, რომ, თურმე, **აფხაზ ერს აფხაზეთის გარდა სხვა სამშობლო არა აქვს!**

არავითარი **აფხაზი ერი** ბუნებაში არ არსებობს! არსებობენ **აფსუები,** რომლებსაც ჩვენ დავარქვით **აფხაზები** ისევე, როგორც ბიჭვინთას — **პიცუნდა** და ასე ნაბიჯ-ნაბიჯ აღვასრულეთ რუსეთის ნება — **დავკარგეთ აფხაზეთი!**

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე,

## „ასავალ-დასავალი“ დღეიდან იწყებს სიმართლის წერას აფხაზეთის, აფხაზებისა და აფსუების შესახებ, რათა ქართველმა ერმა ერთხელ და სამუდამოდ გააცნობიეროს, თუ რა მასშტაბის სიყალბესთან გვაქვს საქმე და როგორ არის გაქიაქებულ-გაბახებული საქართველოს ისტორია!

ვფიქრობთ, სიმართლის წერა გვიან არასდროსაა!

ხოლო აფხაზეთისთვის ბრძოლას აზრი მაშინ ექნება, როცა ჯერ იმას გავარკვევთ, ჩვენს წინააღმდეგ ვინ ალესეს, ვინ გააქეზეს და ტყვია ვის ასროლინეს — **აფხაზს თუ აფსუას?**

**არავითარი „აფხაზი ერი“ ბუნებაში არ არსებობს! არსებობენ „აფსუები“, რომლებსაც ჩვენ დავარქვით „აფხაზები“ ისევე, როგორც ბიჭვინთას — „პიცუნდა“ და ასე ნაბიჯ-ნაბიჯ აღვასრულეთ რუსეთის ნება!**

***დიტო ჩუბინიძე***




**იმავე გოსტალდის რუკა,** სადაც კარგად ჩანს სად არის **მენგრელია** და სად — **აფსუათა აკუა.**




მერკატერის მიერ **მე-16 საუკუნის ბოლოს შედგენილი რუკა,** სადაც ასევე ნათლად ჩანს, რომ **დღევანდელ აფხაზეთს ჰქვია მენგრელია,** ხოლო **აფსუები და მათი აკუა** ლოკალიზებულია ჩრდილოეთ კავკასიაში.




ბრიტანელი გერმან მოლის მიერ **1736 წელს შედგენილი რუკა,** სადაც უკვე დღევანდელ **აფხაზეთს,** რა თქმა უნდა, გარკვევით აწერია ისევ და ისევ **მენგრელია,** მაგრამ მის გვერდით შედარებით წვრილი შრიფტით მითითებულია ტერმინი **აბკაისი.**

## კვირგვინოსნები

**რობერტ სტურუა**
*რეჟისორი*



დღეს ოპოზიცია კარიერისა და ინტრიგნობისათვის იბრძვის. **საბჭოთა კავშირი ხომ ვითომ მორჩა 1991 წელს,** მაგრამ ის გრძელდება. საბოლოოდ ბრძოლა მიდის ფულისთვის. **არ შეიძლება ფულის გამო სამშობლო ასე გაიმეტო,** არ შეიძლება!

„კვირის პალიტრა“

**მერაბ ქვარაია**
*პარლამენტარი*



არ მეგონა, თუ ამ ქვეყანაში კიდევ იყო აქტუალური გამოთქმები: **„არა რუსულ კანონს“, „ჩელიაბინსკში გავიღვიძებთ“** და მსგავსი, რადგან მთელმა საქართველომ დაინახა, რომ **ვიღვიძებთ საქართველოში,** ვაგრძელებთ ცხოვრებას საქართველოში, ვაგრძელებთ სვლას ევროპისკენ.

„იმედინიუსი“

**ალეკო ელისაშვილი**
*პარლამენტარი*



ესენი არიან **კოლექტიური ნაციონალური მოძრაობა.** არანაირი 6, 17, 4 და 5 პარტია არ არსებობს, იქ არსებობს **ერთი ნაციონალური მოძრაობა.** მათ რეალურად აქვთ შიში იმისა, რომ **5%-იან ბარიერს ვერ გადალახავენ.**

„ინტერპრესნიუსი“

**შალვა ნათელაშვილი**
*ლეიბორისტული პარტიის ლიდერი*



არჩევნებზე მარტო გავალთ — **ბარიერის გადალახვის პრობლემა არ გვაქვს.** იმ შემთხვევაში, თუ უმრავლესობას, **76 დეპუტატს,** ვერ გავიყვანთ პარლამენტში, მხოლოდ ამ შემთხვევაში **კოალიციაში შევალთ სხვა პარტიასთან, „ქოცების“ გარდა.**

„TV პირველი“

# „გაზიანი სასმლის მიღება ძალიან კარგია



**კახა საბახტარიშვილი** — ექიმი-ნევროპათოლოგი, საერთაშორისო ჰომეოპათიური ლიგის წევრი, საქართველოს ეკოლოგიის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი. გასული საუკუნის 80-იან წლებში იყო კიბოს საწინააღმდეგო პრეპარატ **„კატრექსის“** ავტორის **ალექსანდრე გაჩეჩილაძის** მიერ შექმნილი **საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი საიდუმლო სამეცნიერო ლაბორატორიის მთავარი ექიმი,** ქალაქ თბილისის №13 პოლიკლინიკის დირექტორი. აქვს გამოქვეყნებული 7 წიგნი და 1 მონოგრაფია, 50 სამეცნიერო სტატია. მსოფლიო აღიარება მოიპოვა მისი ხელმძღვანელობით შექმნილმა წამლებმა **„გულის ელექსირი ფორტე“, „ტონზილინი“ და „იმუნო ჰერბი-ფორტე“,** რომლებსაც ათასობით ადამიანი ღებულობს როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ.




**თბილისი, ვაჟა-ფშაველას 43, მეტროსადგური „დელისი“ *(პროფკავშირების სახლი)*. 593 31 70 34; ფეისბუქი: *„კახა საბახტარიშვილის ჯანმრთელობის ცენტრი“ და „ლაზიკა-ფარმა“***

## კახა საბახტარიშვილი:

# ვისაც გული აწუხებს, გაზიანი მინერალური წყალი დალიოს!

***მიჩნეულია, რომ ნახშირორჟანგი ორგანიზმს ვნებს, მაგრამ, როგორც ჰომეოპათი და ექიმი კახა საბახტარიშვილი გვარწმუნებს, ის არათუ მავნებელი, არამედ სასიცოცხლოდ აუცილებელი გაზია, რომლის გარეშეც ჟანგბადი უჯრედებამდე ვერ აღწევს:***

— ბოლო დროს საზოგადოებაში ასეთი ტრენდი დამკვიდრდა — გაზირებულ მინერალურ წყალს კარგად შეანჯღრევენ, ბოთლს თავმოხდილს დატოვებენ და მხოლოდ გარკვეული დროის გასვლის შემდეგ დალევენ წყალს. ამ ყველაფერს იმით ხსნიან, რომ გაზიანი სასმელი ორგანიზმისთვის მავნეა. კერძოდ, მიიჩნევენ, რომ გაზიან სასმელში გახსნილი ნახშირორჟანგი, რომელიც სწორედ გაზს ქმნის, ჩვენი ჯანმრთელობისთვის საზიანოა. ბევრი ჩემი კოლეგა პაციენტებს დღესაც კი ურჩევს, რომ მხოლოდ გაზგაშვებული მინერალური წყალი დალიონ. მოგეხსენებათ, ატმოსფერულ ჰაერს ადამიანი მცირე რაოდენობით ნახშირორჟანგთან და დიდი რაოდენობით ჟანგბადთან ერთად ჩაისუნთქავს, ხოლო ამოსუნთქ ჰაერში ნახშირორჟანგის კონცენტრაციაა მაღალი. რადგან ნახშირორჟანგს ორგანიზმი გარეთ გამოყოფს, ის მავნე ნივთიერებად არის მიჩნეული. სინამდვილეში საქმე პირიქითაა. კერძოდ, როდესაც ორგანიზმისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელ ჟანგბადს შევისუნთქავთ, ის უკავშირდება სისხლის ჰემოგლობინს, რომელსაც ჟანგბადის გადამტანის ფუნქცია აქვს. ჰემოგლობინს ჟანგბადი ყველა უჯრედამდე მიაქვს, მაგრამ მთელი ამ პროცესის საოცრება ისაა, რომ ნახშირორჟანგის გარეშე ჟანგბადს ჰემოგლობინი ვერც შეიერთებს და ვერც უჯრედებამდე მიიტანს! ანუ მარტივად რომ ვთქვათ — **უჯრედი ნახშირორჟანგის დახმარების გარეშე ჟანგბადს ვერ მიიღებს!** ამას „ბორის ეფექტი“ ეწოდება. ექიმი ბორი არაფერ კავშირშია ცნობილ ნობელიანტ ფიზიკოს ნილს ბორთან... **ადამიანს, რომელიც უჟანგბადობით, ანუ ჰიპოქსიით იტანჯება, თუ მხოლოდ სუფთა ჟანგბადს მივაწვდით, შესაძლოა, დაიხრჩოს!**

**— ეს ყველაფერი მეცნიერულად როგორ აიხსნება?**

— როდესაც ნახშირორჟანგი ორგანიზმში ხვდება, სითხეებთან ადვილად შედის რეაქციაში და წარმოიქმნება სუსტი სიძლიერის მქონე ნახშირმჟავა. მიუხედავად თავისი მოკრძალებული ეფექტისა, ნახშირმჟავა ორგანიზმში დიდ როლს თამაშობს. კერძოდ, ხელს უწყობს უჯრედში ჟანგბადის შეტანას. **როცა გაზირებულ მინერალურ წყალს ვსვამთ, გულის კუნთის კვება და სისხლძარღვების მდგომარეობა უმჯობესდება.** ამიტომ, ვისაც გული აწუხებს, გაზიანი მინერალური წყალი დალიოს!

სხვათაშორის, ერთ-ერთ გადაცემაში მსოფლიო კარდიოლოგიის ცოცხალმა ლეგენდამ, ჩვენმა თანამემამულემ, აკადემიკოსმა **ლეო ბოკერიამ** თავისი ჯანმრთელობისა და დღეგრძელობის საიდუმლოს ერთ-ერთ მიზეზად სწორედ გაზიანი წყლის ხშირი სმა დაასახელა და განმარტა, რომ ნახშირორჟანგით, ანუ გაზით მდიდარი წყალი გულის უებარი წამალია.

**— კიდევ რა სიკეთის მომტანია გაზიანი წყალი?**

— უზმოზე ჩვეულებრივი წყლის მიღებით შიმშილის გრძნობა ითრგუნება, რადგან კუჭის მიერ გამოიყოფა ნივთიერება **გრილინი.**






**„ერთ-ერთ გადაცემაში მსოფლიო კარდიოლოგიის ცოცხალმა ლეგენდამ, ჩვენმა თანამემამულემ, აკადემიკოსმა ლეო ბოკერიამ თავისი ჯანმრთელობისა და დღეგრძელობის საიდუმლოს ერთ-ერთ მიზეზად სწორედ გაზიანი წყლის ხშირი სმა დაასახელა!“**

**თუ უზმოზე ჩვეულებრივი წყლის ნაცვლად გაზიან წყალს დავლევთ, მაშინ გრილინის გამოყოფა მნიშვნელოვნად გაიზრდება და შიმშილის შეგრძნება კიდევ უფრო დაითრგუნება. ამიტომ, როცა გაშლილ სუფრას მშიერი მივუჯდებით, საჭმლის**

# „ვისაც წონაში დაკლება სურს,

## კვირგვინოსნები

**თენგიზ ცერცვაძე**
*ინფექციური პათოლოგიისა და შიდსის ცენტრის დირექტორი*



ძალიან მაღალია ალბათობა, რომ **საქართველო გახდება მსოფლიოში პირველი ქვეყანა,** რომელიც შეძლებს 2030 წლისთვის ერთდროულად დაძლიოს მსოფლიოს სამი ძირითადი ეპიდემია: **აივ/შიდსი, C ჰეპატიტი და B ჰეპატიტი.**

„ინტერპრესნიუსი“

**ზუკა ხუციშვილი**
*მომღერალი*



ყველაფერს ისე გავაკეთებ, **როგორც მამაჩემი მიკეთებდა.** მთელი ცხოვრება მადლიერი ვიქნები გიოსი, თუ როგორ გამზარდა. **იმის ნახევარი თუ მაინც გავაკეთე, რაც გიომ გააკეთა ჩემთვის,** ბედნიერი ვიქნები.

„სარკე“

**გიორგი სუხიტაშვილი**
*მომღერალი*



ვცდილობ, გავხდე **საკუთარი თავის საუკეთესო ვერსია.**

„ახალი თაობა“

**ერნა ნიფურია**
*აკადემია „გვირილას“ ხელმძღვანელი, მუსიკოსი*



70 წლის გავხდი და **არც ბოტოქსი გამიკეთებია, არც ფილერი!** ჩემი ნაოჭები წლების საჩუქარია.

„სარკე“

**ირმა სოხაძე**
*მომღერალი*



რომ ამბობენ, მზე კანს აჭკნობსო, ესეც არ ვიცი, რადგან ჩემს ასაკში — **68 წლის ვარ და არ მაქვს ცუდად კანი. ნაოჭები არ მაქვს.** არც ბოტოქსი გამიკეთებია და არც ფილერი და ისიც არ ვიცი, რა არის.

„თბილისელები“

# მათთვის, ვისაც უძილობა აწუხებს!»

**ჭამისგან როგორმე ცოტა ხნით შევიკავოთ თავი და დავლიოთ გაზიანი „ნაბეღლავი“, „საირმე“, „ბორჯომი“, „ლიკანი“ და ა.შ. დავინახავთ, რომ ცოტა ხანში მაძღრობის შეგრძნება დაგვეუფლება და საკვებსაც უფრო ნაკლები რაოდენობით შევჭამთ.**






მოკლედ, ვისაც წონაში დაკლება სურს, გაზიანი წყალი ხშირად დალიოს!

**— გაზიანი წყალი კუჭ-ნაწლავზე როგორ მოქმედებს? როგორც წესი, ასეთი სითხე ადამიანს ბერავს.**

— თუ გაზიან სასმელს ერთბაშად და დიდი რაოდენობით სულმოუთქმელად დავლევთ, რა თქმა უნდა, შებერილობას ვიგრძნობთ, მაგრამ, თუ მას ნელა, აუჩქარებლად და ყლუპებად მივირთმევთ, მსგავსი არაფერი მოხდება. უფრო მეტიც, უკანასკნელი დროის კვლევებით დადგენილია, რომ **გაზიან წყალში გახსნილი ნახშირორჟანგი ანადგურებს იმ მავნე ბაქტერიების 50 პროცენტს, რომელიც მსხვილ ნაწლავში ყოველთვის არის.** გარდა ამისა, ცნობილი ფაქტია, რომ ადამიანებმა, რომლებმაც ინსულტი გადაიტანეს, ნერვული სისტემის დაზიანების გამო ხშირად უვითარდებათ შეკრულობა. როდესაც ასეთ ადამიანებზე ექსპერიმენტი ჩაატარეს და გარკვეული დროის განმავლობაში ერთ ჯგუფს — ჩვეულებრივი წყალი, ხოლო მეორეს გაზიანი წყალი მისცეს, აღმოჩნდა, რომ მეორე ჯგუფში კუჭის მოქმედება პაციენტთა 58 პროცენტს გამოუსწორდა.

გაზიან წყალში არსებულ ნახშირორჟანგს სიმსივნის საწინააღმდეგო მოქმედებაც გააჩნია! ეს იმით აიხსნება, რომ სიმსივნური უჯრედის შიგნით რეაქცია ტუტეა, ხოლო უჯრედის გარეთ — მჟავა, რომელსაც სიმსივნური უჯრედის ცხოველქმედების პროდუქტები ქმნის. **როცა ორგანიზმში ნახშირორჟანგი ნაკლებად ხვდება, ტუტიანობა მატულობს, ვითარდება ე.წ. ალკალოზი, რაც სიმსივნის გამრავლებას და განვითარებას უწყობს ხელს. გაზიან წყალში შემავალი ნახშირორჟანგი კიბოს მეტასტაზების გავრცელებას ხელს უშლის!**

**— ლიმონათი, „კოკა-კოლა“ და სხვა გაზიანი სასმელებიც სასარგებლოა?**

— **გაზიანი მინერალური ან ჩვეულებრივი წყლისგან განსხვავებით, ლიმონათი, „კოკა-კოლა“ და სხვა მსგავსი გაზიანი სასმელები ორგანიზმისთვის მავნებელია!** მართალია, ეს გამაგრილებელი და ტკბილი სასმელები გაზს, ანუ ნახშირორჟანგს შეიცავენ, მაგრამ სიტკბოს მისაცემად მათ უმატებენ **შაქარს, ან სიმინდის სიროფს.** შაქარიც და სიმინდის სიროფიც ორგანიზმში D ვიტამინის დონეს მკვეთრად ამცირებს, კალციუმს ძვლებიდან რეცხავს და მაგნიუმის დონეს დაბლა სწევს. მაგნიუმის გარეშე კი D ვიტამინის ათვისება არ ხდება და ყოველივე ამის შედეგად ვითარდება **ოსტეოპოროზი.**

ჩავატაროთ ასეთი ექსპერიმენტი: თუ ქათმის ძვალს „კოკა-კოლაში“ ან მსგავს სასმელში ჩავდებთ და რამდენიმე დღის შემდეგ ამოვიღებთ, დავინახავთ, რომ ძვალი დარბილებული იქნება. გარდა ამისა, ყველა ამ სასმელს უმატებენ **ორთოფოსფორმჟავას,** რათა მასში ბაქტერიები და სხვა მიკროორგანიზმები არ გამრავლდეს! საქმე ის გახლავთ, რომ სასმელში არსებული შაქარი ასეთი მავნე მიკროორგანიზმებისთვის შესანიშნავი საკვებია. **ორთოფოსფორმჟავა ბაქტერიებს კი სპობს, მაგრამ ძვლებს, განსაკუთრებით კბილებს, ანადგურებს.**

**„გაზიანი მინერალური ან ჩვეულებრივი წყლისგან განსხვავებით, ლიმონათი, „კოკა-კოლა“ და სხვა მსგავსი გაზიანი სასმელები ორგანიზმისთვის მავნებელია!“**




**„გაზიანი „ბორჯომი“, „ნაბეღლავი“, „ლიკანი“ ან „საირმე“ ძალიან კარგია სტრესის მოსახსნელად!“**




გაზიანი „ბორჯომი“, „ნაბეღლავი“, „ლიკანი“ ან „საირმე“ ძალიან კარგია სტრესის მოსახსნელად. საქმე ის გახლავთ, რომ სტრესის, ნერვიულობის, პანიკის, შიშის დროს აქტიურდება სიმპატიკური ნერვული სისტემა, რაც გახშირებულ სუნთქვას იწვევს. ჯანმრთელი ადამიანი წუთში 10-12-ჯერ ჩაისუნთქავს და ამოისუნთქავს, ხოლო სტრესის, შიშის, პანიკის დროს სუნთქვა გახშირებულია და წუთში 15-20 ერთეულს აღწევს. გახშირებული სუნთქვის დროს ორგანიზმში ნახშირორჟანგის კონცენტრაცია მცირდება. როცა ასეთ დროს ნახშირორჟანგით მდიდარ გაზიან სასმელს მივიღებთ, ორგანიზმი ნახშირორჟანგს შეივსებს, პარასიმპატიკური ნერვული სისტემა გააქტიურდება, სუნთქვა მოწესრიგდება, ადამიანი დამშვიდდება და გულის რიტმიც ნორმას დაუბრუნდება. **გაზიანი სასმლის მიღება ძალიან კარგია მათთვის, ვისაც უძილობა აწუხებს!**

**— ეს რით აიხსნება?**

— ნახშირორჟანგის საკმარისი კონცენტრაცია ტვინის უჯრედებისთვის საჭირო ჟანგბადის შეუფერხებელ მიწოდებას განაპირობებს. ეს კი მშვიდი ძილის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა.

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***

# გაზიანი წყალი ხშირად დალიოს!»

## კვირგვინოსნები

**ზურაბ ანთელავა**
*მსახიობი*



კარებში რომ **საჭვრეტის კეთება** დაიწყეს საქართველოში, **იქიდან დაიწყო კარჩაკეტილობა** და შიში არა იმის, რომ ვიღაც შემოუვარდებათ სახლში, არამედ იმაზე ფიქრი, **ის ღირსია, რომ მე მას კარი გავუღო?!**

„თბილისელები“

**ნატო ლუმბაძე**
*პროდიუსერი*



**მე 90-იანებში შევქმენი ოჯახი.** ვაპირებდით ქორწილს, მაგრამ, მოგეხსენებათ, იმ დროს ეს რამდენად საშიში იყო. **თავად ვთქვი უარი ქორწილზე,** რომ რამე ცუდი არ მომხდარიყო.

„სარკე“

**ზაზა ფაჩულია**
*კალათბურთელი*



ბავშვი რომ გაგვიჩნდა, მითხრეს — **უნდა წახვიდე და ცოლ-შვილთან უნდა იყო.** თამაში გავაცდინე ბავშვის დაბადების გამო. ასეც უნდა იყოს. **კალათბურთი დროებითია, ოჯახი — მუდმივი.**

„სარკე“

**გიორგი ნაზღაიძე**
*ტელე-რადიოწამყვანი*



კვირის ბოლო მაქვს გამოყოფილი **სახლის სრულად დალაგებისთვის** და გადასარევად ვართმევ თავს. ასე რომ, **დიასახლისობაც კარგად გამომდის** და დამოუკიდებლად ცხოვრებაც.

„თბილისელები“

**თამუნა გომართელი**
*ტელე და საკონცერტო წამყვანი*



ჩემი ტვინი **დასვენების დროსაც მუშაობს,** ღამეც კი, ამას ვერაფერს ვუხერხებ.

„თბილისელები“

**თაკო კორინთელი**
*ტელეწამყვანი*



მალე ვიტყვი, რომ **ჩემმა მეუღლემ მესამედ მომიყვანა ცოლად.** ჩემს ქმარს გამხდარიც ვუყვარდი და პუტკუნაც ვუყვარვარ.

„თბილისელები“



# ფოტოს, რომელზეც სერგო ზაქარიაძე და სოფი ლორენი არიან აღბეჭდილი, 59 წელი შეუსრულდა!

***ზუსტად 59 წლის წინათ, მეოთხე საერთაშორისო კინოფესტივალზე, რომელიც მოსკოვში 1965 წლის 5 ივლისიდან 20 ივლისამდე ჩატარდა, ერთმანეთს შეხვდა მსოფლიო კინოს ორი ლეგენდა — ქართველი სერგო ზაქარიაძე და იტალიელი სოფი ლორენი. ამ ფესტივალზე სერგო ზაქარიაძე დაჯილდოვდა მამაკაცის როლის საუკეთესო შესრულებისთვის ფილმში „ჯარისკაცის მამა“, ხოლო სოფი ლორენი — ქალის როლის საუკეთესო შესრულებისთვის ფილმში „ქორწინება იტალიურად“. საინფორმაციო სააგენტო „ტასს“-ის ფოტოგრაფმა ვალერი გენდე-როტემ მოსკოვის ქუჩებში მათ დაუვიწყარი ფოტოები გადაუღო.***

ამ დროს **სერგო ზაქარიაძე** 56 წლისაა, ხოლო **სოფი ლორენი** — 31-ის, ფესტივალის ოფიციალური ცერემონიისა და დაჯილდოების შემდეგ ისინი ერთმანეთს შეხვდნენ სადილზე, სადაც სოფი ლორენმა სპეციალურად მისთვის მომზადებული იტალიური კერძი — სპაგეტი დააგემოვნებინა. სადილის შემდეგ სასეირნოდ წავიდნენ წითელ მოედანზე და მდინარე მოსკოვის სანაპიროზე, ხოლო მათმა თანმხლებმა, საინფორმაციო სააგენტო „ტასს“-ის ფოტოგრაფმა **ვალერი გენდე-როტემ** მათ გასაოცარი ფოტოები გადაუღო. მოგვიანებით კინოკრიტიკოსებმა ამ ალბომს სერგოსა და სოფის ფოტოკინო უწოდეს. როდესაც სერგო ზაქარიაძე საქართველოში დაბრუნდა და ფესტივალის შთაბეჭდილებებსა და სოფი ლორენთან შეხვედრაზე ჰკითხეს — **ოცნებობდით თუ არა სოფი ლორენთან ერთად ფილმში გადაღებაზეო,** მან უპასუხა: **სიამოვნებით ვითამაშებდი როლს სოფი ლორენთან ერთად, მაგრამ ჩემი ოცნება ეს არ ყოფილაო და ქართველ მსახიობ ქალთაგან დაასახელა ნატო ვაჩნაძე და თამარ ციციშვილი, როგორც არანაკლებ ნიჭიერი და ლამაზი ქალბატონები.**

ცნობილი რეჟისორი **გიზო ჟორდანია** სერგოსა და სოფის შეხვედრაზე იხსენებდა: *მოსკოვში კინოფესტივალზე შეხვედრის შემდეგ რესტორანში ვახშამი გაიმართა, სოფი სერგოსგან ცოტა მოშორებით იჯდა. მოულოდნელად სოფი მასთან აღმოჩნდა და კალთაში ჩაუჯდა. სერგო დაიბნა, მაგრამ უცებვე მოეგო გონს. სერგო ზაქარიაძე, თურმე, ხუმრობით ამბობდა — წარმოგიდგენიათ, რესტორანში ახლა რა უნდა გამეკეთებინაო?!*

2016 წლის ივნისში ცნობილმა საოპერო მომღერალმა **ნინო სურგულაძემ** სოფი ლორენი საქართველოში ჩამოიყვანა (საქველმოქმედო ფონდ „ნატვრის ხის“ ღონისძიებაში საპატიო სტუმრის სტატუსით მონაწილეობის მისაღებად, მაშინ ის უკვე 82 წლის იყო. როდესაც **სოფი ლორენს** სერგო ზაქარიაძესთან ერთად გადაღებული ფოტოები აჩვენეს, წარსულის გახსენება გაუხარდა და აღფრთოვანება არ დაუმალავს.

გასულ კვირას ხალხის საყვარელი მსახიობის **სერგო ზაქარიაძის** დაბადებიდან 115 წელი შესრულდა, ხოლო მის მიერ ვარსკვლავური როლის — ჯარისკაცის მამის შექმნიდან — 60 წელი. 53 წელია, რაც სერგო ზაქარიაძე აღარ არის ამქვეყნად, ხოლო **სოფი ლორენს** ამა წლის სექტემბერში 90 წელი შეუსრულდება.



***ქეთევან ხამიცაშვილი***







# ლია კაპანაძე: ჩემი ფილმების ყურება არ მიყვარს!

***გასულ კვირას კინოკლუბში „სხვა კინო“ გაიმართა ქართული ფილმის „დიდი მწვანე ველი“ კინოჩვენება და შეხვედრა მის რეჟისორთან მერაბ კოკოჩაშვილთან. უნიჭიერესი ქართველი მსახიობების: დოდო აბაშიძის, ლია კაპანაძის, მზია მაღლაკელიძის, ილია ბაკაკურისა და სხვათა უბადლო თამაშმა ამ ფილმს, რომელიც შესულია მსოფლიოს 100 საუკეთესო ფილმს შორის და დასახელებულია 10 საუკეთესო ქართული ფილმის ჩამონათვალში, დიდი წარმატება მოუტანა, ხოლო მისი მთავარი გმირი მსახიობი ლია კაპანაძე დღესაც ემოციით ამბობს, რომ ეს იყო არამარტო შემოქმედებითი პროცესი, არამედ სისხლსავსე ცხოვრება:***

— **მერაბ კოკოჩაშვილს,** რომელიც ფილმისათვის **„დიდი მწვანე ველი“** მსახიობებს არჩევდა, ჩემი კანდიდატურა პირიმზეს როლზე რეჟისორმა **რეზო ჭარხალაშვილმა** შესთავაზა. იგი მიხეილ თუმანიშვილის ყოფილი სტუდენტი იყო, მეც თუმანიშვილის ჯგუფში ვსწავლობდი... ერთ მშვენიერ დღეს რეზომ დამირეკა, ფილმის რეჟისორსა და გადამღებ ჯგუფს უნდა გავცნობოდი. მანამდე ნანახი მქონდა მერაბის მიერ გადაღებული მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „მიხა“ და „არდადეგებზე“, კინო კი ბავშვობიდანვე მიყვარდა.

**— როლზე მაშინვე დაგამტკიცეთ?**

— არა, გავიდა კარგა ხანი და მერაბს შემთხვევით შევხვდი კინოსტუდიის ეზოში, როცა მეგობარს მივაკითხე. მერაბმა მითხრა — ჯერჯერობით არავინ დამიმტკიცებია და თქვენზეც თავს ვიკავებო. სცენარი წაკითხული მქონდა, პირდაპირ ვუთხარი — ჩემზე კარგად მაგ როლს ვერავინ ითამაშებს-მეთქი! გაუკვირდა სითამამე, მაგრამ ჩემს სიტყვებში დარწმუნებული ვიყავი, თანაც, უკვე ნათამაშევი მქონდა **ნიკოლოზ პიპინაშვილის** ფილმში **„ზღვის შვილები“.** ამის შემდეგ მან კიდევ რამდენიმე მსახიობი გასინჯა და საბოლოოდ ერთი დაამტკიცა კიდეც. უკვე გადაღებაზე მიდიოდნენ, როცა კინოსტუდიაში ჩემს მეგობართან — **მზია მაღლაკელიძესთან** მივედი (მზია თავიდანვე დამტკიცებული იყო ამ ფილმში სოფიოს როლზე). ეზოში ვსაუბრობდით, როცა მზიამ მითხრა — მხატვარი **დიმა ერისთავია** მოსული და მერაბი მას სინჯებს აჩვენებსო. გავიდა, ალბათ, 2 საათი, ამასობაში **რეზო ჭარხალაშვილიც** მოვიდა და მითხრა — მოემზადე, ზეგ გადაღებაზე უნდა მოხვიდეო... თურმე, მერაბი **დიმა ერისთავს** დაურწმუნებია — ამ ფილმის გმირი უკვე გყავს და სხვას ნუ ეძებო. ასე გადაწყვიტა მან ჩემი ბედი. ბილეთები აღებული მქონდა, ზღვაზე უნდა წავსულიყავი, მაგრამ გადამღებ ჯგუფთან ერთად მანგლისში მომიხდა გამგზავრება და დაიწყო ძალიან საინტერესო ცხოვრება.

**— სად მიმდინარეობდა გადაღებები?**

— სოფელ ერწოში, ცხინვალიდან რაჭისკენ რომ მიდიხარ, იმ გზაზეა. სრულიად მოწყვეტილი ვიყავით ქალაქს, იყო სიმწვანე და სულ რამდენიმე ადგილობრივი მაცხოვრებელი. მოკლედ, ჩვენ ვავსებდით ამ პატარა სამყაროს. ყველა მოწყურებული იყო მუშაობას — მსახიობები, ოპერატორები, ასისტენტები... საღამოობით ვიკრიბებოდი და, როგორც თეატრში ხდება ხოლმე, როლებზე ვმსჯელობდით — ვინ რას ფიქრობდა თავის გმირზე, სცენებზე... ეს იყო უზომო ბედნიერება. როცა ჩემს ეპიზოდს არ იღებდნენ, კადრს მიღმა ვიდექი და ვუყურებდი მთელ ამ პროცესს. ძალიან რომანტიკული იყო ეს ყველაფერი — ნამდვილი და წრფელი. ეს იყო ნამდვილი ცხოვრება, რომელიც ზუსტად იმ წუთებში ისე დუღდა, როგორც ამ ფილმის კადრებშია. ყველა მსახიობს ვუსურვებ ასეთ სიტუაციაში მოხვედრას, რამდენ ფილმში ვარ ნათამაშევი, მაგრამ მსგავსი შემოქმედებითი აღმაფრენა არ მიგრძნია.

**— თან მეგობარიც გვერდით გყავდათ, მზია მაღლაკელიძე...**

— მზიას ჯერ კიდევ ინსტიტუტიდან ვიცნობდი, ორი წლით ჩემზე უმცროსია, როცა მე მეოთხე კურსზე ვსწავლობდი, ის მეორეზე იყო. გაუხარდა, როლზე რომ დამამტკიცეს, გადაღებებზე ერთად უნდა ვყოფილიყავით, ჩვენ აქამდეც ერთად ვთამაშობდით თეატრში. მზიამ საოცარი ნერვიულობა იცოდა, ვეუბნებოდი — ნუ განიცდი, შენი შიშები მეც გადმომედება-მეთქი. უნიჭიერესი მსახიობია და ძალიან კარგი ადამია-

## კვირგვინოსნები

**რეზო ჩხიკვიშვილი**
*მსახიობი*



მე **ორი სამშობლო მაქვს,** მაგრამ გული **საქართველოსკენ** მომიწევს.

„კვირის პალიტრა“

**ნიკუშა შენგელაია**
*მხატვარი*



სხვა ტიპის ადამიანებს სჭირდებათ სასახლეები, მე კი არ მაინტერესებს, **მთავარია, სახურავი იყოს თავზე და ხედი, რომ შენს სამშობლოს უყურო.**

„თბილისელები“

**პაატა ბურჭულაძე**
*საოპერო მომღერალი*



**პოლიტიკაში ჩემს შემოსვლას დღეს აზრი არა აქვს** — როგორც კი შესაძლებლობა იქნება, **„ივანეს“ ავაღორძინებ.**

„TV პირველი“

იმედის კლინიკა
თბილისი, დიდი დიღომი, მირიან მეფის 10ა
imediclinic.com
* ორსულ ქალთა კონსულტაცია
* სამშობიარო სახლი
* პედიატრიული კლინიკა
* გინეკოლოგიური დეპარტამენტი
პროფესიონალიზმი, უახლესი აპარატურა, ოჯახური გარემო
სამშობიარო: 032 229-56-50
პედიატრიული კლინიკა: 032 223-85-80



# „დიდი მწვანე ველის“ გადაღებები იყო ნამდვილი ცხოვრება, რომელიც იმ წუთებში ზუსტად ისე დუღდა, როგორც ამ ფილმის კადრებშია!“





კადრები ფილმიდან „დიდი მწვანე ველი“

ხელ შემთხვევით მოვხვდი ყირგიზეთში ფილმის გადაღებებზე — მასიურ სცენაში მონაწილეობისათვის ჩამიყვანეს, მაგრამ ისე ვითამაშე, რომ მთელი ყურადღება ჩემზე გადმოიტანეს. რეჟისორს იმდენად მოეწონა, რომ საღამოს, სხვა სტუმრებთან ერთად, სუფრასთან დამპატიჟა. თურმე, **ლანა ღოღობერიძეს და სოფიკო ჭიაურელს** იცნობდა, ახსენა **მერაბ კოკოჩაშვილი** და მისი ფილმი **„დიდი მწვანე ველი“,** იქ ერთი ახალგაზრდა ქალი თამაშობს და ძალიან მომეწონაო. გვერდით მეჯდა **ოთარ კობერიძე,** ვიფიქრე — ხმას ამოიღებს და რამეს იტყვის-მეთქი, მაგრამ არაფერი უთქვამს ბოლოს ისევ მე მივმართე: **სხვათაშორის, ის ქალი მე ვარ-მეთქი.** ასე ხდება, კობერიძე თვლიდა, რომ მასზე დიდი არტისტი არ არსებობდა.

**— ამ ფილმს ხშირად უყურებთ?**

— ჩემი ფილმების ყურება არ მიყვარს, ამასაც შემთხვევით ვუყურე, როცა გერმანელები იყვნენ ჩამოსული და ფილმის ჩვენება უნდა მოეწყოთ. მზია შემეხვეწა — მარტო ნუ დამტოვებ, ერთად ვუყუროთო. ძალიან მომეწონა და თამამად ვიტყვი, რომ ეს არის ერთ-ერთი საუკეთესო ფილმი, რაც კი მინახავს. მერაბი არაჩვეულებრივი ადამიანია, ძალიან ნიჭიერი, ამიტომაც გამოვიდა ეს ფილმი ასეთი კარგი და ვთვლი, რომ ის არის მისი შემოქმედების გვირგვინი.

**— რამდენი წლის ხართ ამ ფილმში? უკვე 90 წელი შეასრულეთ, მზია მაღლაკელიძე 88 წლისაა...**

— 30 წლის! 1934 წელს ვარ დაბადებული, თავს ვგრძნობ ძალიან კარგად, ვაზროვნებ, ვმოქმედებ. როდესაც ადამიანი აზროვნებს და ცხოვრების ინტერესი აქვს, ასაკი არაფერს ნიშნავს. არ ვარ წელში მოხრილი, არც დასუსტებული, ჩვეულებრივად მტკივა, ისე როგორც სხვებს და ჩვეულებრივად მიხარია. რაც მთავარია, პიროვნულად ვარ ძლიერი, წლებს თავს არ დავაჩაგვრინებ და ამის გამო საკუთარ ცხოვრებაზე ხელჩაქნეული არ ვიქნები!

ნი, ბევრი წელი გავატარეთ ერთად და საუკეთესო ურთიერთობა გვქონდა. დიდი ხანია, არ მინახავს, თავის ქალიშვილთან — **ნუცა შანშიაშვილთან** ერთად ამერიკაში ცხოვრობს, ძალიან იშვიათად ჩამოდის.

**— ამბობენ, რომ ამ ფილმში სოსანას როლის თამაშის შემდეგ დოდო აბაშიძე მაყურებელმა კომიკური მსახიობიდან სულ სხვა ამპლუაში დაინახა...**

— დოდოს უდიდეს პატივს ვცემდი, იყო უნიჭიერესი მსახიობი, **„დიდი მწვანე ველიდან“** დაიწყო მისი, როგორც მსახიობის სულ სხვა კუთხით დანახვა. ამის მერე შექმნა მან ბევრი საინტერესო სახე, მაღალი კლასის მსახიობი იყო. მახსოვს, ამ ფილმის გადაღებისას კაკლის ხის ქვეშ ვისხედით, ვუთხარი — დოდო, პამპულა როლებს რომ თამაშობ, ეს ძალიან ღრმა როლია-მეთქი... არ სწყენია, იცოდა, რომ სათქმელს ყოველთვის პირდაპირ ვამბობდი.

**— ცენზურას ეს ფილმი ერთხანს შეჩერებულიც ჰქონდა...**

— იმის ნაცვლად, რომ გახარებოდათ, კარგ ქართულ ფილმს რომ იღებდნენ, ჩასაფრებულები იყვნენ. ხმა გავარდა — ზოგიერთი ეპიზოდი მოსაწონი არ არისო, არადა, ფილმი ადამიანების ცხოვრებაზეა, ოჯახზე, სადაც ყველაფერი ხდება. რა იყო მიუღებელი თუნდაც იმაში, ფილმში დოდოს გვერდით ლოგინში რომ ვიწექი? ცხოვრებაში ცოლ-ქმარი ერთად არ წევს? საქმე იმაშია, რომ არ უნდოდათ ეკრანზე ასეთი კარგი ფილმის გამოსვლა. ადამიანები ბოღმითა და შურით არიან სავსე. უნიჭიერესი კაცის — **მერაბ ელიოზიშვილის** სცენარის მიხედვით არის ფილმი გადაღებული და როგორ შეიძლებოდა მისი აკრძალვა?!

**— 1974 წელს ამ ფილმმა ბერლინის კინოფესტივალზე ფართო საზოგადოების დიდი მოწონება დაიმსახურა და განსაკუთრებით აღინიშნა ორი ქალის — თქვენი და მზია მაღლაკელიძის მაღალმხატვრული თამაში და მომხიბვლელობა...**

— როგორც ამ ფილმის მონაწილე, ფესტივალზე არასოდეს წავსულვარ, თუმცა, ერთ-

*ესაუბრა*
***ქეთევან ხამიცაშვილი***

IWAY.GE
ევრაზიაში სამშენებლო და სარემონტო მასალების წამყვანი მწარმოებლის QIS-ის (Quality Insulation Systems) წარმომადგენელი საქართველოში
შპს „აივეი“
გთავაზობთ:
უმაღლესი ხარისხის, მაღალი მარკიანობის (C2TE S1 სტანდარტი), ელასტიკურ, წყალგაუმტარ, ყინვაგამძლე თეთრ წებოცემენტს
QIS AQUA BOND,
რომელიც გამოდგება კერამოგრანიტის, მარმარილოს და მეთლახის დასაწებებლად ვერტიკალურ და ჰორიზონტულ ზედაპირებზე, ტემპერატურის მკვეთრი ცვლილების პირობებში, მათ შორის, იატაკქვეშა გათბობის სისტემის მონტაჟის შემდგომ.
ვრცელდება საბითუმო და საცალო ფასები, უფასო მიტანა, კონსულტაცია და გრძელვადიანი თანამშრომლობა.
თბილისი, აგლაძის №32, მაღაზია 29
+995 511 239 088, +995 591 502 580
info@iway.ge

თამარისი Tamarisi
დაინახე:
სათვალე არის ეს!
სათვალე არის აქ!



ბათუმი, კონსტანტინე გამსახურდიას 38
571 19 93 93   598 79 40 00
www.facebook.com/tamarisioptics



საქართველო- ისრაელის ერთობლივი კლინიკა
GIDMEDI
გიდმედი
გჯონდეთ ჩვენი იმედი!
ნებისმიერი ქირურგიული და უროლოგიური პათოლოგია
თბილისი, ლუბლიანას ქ. 2/6, მეხუთე სართული. 591 35 33 55

## კვირგვინოსნები

**გიორგი ვაშაძე**
*„სტრატეგია აღმაშენებლის“ ლიდერი*



„ქართულ ოცნებას“ უნდა **პატიმრების ამნისტია საარჩევნოდ გამოიყენოს.** ჩვენ ამნისტიას მხარს ვუჭერთ, მაგრამ ხელისუფლებას **ჩვენი ბედით ვაჭრობის** შესაძლებლობა აღარ უნდა მივცეთ. „ინტერპრესნიუსი“

**იასონ ბადრიძე**
*ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი*



**მგლებთან დაახლოებას 4 თვე დასჭირდა.** სხეულზე ქსოვილს ვიხვევდი და მათ სავალ ბილიკებზე ვდებდი, **დაახლოებით 4 თვის შემდეგ მიხვდნენ, რომ სახიფათო არ ვიყავი.** ერთ დღესაც მათ პირისპირ შევეჩეხე: დომინანტი მგლები იყვნენ — ძუ და ხვადი. ნელ-ნელა მომიახლოვდნენ და დაკვირვებით მიყურებდნენ. ცოტა ხანში შებრუნდნენ და ტყისკენ წავიდნენ. **ძალიან შემეშინდა, მაგრამ პირველად მაშინ მივხვდი, რომ მათთან დამეგობრება უკვე შეიძლებოდა.** რადგან დომინანტი მგლები უკვე მიცნობდნენ, თავიანთ ოჯახშიც მიმიღეს. ამის შემდეგ **მათთან ერთად ცხოვრება და ნადირობა დავიწყე.** მგლები ნანადირევის ნაწილს თვითონაც ჭამდნენ და მეც მაძლევდნენ უფლებას, ხორცის ნაჭერი ამეთალა. ღელის მეორე ნაპირზე გადავდიოდი და ხორცს ვწვავდი, რათა ჩემი ოთხფეხა მეგობრები კვამლის სუნს არ შეეწუხებინა. **ასე ვიცხოვრე მათთან** ორი წელი. ნაბადში ვეხვეოდი და ისე ვიძინებდი. **როცა თვალს მივეფარებოდი, მესმოდა, როგორ ყმუოდნენ და მეძახდნენ.**

„კვირის პალიტრა“

**ალექსანდრე თოდრია**
*ბრიუსელში მოღვაწე ქართველი ექიმი*



აქ ჩამოსულებს უნდათ, რაც შეიძლება **მეტი იმუშაონ და მეტი ფული გააკეთონ** — ეს კი მძიმედ აისახება ჯანმრთელობაზე. **ქართველებში 30 წლიდან უკვე მწვავე ინფარქტთან მაქვს შეხება.** ქალებს აქვთ დეპრესია, რასაც გამოკეტილი მუშაობა იწვევს.

„სარკე“

**ნინი იაკობიძე**
*ბოდიბილდერი*



შრომა დამიფასდა და **ბიკინის კატეგორიაში** საქართველოს ჩემპიონი გავხდი.

„თბილისელები“



# მიხეილ ცაგარელი:
# ზოდიაქოს ნიშნები და სტრესის დაძლევის გზები

*— ლომის ნიშნით დაბადებულს, რომელიც ახალ-ახალი გამოწვევებისთვის მუდამ მზად არის, რა უნდა ახსოვდეს ან რა უნდა მოიძიოს, რათა სტრესს გაუმკლავდეს ანდა სულაც თავიდან აირიდოს? პერფექციონისტი ქალწული ხშირად რას ვერ აცნობიერებს? რა არის მისთვის აუცილებელი ანდა კარგი საშუალება სტრესის დასაძლევად? დიპლომატის ნიჭით დაჯილდოებული სასწორი რას გამოჰყავს წყობიდან და რა შემთხვევაში მოექცევა სტრესის ტყვეობაში? ამიტომ რა მოეთხოვება, რა უნდა ისწავლოს? — ამ და სხვა საკითხებზე ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი გვესაუბრება.*

## 8-14 ივლისის ასტროლოგიური პროგნოზი

**ვერძი** (21.03-20.04)
**თავდაჯერებულობითა და მიზანდასახულობით ნებისმიერი წინააღმდეგობის გადალახვისათვის იქნებით მზად. გამოიყენეთ მიმდინარე მოვლენები და გარემოებები სოციალური სტატუსისა და საზოგადოებაში ავტორიტეტის ასამაღლებლად. როგორც სასიყვარულო, ასევე ახალი მეგობრული კავშირები იმპულსურ ხასიათს ატარებს და მალე დასრულდება. სწრაფად აენთებით და ასევე სწრაფად ჩაცხრებით თითოეული ადამიანის უკეთ გაცნობისას. მოგზაურობისას სიფრთხილეა საჭირო.**

**კურო** (21.04-20.05)
**გარემოებების ცვლილება შეცვლის თქვენს მიზნებსა და საქმიანობას. შეიცვლება თქვენი დამოკიდებულება გარშემო მყოფების მიმართაც. შემოქმედებითი უნარის გამოვლენა მეტად პოპულარულს გაგხდით საქმიანი პარტნიორების წრეში. რაც უფრო აქტიური სოციალური ცხოვრებით იცხოვრებთ, იკონტაქტებთ და იმოგზაურებთ, მით მაღალ პოზიციებს დაიკავებთ საზოგადოებაში და სამსახურშიც. საყვარელ ადამიანთან ან მეუღლესთან პრობლემებს შექმნის მათი აზრის იგნორირება და თქვენი ერთპიროვნული გადაწყვეტილებები.**

**ტყუპი** (21.05-22.06)
**მშვენიერ განწყობაზე იქნებით. წარმატებით განვითარდება საბანკო, საშუამავლო, პოლიტიკური და სადაზღვევო საქმიანობა. შემოსავლის გაზრდისთვის შეიძლება აუცილებელი გახდეს ცოტაოდენი გარისკვა. თქვენ მიმართ გაიზრდება ინტერესი და თქვენც მეტად მომხიბვლელი იქნებით, რაც გაგიზრდით ავტორიტეტს. მოერიდეთ კრიმინალურ ან საეჭვო ადამიანებთან კავშირს. მოგზაურობა სასიამოვნოდ ჩაივლის. საყვარელი ადამიანის მიმართ კი განსაკუთრებით მომთხოვნი და ეჭვიანი ნუ იქნებით.**

**კირჩხიბი** (23.06-22.07)
**თქვენს მომხიბვლელობას ამ პერიოდში მშვიდად გვერდს ვერავინ აუვლის, განსაკუთრებით კი საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენლები. ეს კარგი დროა ახალი ნაცნობობისთვის, პარტნიორული კავშირების დამყარებისთვის და შორეული მოგზაურობისთვის. სასიკეთოდ განვითარდება თქვენი ოჯახური და სასიყვარულო ურთიერთობებიც, რაც ახალ ემოციებს მოგიტანთ. გამოიყენეთ ეს პერიოდი არამარტო საქმისთვის, არამედ დასვენებისა და გართობისთვისაც.**

**ლომი** (23.07-23.08)
**გაგიჭირდებათ პროფესიული და სამსახურის საქმეების შესრულება. საქმიანი მოლაპარაკებები ორაზროვანი იქნება და უკმაყოფილების გრძნობას გაგიჩენთ. გაიზრდება ოჯახის ხარჯი, რაც თქვენს მატერიალურ მდგომარეობას დაასუსტებს. გზებზე მოძრაობისას აუცილებელია სიფრთხილე და დაკვირვება. ყურადღება მართებს ჯანმრთელობასაც, რადგან დაგროვილმა დაღლილობამ შეიძლება იმუნიტეტის დაქვეითება გამოიწვიოს. ამ რთული პერიოდის დაძლევას მნიშვნელოვნად გაგიადვილებთ უახლოეს ადამიანებთან და ოჯახის წევრებთან ურთიერთობა.**

**ქალწული** (24.08-23.09)
**გაგიჩნდებათ სიახლის მოთხოვნილება როგორც პირად ცხოვრებაში, ისე ყოფაში. არაორდინარული აზროვნება გამოიყენეთ ახალი პროექტების განხორციელებისა და შემოქმედებითი საქმეების შესრულებისას. დაფარული ნიჭის რეალიზებაში დაგეხმარებათ მოგზაურობა. პირად ურთიერთობებში ნუ დამალავთ გრძნობებს და ეცადეთ, ოჯახში ჰარმონიული ურთიერთობა აღადგინოთ. ნურაფერზე ნუ ინერვიულებთ, რათა ამან ჯანმრთელობის გაუარესება არ გამოიწვიოს.**

**— განვაგრძოთ საუბარი იმის შესახებ, თუ როგორ უნდა დავძლიოთ სტრესი. ამ მიმართებით ლომის ნიშნით დაბადებულს რას ურჩევთ?**

— **5. ლომს** თვითკმაყოფილების და სიამაყის შეგრძნება ასაზრდოებს. მას ახალ-ახალი ცხოვრებისეული გამოწვევები მოსწონს და მათთან გასაკლავებლად მზად არის. ამისათვის ძალუძს, გამოიყენოს როგორც ფიზიკური ძალა, ისე სითამამე და ქმედითობა. ლომის ნიშნით დაბადებულებს უყვართ, როცა მოვლენები მათ მიერ შედგენილი გეგმით ვითარდება, მაგრამ ხშირად ცხოვრებაში ასე არ ხდება. ამიტომაც პრობლემებთან შეჯახებისას გამოსავლის მოსაძიებლად აუცილებელია თვალსაწიერის გაფართოება, სუბიექტურობის შემცირება და გარკვეული კომპრომისის დაშვება. **ლომს მუდამ უნდა ახსოვდეს, რომ ყველასი და ყველაფრის გაკონტროლება შეუძლებელია, ამიტომ, უპირველესად, საკუთარ თავს და საქმეს უნდა მიხედოს და მხოლოდ ის გააკონტროლოს, რაც ხელეწიფება.** ამ ნიშნით დაბადებულისთვის სისუსტე მიუღებელია, შესაბამისად, დიდი წნეხის პირობებში უნდა მოიძიოს წინსვლისა და წარმატების საბაბი სხვა სფეროში და მოახდინოს ერთის მეორით კომპენსირება. შედეგად, სხვა სფეროში წარმატების მიღწევით ადვილად დაძლევს სტრესს და თავის ძირითად საქმიანობაშიც წინააღმდეგობებს უფრო იოლად გაუმკლავდება. გარდა ამისა, **ლომი** მეტად თავმოყვარეა, ამიტომ საკუთარ მღელვარებას და შიშებს მალავს, თუმცა, მოდუნება მარტივი არ არის. **სასურველია, ამ ნიშნის წარმომადგენლებმა სტრესის მოსახსნელად მიმართონ მუსიკას, ცეკვას, ასევე სასიკეთოა მათთვის საყვარელი ისეთი საქმის შესრულება, რომლის დროსაც პრობლემებზე არ იფიქრებენ და სიამოვნებასაც მიიღებენ.**

**6. ქალწული** კი პერფექციონისტია. იგი რთულ ვითარებაშიც ცდილობს, ყველაფერი დამოუკიდებლად შეასრულოს. ამავდროულად, მშვენივრად ესმის, რომ სრულყოფილი არაფერია, მაგრამ მუდამ ცდილობს, ყველაფერი მაქსიმალურად სრულყოფილებას მიუახლოოს. სწორედ ამის გამო ხშირად ვერ აცნობიერებს, რომ ცხოვრების ნებისმიერ სფეროში სრულყოფილების ძიებისას, შესაძლოა, ხელიდან გაუსხლტეს არაერთი კარგი შესაძლებლობა. ამ ნიშნით დაბადებული მეთოდური და ორგანიზებულია. აქვს ძლიერი ლოგიკა, ანალიზისა და დაგეგმარების უნარი, კარგი ორგანიზატორული თვისებებით გამოირჩევა და ცდილობს, ცხოვრების ყველა ასპექტში წესრიგი დაამყაროს. სტრესული მდგომარეობისას მისთვის აუცილებელია ამ სიტუაციის ყველა დადებით-უარყოფითი საკითხების ჩამოყალიბება, რამეთუ ეს დაეხმარება დაძაბულობისგან გათავისუფლებაში. ამასთან ერთად, სტრესის გამომწვევი ზოგიერთი პრობლემა, შეიძლება თავისით გაქრეს, თუკი ნაკლებკრიტიკულად მიუდგება ან სულაც დააიგნორებს. გარდა ამისა, სტრესული მდგომარეობის ასაცილებლად, **ქალწულის ნიშნით დაბადებულისთვის აუცილებელია სრულფასოვანი ძილი და დასვენება, მეგობრებთან და კოლეგებთან ერთად დროის გატარება და მოდუნება, მებაღეობა ანდა კულინარიული საქმიანობა ქალწულისთვის** ასევე სტრესის დაძლევის კარგი საშუალებაა.

**7. სასწორს** სტრესის დაძლევა ეადვილება, რადგან არ თაკილობს ამ მიზნით დახმარებისთვის ახლობლებსა და მეგობრებს მიმართოს. მას ხშირად გადაწყვეტილების მიღება უჭირს, მაგრამ ახლობლის გვერდით ყოფნის შემთხვევაში არ გაუჭირდება განსხვავებული აზრის მოსმენა, არგუმენტების გაანალიზება და რჩევის გათვალისწინება. **სასწორი** ცდილობს, გარშემო მყოფებს ასიამოვნოს, საყოველთაო სიყვარული და დაფასება იგრძნოს. იგი სტრესს განიცდის უსამართლობის შეგრძნებისას ან მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღების დროს. ასევე მწყობრიდან გამოდის, თუ არ მიეცემა საკუთარი აზრის სრულად გამოთქმის საშუალება. **სასწორის ნიშნით დაბადებულმა უნდა ისწავლოს პასუხის გაცემა და შედავება მაშინ, როცა უსამართლოდ ექცევიან, ამცირებენ ან შეურაცხყოფას აყენებენ,** რადგან შემდგომი წუწუნი და განცდები სტრესულ მდგომარეობას მხოლოდ და მხოლოდ უფრო გაზრდის. მით უფრო, რომ **ძლიერი დიპლომატიის უნარით დაჯილდოებული სასწორი შეძლებს და იპოვის სწორ სიტყვებს, რათა კონფრონტაციისა და კონფლიქტის გარეშე მშვიდად მოაგვაროს არსებული საკითხები და გვერდი აუაროს შემდგომ განცდას.**

*რუბრიკას უძღვება*
*მარინა მერკვილაძე*




## 8-14 ივლისის ასტროლოგიური პროგნოზი

**სასწორი** (24.09-22.10)
**ახალ საქმეში წარმატება დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ რამდენად მოისურვებთ დამატებითი ცოდნის მიღებას და მის პრაქტიკულად გამოყენებას. მშობლებთან კავშირი მეტად ჰარმონიული გახდება და გაგიძლიერებთ თავდაჯერებულობას. შესაძლოა, ახალი სასიყვარულო კავშირის დამყარება, სადაც უნდა ერიდოთ ეჭვიანობასა და მკაცრი მოთხოვნების წამოყენებას. გაუფრთხილდით ჯანმრთელობას და გააკონტროლეთ ემოციები. მოგზაურობა კი ჯობს, გადადოთ.**

**ღრიანკალი** (23.10-22.11)
**რაც უფრო მეტ დროს გაატარებთ საზოგადოებაში, მით მეტი საქმიანი პერსპექტივა გაგიჩნდებათ და გაიზრდება შემოსავლების რაოდენობაც. ახალი იდეები გაგიადვილებთ შრომას და დაგაახლოვებთ მიზანთან. უცნობების მიერ შემოთავაზებულ ცდუნებებს ნუ აჰყვებით. ნურავის მოატყუებთ და ნებისმიერი თამაში წესების დაცვით აწარმოეთ. ახლო მოგზაურობები ძალზე სასიკეთოდ აისახება თქვენს ჯანმრთელობაზე. სასიყვარულო და რომანტიკულ სფეროში კი სასიამოვნო ცვლილებებია მოსალოდნელი.**

**მშვილდოსანი** (23.11-21.12)
**მხიარული განწყობა სასიამოვნოს გახდის თქვენთან ურთიერთობას. გაიზრდება კონტაქტების რაოდენობაც. საქმეს შემოქმედებითად შეასრულებთ და სირთულეებსაც ადვილად დაძლევთ. პროფესიულ წინსვლას განაპირობებს სტრატეგიულად აზროვნების უნარი, ინტელექტი და ტაქტის გრძნობა. შეიძლება, დროებით მეუღლეზე ან მასთან დაკავშირებულ გარემოებებზე დამოკიდებული გახდეთ, რაც უთანხმოების საბაბი გახდება. მოგზაურობა ყველა სირთულეს დაგავიწყებთ.**

**თხის რქა** (22.12-19.01)
**მეტად აქტიური გახდებით და საგრძნობლად გაიზრდება თქვენი გადაადგილებებისა და კონტაქტების რაოდენობა. შესაძლოა, გაგიჩნდეთ ახალი იდეები, რომლებსაც სწრაფად დასჭირდება ხორცშესხმა. კარგი პერიოდია იმიჯის ცვლილების, მკურნალობის ჩატარებისა და შორეული მოგზაურობისთვის. ეს დადებითად იმოქმედებს თქვენს ჯანმრთელობაზე. პირად ცხოვრებაში დროებითი სიმშვიდე შესაძლოა, დაარღვიოს უეცარმა ნაცნობობამ ან კოლეგის მხრიდან განსაკუთრებულმა დაინტერესებამ.**

**მერწყული** (20.01-18.02)
**ყურადღებას მოგთხოვთ პროფესიული და კარიერის საკითხები. სამსახურში მოსალოდნელია ცვლილებები, რის გამოც მოგიწევთ ძველი საქმეების სასწრაფოდ დასრულება. შესაძლოა, გამოიცვალოს ხელმძღვანელობაც. ოჯახის პრობლემებიც მოითხოვს თქვენს ჩარევას და მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღებას. ახლობლებსა და საყვარელ ადამიანს ეცადეთ, არ ატკინოთ გული თქვენი მოქმედებით. მოგზაურობისა და ბევრ ხალხთან ურთიერთობისთვის არახელსაყრელი დროა.**

**თევზები** (19.02-20.03)
**საქმიან პარტნიორებთან ძალზე მეგობრული ურთიერთობები ჩამოგიყალიბდებათ. ამის შედეგად შესაძლოა, სამსახურებრივი მოვალეობების ნაწილიც კი სახლში შეასრულოთ. მშვიდად გააანალიზეთ სიტუაცია და ადვილად გაართმევთ თავს ყველა სირთულეს. მატერიალური სტაბილურობის შესანარჩუნებლად შრომა და ფრთხილად მოქმედება იქნება საჭირო. სასიყვარულო სფეროში აუცილებელი გახდება გარკვეული ცვლილებების შეტანა. მოგზაურობა დადებით შედეგს გამოიღებს.**

## მიმდინარე კვირის გეომაგნიტური დღეებია
### 8,10,13 და 14 ივლისი

**6 ივლისი – ახალმთვარეობა, პიკი – 02.59 საათზე;**
**21 ივლისი – სავსემთვარეობა, პიკი – 14.20 საათზე.**



# რას ურჩევს ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი ზოდიაქოს თორმეტივე ნიშნით დაბადებულებს?

## 8 ივლისი, ორშაბათი

**მზე** იმყოფება კირჩხიბის ზოდიაქოში. ამოდის 04.35 საათზე. ჩადის 19.36 საათზე. **მთვარე** ლომის ზოდიაქოშია. ამოდის 06.40 საათზე, ჩადის 21.36 საათზე (მთვარის მე-4 დღე იწყება 07.17 საათზე. I ფაზა). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** მაღალია უსიამოვნებების, ჩხუბების, პრეტენზიის გამოთქმის ალბათობა. არ არის სასურველი ფიზიკურ-ემოციური გადაღლა, ნერვიულობა, ფინანსური გარიგება, სიმძიმის აწევა, ხელშეკრულების დადება, ბინის შეცვლა, ქორწინება. **კარგი დღეა** კულტურულ-გასართობი ღონისძიებისთვის, ძვირფასი ნივთების შესაძენად, იურიდიული საქმეებისთვის, ხელმძღვანელობასთან ურთიერთობისთვის. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია გულ-სისხლძარღვთა სისტემა, ხერხემალი. **ქვები:** ბრილიანტი, მთის ბროლი, სარდონიქსი, სერდოლიკი, ქარვა. **პოზიტიური დღეა** ლომისთვის, სასწორისთვის. **ნეგატიურია** თხის რქისთვის, თევზებისთვის.

## 9 ივლისი, სამშაბათი

**მზე** იმყოფება კირჩხიბის ზოდიაქოში. ამოდის 04.35 საათზე, ჩადის 19.37 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (17.32) ქალწულის ზოდიაქოში. ამოდის 07.46 საათზე, ჩადის 22.06 საათზე (მთვარის მე-5 დღე იწყება 08.40 საათზე. I ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 10.05 საათიდან 17.49 საათამდე. **ტენდენციები:** დღეს საჭმელ-სასმლის ხარისხი გააკონტროლეთ. **კარგი დღეა** შემოქმედებითობის გამოსავლენად, ახალი სამსახურის დასაწყებად, გავლენიან ადამიანებთან კონტაქტებისთვის, სწავლისთვის, სულიერი განვითარებისთვის, ძვირფასეულობის, საჩუქრების შესაძენად, კულტურულ-გასართობი ღონისძიებებისთვის. შედეგიანი იქნება თვალების, ნერვული სისტემის, ვენების მკურნალობა. **არ არის სასურველი** ფიზიკურ-ემოციური გადაღლა, სიმძიმეების აწევა, ბინის შეცვლა, ქორწინება, ფინანსური გარიგება. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია გულ-სისხლძარღვთა სისტემა, ხერხემალი, ნაწლავთა სისტემა, ელენთა. **ქვები:** ბრილიანტი, მთის ბროლი, ქარვა. **საღამოს** — ყვითელი და მწვანე იასპი, მალაქიტი. **პოზიტიური დღეა** მშვილდოსნისთვის, მერწყულისთვის. **ნეგატიურია** კუროსთვის, კირჩხიბისთვის.

## 10 ივლისი, ოთხშაბათი

**მზე** იმყოფება კირჩხიბის ზოდიაქოში. ამოდის 04.36 საათზე, ჩადის 19.37 საათზე. **მთვარე** ქალწულის ზოდიაქოშია. ამოდის 08.50 საათზე, ჩადის 22.20 საათზე (მთვარის მე-6 დღე იწყება 09.59 საათზე. I ფაზა). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები: კარგი დღეა** ახალი საქმის დასაწყებად, საფინანსო-საბანკო ოპერაციებისთვის, სწავლისთვის, სამეცნიერო კვლევისთვის, პედაგოგიური მოღვაწეობისთვის, აუდიტისთვის, ვაჭრობისთვის. **არ არის სასურველი** ქორწინება, ზედმეტი კრიტიკულობა, პირდაპირობა, სარისკო ქმედება, მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღება. პოზიტიურ შედეგს მოგიტანთ ახალი კონტაქტები და ნაცნობობა. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ნაწლავთა სისტემა, კუჭქვეშა ჯირკვალი, ელენთა. **ქვები:** ყვითელი და მწვანე იასპი, მალაქიტი, აქატი, ოპალი. **პოზიტიური დღეა** თხის რქისთვის, თევზებისთვის. **ნეგატიურია** ვერძისთვის, ტყუპისთვის, ლომისთვის, სასწორისთვის.

## 11 ივლისი, ხუთშაბათი

**მზე** იმყოფება კირჩხიბის ზოდიაქოში. ამოდის 04.37 საათზე, ჩადის 19.36 საათზე. **მთვარე** ქალწულის ზოდიაქოშია. ამოდის 09.52 საათზე, ჩადის 22.38 საათზე (მთვარის მე-7 დღე იწყება 11.15 საათზე. I ფაზა). **ტენდენციები:** დღეიდან პლანეტა **ვენერა** გადაინაცვლებს **ლომის** ზოდიაქოში (5 აგვისტომდე), რაც პარტნიორობისას გაამახვილებს კეთილშობილებას, ენთუზიაზმს, შემოქმედებითობას, ლიდერობის უნარს და ასევე სულსწრაფობას, პრეტენზიულობას. შესაძლოა, ფინანსური შემოსავალი გაიზარდოს ლატარიაში მოგების კონკურსში გამარჯვების, აქციების შემოსავლის მეშვეობით. **დღეს კარგია** და ხელიც შეეწყობა საბანკო-საფინანსო ოპერაციებს, აუდიტს, საქმიან მიმოწერებს, დალაგება-დასუფთავებას, სწავლას. **არ არის სასურველი** ქორწინება, სარისკო ქმედება, გამოცდის ჩაბარება. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ნაწლავთა სისტემა, კუჭქვეშა ჯირკვალი, ელენთა. **ქვები:** ყვითელი და მწვანე იასპი, მალაქიტი, აქატი, ზურმუხტი, ოპალი. **პოზიტიური დღეა** კუროსთვის, კირჩხიბისთვის, ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის. **ნეგატიურია** მშვილდოსნისთვის, მერწყულისთვის.

## 12 ივლისი, პარასკევი

**მზე** იმყოფება კირჩხიბის ზოდიაქოში. ამოდის 04.38 საათზე, ჩადის 19.36 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (05.52) სასწორის ზოდიაქოში. ამოდის 10.52 საათზე, ჩადის 22.56 საათზე (მთვარის მე-8 დღე იწყება 12.30 საათზე. I ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 05.56 საათიდან 06.08 საათამდე. **ტენდენციები:** ეცადეთ, დღეს და ხვალ სხვისი ზეგავლენის ქვეშ არ მოექცეთ. ძვირფასეულობას გაუფრთხილდით. შედეგიანი იქნება კბილების, სისხლძარღვების, გრძნობათა ორგანოების მკურნალობა. კარგი დღეა ქორწინებისთვის, სასიყვარულო კონტაქტებისთვის, შემოქმედებისთვის, ტანსაცმელ-ფეხსაცმლის, აქსესუარის, პარფიუმერია-კოსმეტიკის, მუსიკალური აპარატურის შესაძენად, ექიმთან კონსულტაციისთვის და მკურნალობის დასაწყებად. არ არის სასურველი ზედმეტი სითხის მიღება, ვინმესთან თავის მართლება. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ყელი, ენდოკრინული სისტემა, თირკმლები, კანი. **ქვები:** ნეფრიტი, ლაზურიტი, ჟადეიტი, ტოპაზი. **პოზიტიური დღეა** ვერძისთვის, ტყუპისთვის. **ნეგატიურია** თხის რქისთვის, თევზებისთვის.

## 13 ივლისი, შაბათი

**მზე** იმყოფება კირჩხიბის ზოდიაქოში. ამოდის 04.38 საათზე, ჩადის 19.35 საათზე. **მთვარე** სასწორის ზოდიაქოშია. ამოდის 11.53 საათზე, ჩადის 23.15 საათზე (მთვარის მე-9 დღე იწყება 13.45 საათზე. I ფაზა). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** მოსალოდნელია ურთიერთსაწინააღმდეგო მოვლენები, წინდახედულობა გმართებთ! იმატებს გაუბედაობა და სხვისი გავლენის ქვეშ მოქცევის ალბათობა. შედეგიანი იქნება ტერფის, კბილების, თავის, გრძნობათა ორგანოების, სისხლძარღვების მკურნალობა. **არ არის სასურველი** ბევრი სითხის, მლაშე ან ალერგიის გამომწვევი პროდუქტების მიღება. **კარგი დღეა** ქორწინებისთვის, შემოქმედებისთვის, ტანსაცმელ-ფეხსაცმლის, აქსესუარების, ავეჯის, მუსიკალური აპარატურის შესაძენად, კულტურულ-გასართობი ღონისძიებებისთვის, მეგობრული კონტაქტებისთვის, ექიმთან კონსულტაციისთვის, თანამშრომლობისთვის. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ყელი, ენდოკრინული სისტემა, თირკმლები, კანი. **ქვები:** ნეფრიტი, ლაზურიტი, ჟადეიტი, საფირონი, ციტრინი. **პოზიტიური დღეა** ლომისთვის, სასწორისთვის. **ნეგატიურია** კუროსთვის, კირჩხიბისთვის.

## 14 ივლისი , კვირა

**მზე** იმყოფება კირჩხიბის ზოდიაქოში. ამოდის 04.39 საათზე, ჩადის 19.34 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (18.49) ღრიანკალის ზოდიაქოში. ამოდის 12.55 საათზე, ჩადის 23.59 საათზე (მთვარის მე-10 დღე იწყება 15.02 საათზე. მე-2 ფაზა იწყება 02.50 საათზე). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 02.50 საათიდან 18.54 საათამდე. **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** დღეს პარტნიორის აზრსა და რჩევას ყური დაუგდეთ. მოიმატებს განცდისა და ცდუნებების დაძლევის, თქვენ ირგვლივ ჰარმონიული ატმოსფეროს შექმნის შესაძლებლობა. ამავდროულად, ურთიერთობისას მაღალია კონფლიქტების, ჩხუბების, ინტრიგების ალბათობა. **არ არის სასურველი** ბევრი სითხის, მლაშე, ცხარე და ალერგიის გამომწვევი პროდუქტის მიღება. **კარგი დღეა** კოსმეტიკური პროცედურებისთვის, კულტურულ-გასართობი ღონისძიებებისთვის, ქორწინებისთვის, აქსესუარების, პარფიუმერია-კოსმეტიკის, ავეჯის, ხელოვნების ნიმუშების შესაძენად. საღამოს კი თვითშემეცნებისთვის, გეგმების დასახვისთვის. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია შარდსასქესო სისტემა. **ქვები:** ნეფრიტი, ლაზურიტი. **საღამოს** — ოპალი, ტოპაზი, ობსიდიანი. **პოზიტიური დღეა** მშვილდოსნისთვის, მერწყულისთვის. **ნეგატიურია** ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის.


ლეგენდარული **დიმიტრი ალავიძე**
ლეგენდარული **ვასილ მჟავანაძის**
პირველი სტუმრობიდან **58-ე წელია,**

**მცხეთის სალობიეში გეპატიჟებათ!**





## საეკლესიო კალენდარი

✝ **8 ივლისი. ორშაბათი.** ღირსმოწამისა თებრონია ქალწულისა.

✝ **9 ივლისი. სამშაბათი.** ღირსისა დავით თესალონიკელისა; ღირსისა იოანესი, გუთელი ეპისკოპოსისა; ტიხვინის ღმრთისმშობლის ხატისა.

✝ **10 ივლისი. ოთხშაბათი. ღირსისა გიორგი მთაწმინდელისა; ღირსმოწამისა ლუკა იერუსალიმელისა, მოწამებრივ აღსრულებულისა;** მღვდელმოწამისა კირიონ II-ისა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქისა; ღირსისა სამსონ უცხოთშემწყნარებელისა; მართლისა იოანა მენელსაცხებლისა; ღირსისა სევეროს ხუცისა.

✝ **11 ივლისი. ხუთშაბათი. აღმოყვანება წმიდათა ნაწილთა მოწამეთა უვერცხლოთა და სასწაულმოქმედთა კვიროსისა და იოანესი; ღირსისა პავლე მკურნალისა.** ღმრთისმშობლის ხატისა „სამლიანი“.



**12 ივლისი – ხსენება წმიდათა დიდებულთა და ყოვლადქებულთა პეტრესი და პავლესი**

✝ **12 ივლისი. პარასკევი. წმიდათა დიდებულთა და ყოვლადქებულთა პეტრესი და პავლესი.** გრიგოლისა, ჰერაკლიელი დარედესტოსელი მიტროპოლიტისა; ღირსისა პაისისა, ათონელისა.

✝ **13 ივლისი. შაბათი.** კრება დიდებულთა და ყოვლადქებულთა ათორმეტთა მოციქულთა: პეტრესი, ძმისა მისისა ანდრიასი, იაკობ ზებედესი, ძმისა მისისა იოანესი, ფილიპესი, ბართლომესი, თომასი, მათესი, იაკობ ალფესისა, იუდა იაკობისასი, სიმონ მოშურნესი და მატათასი; კეთილმორწმუნისა დინარა დედოფლისა. **სვეტიცხოვლობა.**

✝ **14 ივლისი. კვირა.** სასწაულმოქმედთა უვერცხლოთა კოზმა და დამიანესი, რომში წამებულთა; მოწამისა პოტიტე ყრმისა; ღირსისა პეტრე პატრიკყოფილისა; ნერსესი, სომხეთის მთავარეპისკოპოსისა.



„ასავალ-დასავალის“ რედაქცია მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა **საქართველოს რკინიგზის დეპარტამენტის ყოფილი ხელმძღვანელი, ცნობილი საზოგადო მოღვაწე და ღირსეული მამულიშვილი**

**რემი ვლადიმერის ძე ვაშაკიძე**

**და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.**

***პანაშვიდი:*** *ორშაბათს და სამშაბათს — 8 და 9 ივლისს.* ***მისამართი:*** *თბილისი, პეკინის ქუჩა №2, მეორე სადარბაზო, მესამე სართული, ბინა №17.* ***დაკრძალვა:*** *შაბათს, 13 ივლისს, სამტრედიაში, ნოდარ დუმბაძის ქუჩა №15*




**მაღაზია «ბუკვიცა»**

ყიდულობს და ყიდის რუსულ და ქართულ ანტიკვარულ წიგნებს, დაბეჭდილს1945 წლამდე

*574-73-46-96, 243-01-17, 555-68-82-90*

**მისამართი: დ.უზნაძის №15, ქურდიანის №2.**


**32-ე გვერდზე გამოქვეყნებული ლენტვორდებისა და კროსვორდის პასუხები:**

თარაზულად: 4. ბახმარო; 11. ყირამალა; 12. კომპანია; 13. სარკომა; 14. სეკატორი; 15, რიტორიკა; 16. ლანგარი; 17. მაზარინი; 21. ნანსენი; 22. ლირიკა; 25. რექტორატი; 27. ლიბია; 30. სიმენსი; 31. აკოლადა; 35. გარანტი; 37. კორიდა; 40. მელატონინი; 41. მარატი; 44. სანაცია; 45. კარავაჯო; 49. გაროტე; 50. სამოა; 52. სარაბანდა; 53. გრაფინია; 57. როკადა; 58. რაისი; 60. ზიკურათი; 62. ირიბი; 63. პორტი;

შვეულად: 1. სინემა; 2. დარაბა; 3. მაწონი; 4. ბასილი; 5. ხორუნაჟი; 6. ამონალი; 7. ოკარინა; 8. სმეტანა; 9. გაბრიელი; 10. ბისკვიტი; 17. მარკა; 18. ზაქრო; 19. რბოლა; 20. ნიასა; 22. ლისი; 23. რემბო; 24. კანტი; 26. რიგა; 27. ლორკა; 28. ბანდა; 29. ალიბი; 32. კრეტა; 33. ლუარა; 34. დროშა; 36. კიტო; 37. კისტა; 38. რანჩო; 39. დეცი; 41. მაგია; 42. რურკი; 43. ტიტრი; 45. კასიკი; 46. რერიხი; 47. ვებერი; 48. ჯანყი; 50. სარი; 51. მიკრო; 53. გაზი; 54. ფაუ; 55. ნიაზ; 56. არია; 59. სუ; 61. კი.

**მურილიოტაბაკარაკურსივიოლარიშარიფიდელეგატი**
**ფარადეიდავარიანტიგუაშირაქიტიარაგვინეაპოლი**

| ესპანელი ფერმწერი | ბრტყლად შემწვარი ვარია | ხედვის კუთხე | ვიოლინოს წინაპარი | ფრანგი მსახიობი პიერ ... | ჭადრაკის ფედე-რაცია | მაღალი თანამდებობის პირი რომულ არმიაში |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჭვარტლი | ამერიკელი მსახიობი მამაკაცი | უმაღლესი ხარისხის ბროლი | ერთგვარი სასტამბო შრიფტი | მღვდელ-მსახურის შესამოსელი | მსახიობი ომარ ... | არჩეული ან დანიშნული წარმომადგენელი რომელიმე დაწესებულებისა |



თარაზულად: 4. სოფელი ჩოხატაურის რაიონში; 11. თავდაჯირა; 12. სავაჭრო ან სამრეწველო ამხანაგობა; 13. ავთვისებიანი სიმსივნე; 14. დიდი მაკრატელი; 15. მჭევრმეტყველების თეორია; 16. სინი; 17. ფრანგი კარდინალი; 21. ნორვეგიელი მოგზაური, ოკეანოგრაფი; 22. ლიტერატურის სახეობა; 25. უმაღლესი სასწავლებლის ადმინისტრაციული სასწავლო ხელმძღვანელობა რექტორის მეთაურობით; 27. აფრიკის სახელმწიფო; 30. გერმანული ელნაწარმის ფირმა; 31. კავი, რომელიც აერთებს რამდენიმე ხუთხაზიან სანოტო სისტემას; 35. თავდები; 37. ხარების ბრძოლა; 40. ეპიფიზის ძირითადი ჰორმონი; 41. საფრანგეთის რევოლუციის მოღვაწე; 44. მკურნალობა, გაჯანსაღება (ლათ.); 45. იტალიელი ფერმწერი; 49. სიკვდილით დასჯა დახრჩობით ესპანეთში; 50. სახელმწიფო პოლინეზიაში; 52. ძველებური ესპანური ცეკვა; 53. გრაფის მეუღლე; 57. გზა ფრონტის ხაზის გასწვრივ; 58. აშშ-ის ყოფილი სახელმწიფო მდივანი; 60. საფეხურებად აგებული საკულტო კოშკი ძველ მესოპოტამიაში; 62. დამრეცი, ალმაცერი; 63. ნავსადგური.

შვეულად: 1. კინოს მოძველებული სახელი; 2. ფანჯრის ხის საფარი; 3. შედედებული რძე; 4. ბიზანტიის იმპერატორი; 5. ოფიცრის პირველი ჩინი კაზაკთა ჯარში; 6. ასაფეთქებელი ნივთიერება; 7. თიხის პატარა ზომის ჩასაბერი საკრავი; 8. ჩეხი კომპოზიტორი; 9. მთავარი პერსონაჟი ნაწარმოებისა „გლახის ნაამბობი“; 10. ერთგვარი მსუბუქი ნამცხვარი; 17. საფოსტო ნიშანი; 18. „კაკო ყაჩაღი“ — პერსონაჟი; 19. სპორტული შეჯიბრება სისწრაფეში; 20. ტბა მალავსა და მოზამბიკში; 22. ჭაობის მცენარე; 23. ს. სტალონეს კინოროლი; 24. გერმანელი ფილოსოფოსი; 26. ლატვიის დედაქალაქი; 27. მწერალი ფედერიკო გარსია ...; 28. ბანდიტების ჯგუფი; 29. უდანაშაულობის საბუთი; 32. საბერძნეთის კუნძული; 33. მდინარე საფრანგეთში; 34. ალამი, ბაირაღი; 36. ეკვადორის დედაქალაქი; 37. კეთილთვისებიანი სიმსივნე; 38. მესაქონლეობის ფერმა აშშ-ის დასავლეთში; 39. სიტყვის ნაწილი — აღნიშნავს მეათედ ნაწილს; 41. ჯადოქრობა, მისნობა; 42. ამერიკელი მსახიობი მამაკაცი; 43. წარწერა ფილმის კადრზე; 45. ინდიელთა ბელადი (ზოგად.); 46. რუსი მხატვარი; 47. გერმანელი კომპოზიტორი. 48. ე. ნინოშვილი — „... გურიაში“; 50. ინდური სამოსი; 51. სიტყვის ნაწილი, ნიშნავს ძალიან პატარას; 53. აირი (ზოგად.); 54. ფაშისტური გერმანიის რაკეტა; 55. მუსიკოსი ... დიასამიძე; 56. საოპერო სოლო; 59. საფრანგეთის ძველებური ოქროს ფული; 61. დასტურის სიტყვა.

*კროსვორდისა და ლენტვორდების პასუხები იხ. 31-ე გვერდზე*

| ინგლისელი ფიზიკოსი | ნესტან-დარეჯანის მამიდა | ქვეყანა ... და ბარბუდა სამხრეთ ამერიკაში | ველი კახეთში | რომის პაპის გვირგვინი | სახელმწიფო პაპუა ახალი ... | ბევრი (ბერძნ.) |
|---|---|---|---|---|---|---|
| ცხვრის ჯოგი | დედის და | რისამე ნაირსახეობა, სახეცვლილება | სამხატვრო საღებავი | ბავშვთა დაავადება | მდინარე საქართველოში | ქალაქი იტალიაში |

## ვარსკვლავები (არ) ხუმრობენ...

სასიამოვნო, სასიკეთო დღე.

პლანეტების ზეგავლენა არაკეთილსასურველია. მნიშვნელოვანს ნურაფერს მოიმოქმედებთ და ნურც ახალ საქმეს წამოიწყებთ.

მოთმინება, თავშეკავება და განსჯის უნარი გამოიჩინეთ.

ნურავის ენდობით, შეიძლება მოგატყუონ. სიფრთხილე გამოიჩინეთ მეგობრებთან და ბავშვებთან ურთიერთობაში.

მოიწყვეთ პირადი ცხოვრება, დახვეწეთ ინტიმური ურთიერთობები, ყველაფერს შემოქმედებითად მიუდექით.

მოვლენათა უეცარი შემობრუნება, ფრიად პერსპექტიული წინადადებები გელით.

მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება, პროფესიული წარმატებები.

მოერიდეთ ურთიერთობას უფროსობასთან და იმ ადამიანებთან, რომელთაც დიდი ზეგავლენა აქვთ თქვენზე. ნუ შეეცდებით, უფრო სოლიდურად გამოიყურებოდეთ.

რთულ მომენტში დახმარებისათვის მეგობრებს, თანატოლებსა და ახლობლებს მიმართეთ.

ნუ გარისკავთ. გაუფრთხილდით ჯანმრთელობას.

შესაძლოა, გქონდეთ სასიამოვნო და საჭირო შენაძენი.



რეკომენდებულია ინიციატივისა და აგრესიულობის გამოვლენა.

შრომისუნარიანობის ამაღლება. შედეგი დიდად არის დამოკიდებული თქვენს შრომისმოყვარეობაზე.

კარგი სიახლენი, საუკეთესო პერსპექტივა და სასიხარულო მოვლენები გელით.

მოერიდეთ კამათსა და კონფლიქტებს. უარი თქვით ალკოჰოლურ სასმელებზე.

წარმატებას გიქადით ნებისმიერი სახის მგზავრობა. ენდეთ საკუთარ ინტუიციას.

სოლიდურ, ცნობილ ხალხთან და უფროსობასთან კონტაქტი სარგებელს მოგიტანთ.

ნუ გაგიტაცებთ პირადი ცხოვრება და შემოქმედება. უფრთხილდით იმედგაცრუებას.

შეძლებისდაგვარად გადადეთ მგზავრობა. მოერიდეთ ჰიპნოზიორებთან და ექსტრასენსებთან ურთიერთობას.

შეგიძლიათ ცოტა გადაჰკრათ კიდეც. სასიამოვნოა პრეზენტაციებსა და პრემიერებზე დასწრება.

გაფრთხილდით კოლეგებთან, ნათესავებთან და მეზობლებთან ურთიერთობისას.

იქონიეთ კონტაქტი ბუნებასთან, მოუარეთ შინაურ ცხოველებს. იყავით კეთილნი და გულმოწყალენი.


დაარსებულია 1992 წლის 3 მარტს

დამოუკიდებელი და ზეპარტიული

**ასავალ დასავალი**

2024 წლის 8 – 14 ივლისი №29 (1547)

გამოდის ორშაბათობით

2 009882 637296

მეღიაჰოლჰოლღინგი "ასავალ-დასავალი". საგამომცემლო სახლი "ასავალ-დასავალი"

**მთავარი რედაქტორი ლაშა ნადარეიშვილი**

*აზრი დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით. ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელ ავტორთა განწყობა გადამოწმებას არ ექვემდებარება. მასალის დაუბეჭდაობა არ მოტივირდება.*

**წერილები გამოგზავნეთ ელექტრონულ ფოსტაზე:**

**mail@asavali.com**

„ასავალ-დასავალის“ ვებ-გვერდი ინტერნეტში: **www. asavali.com**

ოფიციალური გვერდი ფეისბუქზე: **www. facebook.com/Asavali.com**

გაზეთი დაბეჭდილია **„ასავალ-დასავალის“ სტამბაში.**


